უნიათობას გადაყოლილი ქვეყნის სუვერენიტეტის მნიშვნელოვანი ნაწილი A8

სალაყბო A8

რეალიები B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 9 მარტი, 2004 წელი. №57 (606)

ფასი 50 თეთრი

# საშიში მითის მსხვრევა

## ახალი ტიპის სპეცსამსახური საზოგადოების მხარდაჭერას ითხოვს

მაია ჭალაგანიძე

*უკანასკნელი კვირის განმავლობაში ქართული მედია ალან ჟირესსა (რაც საქართველოსთვის საკმაოდ ბუნებრივია) და უშიშროების სამინისტროზე ერთნაირი აქტიურობით საუბრობს - იმიტომ, რომ ქართული ფეხბურთის ნამსხვრევებისგან აღდგენის კიდევ ერთი მცდელობის და საშიში უშიშროების მითის მსხვრევის მოწმენი პარალელურად ვხდებით. ახალი სახელმწიფოს მშენებლობა ახლა რომ იწყება და არა 12 წლის წინ, უშიშროების სამინისტროს ყოველი გადაადგილებული კადრის შესახებ საყოველთაო მსჯელობაც მოწმობს. რა არის ამ დაინტერესების მიზეზი? ან მართალნი არიან ახალი ჩინოვნიკები, "შეკვეთილი სტატიები" და "რეფორმების დისკრედიტების პიარი" რომ დაიჩემეს, ან, უბრალოდ, თავი შეგვახსენა საბჭოეთიდან გამოყოლილმა მითმა გოროზი უშიშროების უძლეველობის შესახებ და ამ თემის გახსნით ღია საზოგადოებას საფრთხისა და დაუცველობის შეგრძნება გაუმძაფრდა. უშიშროების მინისტრი ზურაბ ადეიშვილი საუბრობს ერთზეც და მეორეზეც და კიდევ ისეთ შეკითხვებზე, რასაც ვერც ბერიას, ვერც ინაურს, ვერც გიორგაძეს (და კიდევ ვინ იყო?) დაუსვამდი; ქუთათელაძე, უბრალოდ, არ შეგხვდებოდა და ხაბურძანიასგან ბევრს ვერაფერს გაიგებდი.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ზურაბ ადეიშვილი "24 საათის" რედაქციაში.

**- როგორ მოახერხეთ, რომ უშიშროების სამინისტრო საყოველთაო სახალხო განხილვის მიზეზი გახდა, ელოდით მსგავს რეაქციას საზოგადოების მხრიდან?**

- ამ რეაქციას ნამდვილად ველოდი. მიზეზი კი სამინისტროში მიმდინარე სერიოზული რეფორმებია. ბევრი ადამიანისთვის ეს აქტუალური იმიტომაც გახდა, რომ ვაკეთებთ იმას, რაც საზოგადოებისთვის საინტერესოა - არქივების გახსნა, კრიმინალურ სამყაროსთან ბრძოლის გააქტიურება და ა.შ.

**- იმსხვრევა მითი საშიში უშიშროების შესახებ? ფიქრობთ, რომ საზოგადოებას დაუცველობისა და საფრთხის ერთგვარი განცდა დაეუფლა?**

- ვფიქრობ, რომ მითი უშიშროების შესახებ, კარგა ხანია, დამსხვრეულია. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი პროფესიონალი მუშაობს, ბოლო წლების მოვლენებმა დაგვანახა, რომ ეს სამსახური არაეფექტური და საკმაოდ არაქმედუნარიანი იყო. რაც შეეხება უსაფრთხოების განცდას - არა მგონია, მისი წარმოშობისთვის ჩვენთან მიმდინარე ცვლილებებს შეეწყო ხელი. ეს განცდა საქართველოში დიდი ხანია, არსებობს და ჩვენი რეფორმები, პირიქით, იქითკენ არის მიმართული, რომ ეს სამსახური ეფექტური გახდეს; ისეთ სამსახურად ჩამოყალიბდეს, რომლის მიმართ ყველა პატივისცემით განიმსჭვალება.

გაგრძელება B1 გვერდზე

# სამაგალითო ოპოზიცია

ეკა კიკიანი

საპარლამენტო არჩევნებამდე ერთ თვეზე ნაკლები რჩება. სავსებით ნათელია, რომ "ნაციონალური მოძრაობა დემოკრატები" დიდი უპირატესობით გაიმარჯვებენ. ჩნდება კითხვა, იქნება თუ არა ოპოზიცია ახალ პარლამენტში და რა დოზით. ოპოზიციაზე საუბრისას აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი ქართული პოლიტიკური სპექტრისთვის დამახასიათებელ თავისებურ მოვლენას.

ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა უმრავლესობა ტერმინს "ოპოზიცია" არასწორი მნიშვნელობით გამოიყენებს, მათთვის ეს სიტყვა საგმირო შარავანდედითაა მოსილი და იგი ესმით, როგორც პატიოსნების, შეუპოვრობის, ხალხის გულისთქმის გამომხატველის, ქვეყნის ინტერესების დამცველის და ყველა დადებითი თვისების მატარებლის სინონიმი. ოპოზიცია მართლაც შეიძლება იყოს ასეთი, ან... არც იყოს. თუმცა, სინამდვილეში ოპოზიცია ნიშნავს პოლიტიკურ ჯგუფს, რომელსაც ამომრჩეველთა უმცირესობამ დაუჭირა მხარი. ოპოზიცია ვერ იღებს გადაწყვეტილებებს, უშუალოდ არ მონაწილეობს ქვეყნის მართვაში, აკრიტიკებს ხელისუფლებას, აცნობს მოსახლეობას იმ გადაწყვეტილებათა პროექტებს, რომელსაც ის მიიღებდა, თავად რომ იყოს უმრავლესობაში. თუ მოსახლეობამ ეს პროექტები ამჯობინა ხელისუფლების გადაწყვეტილებებს, მორიგი არჩევნებისას ოპოზიცია თავად ხდება ხელისუფლება. ამრიგად, ოპოზიცია არის არჩევნებში დამარცხებული გუნდი, რომელიც მომავალი გამარჯვებისთვის ემზადება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პირველი ქართველი ფოტოგრაფი

B6



ალექსანდრე როინაშვილის ფოტო "ქალაქელი მუსიკოსები".

## პოლიტიკა

### კახეთში გამგებლებს აკავებენ

კახეთის რეგიონში ანტიკორუფციული ღონისძიებები გრძელდება. ამჯერად სამართალდამცავების სამიზნე გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის გამგებელი, ზქარია მჭედლიშვილი ხდება. გამგებლის დაკავების მიზეზად გაზეთებში - "24 საათში" და "კახეთის ხმაში" - გამოქვეყნებული პუბლიკაციები სახელდება.

A2

## ეკონომიკა

### სტრუქტურული ცვლილებები ეკონომიკის სამინისტროში

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში ორი ახალი პროექტი განხორციელდება. შეიქმნება სპეციალური დეპარტამენტი, რომელიც რეგიონების ეკონომიკურ განვითარებასა და პოსტკონფლიქტური ზონების ეკონომიკურ რეაბილიტაციაზე იმუშავებს და მეორე - უახლოეს მომავალში სამინისტროში ინვესტიციებისა და ვაჭრობის სააგენტო გაიხსება. მისი ძირითადი ფუნქცია ინვესტორებისთვის საინფორმაციო მომსახურების შექმნა იქნება.

A4

## უცხოეთი

### ერაყის დროებითი კონსტიტუცია

ერაყს უკვე საკუთარი კონსტიტუცია აქვს. მართალია, ის დროებითია, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს. ომისაგან დანგრეულ და გაპარტახებულ ქვეყანაში ეს უკვე ბევრს ნიშნავს. კონსტიტუციის მიღება ბევრ პრობლემასთან იყო დაკავშირებული.

A5

## საზოგადოება

### უმწეოთა სახელმწიფო პროგრამის ალტერნატივა

საქარველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე სამედიცინო დაზღვევის საკითხებში ვატო სურგულაძე აცხადებს, რომ ეგრეთ წოდებული უმწეოთა დახმარების სახელმწიფო პროგრამა ჯანდაცვის სისტემის დამღუპველია და ამ მეთოდით მუშაობა არა თუ წინ წაგვწევს, 80-იან წლებში დაგვაბრუნებს.

A6

## სამართალი

### წყალტუბოელი ნარკობარონი განაჩენს ელოდება

...ბოლოს და ბოლოს, სამართალდამცავებმა თალაკვაძეს ობიექტური სამედიცინო შემოწმება ჩაუტარეს და იგი აბსოლუტურად ჯანმრთელი აღმოჩნდა.

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 8 |
| ქუთაისი | 12 |
| ბათუმი | 13 |
| სოხუმი | 12 |
| ფოთი | 14 |
| თელავი | 7 |
| ზუგდიდი | 15 |
| გორი | 5 |
| ახმეტა | 8 |
| ჭიათურა | 7 |
| გაგრა | 11 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9000 |
| ევრო | 2.3146 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4567 |
| რუბლი | 0.0664 |

## ბრიტანელი სამხედრო ინსტრუქტორების მისია საქართველოში

კობა ლიკლიკაძე
„რადიო თავისუფლება"
სპეციალურად „24 საათისთვის"

*ამერიკელი და თურქი სამხედრო ინსტრუქტორების კვალდაკვალ, ერთი კვირის წინ, საქართველოში ბრიტანელი სამხედრო სპეციალისტებიც გამოჩნდნენ. ექვსკაციანმა ჯგუფმა, რომლის ყველა წევრსაც მაღალი ინტენსივობის საერთაშორისო კონფლიქტებში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, ვაზიანის სამხედრო ბაზაზე პირველი ქართველი ინსტრუქტორების მომზადება დაიწყო.*

საქართველოს ხელისუფლებამ ბრიტანელი ინსტრუქტორების მოწვევა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც აღმოჩნდა, რომ "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამით მომზადებული ქართველი პროფესიონალი ჯარისკაცები, სტაციონარულ სამხედრო ნაწილებში დაბრუნების შემდეგ, ინტენსიური წვრთნისათვის საჭირო მატერიალური საშუალებების

გაგრძელება A3 გვერდზე

## სანიტარული სამსახურის თავკაცებს კორუფციაში ადანაშაულებენ

თამარ კაციტაძე

*მას შემდეგ, რაც მერიის სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ჯულული ახვლედიანი კორუფციული ბრალდებებით თვეების წინ გაათავისუფლეს თანამდებობიდან, სამსახურს ახალი ხელმძღვანელი აღარ ღირსებია და, როგორც ირკვევა, კორუფციული საქმიანობა იქ კვლავაც გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უწყებაში საკადრო ცვლილება თვეების წინათ განხორციელდა, იქ ჯერაც არ გატარებულა სათანადო რეფორმები და არც მომდევნო საკადრო სიახლეზე უზრუნია ვინმეს. ფაქტებს, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, მერიის შესაბამისი სამსახური იკვლევს და მასალები უახლოეს დღეებში გამოსაძიებლად პროკურატურას გადაეცემა.*

გაგრძელება A7 გვერდზე

## ლარის "ლეიბორისტული" კურსი და ნათელაშვილის ფინანსური შორსმჭვრეტელობა

გიორგი ასანიშვილი

*მარტის პირველ დეკადაში შალვა ნათელაშვილი გამწარებულ დედას ჰგავს, რომელიც შვილის ცუდ გზაზე დადგომით არის აღშფოთებული: 3 მარტს - დედის დღეს – "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერმა დღევანდელი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური კურსი გააკრიტიკა, ხოლო გუშინ, 8 მარტს, სააკაშვილის გუნდს ეკონომიკური პოლიტიკა დაუწუნა. თუმცა, "გამწარებულ დედასა" და შალვა ნათელაშვილს შორის პარალელები ამ უკანასკნელის პრესკონფერენციების თარიღით ამოიწურება. რეალურად საქმე უფრო პირიქით არის: თუ მშობელი პირმშოს ბედზე გულწრფელად წუხს, "ლეიბორისტების" თავკაცს ერთი სული აქვს, როდის წაიტეხს კისერს ხელისუფლება.*

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 საზოგადოება

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 რეალიები | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## კახეთში გამგებლებს აკავებენ

*კახეთის რეგიონში ანტიკორუფციული ღონისძიებები გრძელდება. ამჯერად სამართალდამცავების სამიზნე გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის გამგებელი, ზქარია მჭედლიშვილი ხდება. გამგებლის დაკავების მიზეზად გაზეთებში - "24 საათში" და "კახეთის ხმაში" - გამოქვეყნებული პუბლიკაციები სახელდება.*

ბოლოდროინდელი დაჭერა-დაკავებების საფუძველი, როგორც პროკურორმა რევაზ ჩივიაშვილმა განაცხადა, "24 საათში" და რეგიონულ გაზეთ "კახეთის ხმაში" გამოქვეყნებული სტატიებია, რომელიც გურჯაანის რაიონში სარწყავი სისტემის უკანონოდ დაშლას და მილების ჩალის ფასად გაყიდვას ეხება. ჭერმის გამგებლის შემდეგ, ამჯერად წინასწარი პატიმრობის საკანში სოფელ ვაზისუბნის გამგებელი, ზაქარია მჭედლიშვილი მოხვდა, თუმცა გოგი მთავრიშვილისგან განსხვავებით, მჭედლიშვილს უფრო მძიმე ბრალდებას უყენებენ. მას პროკურატურამ ბრალად სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენება წაუყენა. საქმე ეხება სარწყავი სისტემებიდან ამოღებული მილების უკანონოდ გაყიდვას და თანხის მითვისებას: **"ზაქარია მჭედლიშვილი უკანონოდ ახდენდა მილების რეალიზაციას. მან, ფაქტობრივად, 42 ათასი ლარი მიითვისა. საერთოდ კი შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ 380 ტონა მილია დანაკლისი. ოფიციალურად კი დაფიქსირებულია 180 ტონა. ამჟამად სოფელ ვაზისუბნის გამგებელი დაკავებულია, როგორც ეჭვმიტანილი,"** - ამბობს რევაზ ჩივიაშვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ სოფელ ვაზისუბანში მილების ამოღება რამდენიმე წელიწადია, კერძო ფირმის მიერ არასწორად შედგენილი აუდიტის მიხედვით მიმდინარეობს. ერთი ტონა მეტალის ღირებულება, რომელიც ჯართის სახით საღდებოდა, 10 ლარს შეადგენდა. ეს მაშინ, როცა ერთი ტონის საბაზრო ფასი 150 ლარია.

პროკურორი რევაზ ჩივიაშვილი არ გამორიცხავს, რომ ადმინისტრაციული ღონისძიებები კიდევ გაგრძელდეს, რადგან გურჯაანის რაიონის უმრავლეს სოფლებში ანალოგიური მდგომარეობაა.

*ზვიად რუძე*
*კახეთიდან*

## ქართველი სამართალდამცველები აღიარებითი ჩვენების მოსაპოვებლად კვლავ წამების მეთოდს იყენებენ

დაბა გუდაურში დასრულდა ხუთდღიანი სემინარი, რომელიც ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - "წამების პრევენცია საქართველოში" ფარგლებში გაიმართა.

სემინარის ორგანიზატორი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის".

სემინარს, რომელსაც პოლონელი ექსპერტები უძღვებოდნენ, გენერალური პროკურატურისა და შს სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები და ჟურნალისტები ესწრებოდნენ.

სემინარზე განიხილეს საპატიმრო ადგილებში პატიმართა წამების ცალკეული ფაქტები. ევროკავშირის ექსპერტთა დასკვნით, ქართველი სამართალდამცველები აღიარებითი ჩვენებების მოსაპოვებლად კვლავ წამების მეთოდს იყენებენ. საუბარია როგორც ფიზიკურ, ისე მორალურ ზემოქმედებაზე.

სემინარზე პოლონელმა ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილეს წამების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო შეთანხმებასა და დოკუმენტებზეც, რომელთა მიხედვითაც, საქართველოს (რომელიც ევროსაბჭოს წევრი ქვეყანაა) ადამიანის უფლებების დაცვისა და, შესაბამისად, ადამიანის წამების, პატივისა და ღირსების შემლახავი ქმედებების აღმოფხვრის ვალდებულება აქვს აღებული.

*მედია-ნიუსი*

## გონიოს სამხედრო პოლიგონზე ჭურვების აფეთქება მოსახლეობას აზარალებს

რუსი სამხედროები ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გონიოს სამხედრო პოლიგონზე ვადაგასულ ჭურვებს აფეთქებენ, რის შედეგადაც ადგილობრივი მოსახლეობა ზარალდება. მძლავრი აფეთქებების შედეგად იმსხვრევა მინები, იბზარება კედლები.

ზარალის ასანაზღაურებლად რუსმა სამხედროებმა მინის პარტია შემოიტანეს, მაგრამ იგი მხოლოდ დაზარალებული მოსახლეობის ნაწილმა მიიღო.

გონიოს საკრებულოს თავმჯდომარის ზურაბ კახიძის თქმით, სამხედროები ჭურვებს დადგენილი ნორმების დარღვევით აფეთქებენ. "ჭურვების ვადის გასვლის შემდეგ მათი ან აფეთქება, ან გატანაა საჭირო. რუსები, როგორც ჩანს, პირველს ამჯობინებენ. ამასთან, ორმოში, მაქსიმუმ, 10-12 ჭურვი უნდა ჩაიყაროს ასაფეთქებლად, ისინი კი, როგორც ჩანს, მეტს ყრიან", - აღნიშნა მან.

მოსახლეობას ერთ კვადრატულ მეტრ მინაში 12 ლარის გადახდას ჰპირდებიან, მაშინ, როცა მისი რეალური ფასი 15 ლარს და მეტს შეადგენს.

უკმაყოფილო მოსახლეობა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მე-12 სამხედრო ბაზის მესვეურთაგან, მინის გარდა, დაზიანებული ბინების შეკეთებასაც მოითხოვს.

*ინტერ-პრესი*

## მიხეილ სააკაშვილი საფრანგეთს ეწვია

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ, ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით საფრანგეთში გაემგზავრა. პარიზში იგი საფრანგეთის პრეზიდენტ ჟაკ შირაკს და სხვა ოფიციალურ პირებს შეხვდება.

საუბარი ორ ქვეყანას შორის მომავალ ურთიერთობებს, აგრეთვე, ლევილის ქართული სასაფლაოს საქართველოსთვის გადმოცემის საკითხებს შეეხება.

საფრანგეთში ვიზიტი პრეზიდენტ სააკაშვილისთვის ამ რანგში საზღვარგარეთ რიგით მეოთხე ოფიციალური ვიზიტია. როგორც თავად სააკაშვილი აცხადებს, იგი ცდილობს, უცხოეთში დაგეგმილი ყველა ვიზიტი დროულად დაასრულოს, რათა შემდეგ ქვეყნის შიდა პრობლემებს მიხედოს.

12 მარტს დაგეგმილია პრეზიდენტის ვიზიტი მეზობელ სომხეთში.

*მედია-ნიუსი*

## კვიციანს, ჯერჯერობით, პატიობენ შევარდნაძის კაცობას



*უშიშროების საბჭოს მდივანი ამ ეტაპზე კოდორის ხეობაში საკადრო ცვლილებებს გამორიცხავს.*

გუშინ, დღის პირველ ნახევარში, პრეზიდენტის რწმუნებულმა კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანმა ერთ-ერთი ქართული სააგენტოსთვის მიცემულ კომენტარში ადგილობრივი "ნაცმოძრაობის" მიერ მის წინააღმდეგ გამოთქმული ბრალდებები გააპროტესტა და თავისი გულისნადებიც გაამხილა: რწმუნებული, თურმე, უახლოეს მომავალში პრეზიდენტთან შეხვედრას აპირებს. კვიციანი იმასაც აღნიშნავდა, რომ გუშინ დილით ტელეფონით ესაუბრა უშიშროების საბჭოს მდივანს ვანო მერაბიშვილს, რომელიც მას სიტუაციაში გარკვევას დაჰპირდა.

ამ ამბების ლოგიკური გაგრძელება იყო დღის მეორე ნახევარში ვანო მერაბიშვილის საგანგებო ბრიფინგი. უშიშროების საბჭოს მდივანმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ემზარ კვიციანი რწმუნებულის პოსტზე რჩება, ოღონდ, იგი კოდორის მიმართულების სარდალი აღარ იქნება. ამის მიზეზად მერაბიშვილი სამინისტროში მიმდინარე რეორგანიზაციას ასახელებს.

**"ემზარ კვიციანს, თუ სურვილი ექნება, აქვს საშუალება, კოდორის ხეობაში სტაბილურობა შეინარჩუნოს,"** - განაცხადა ბრიფინგზე უშიშროების საბჭოს მდივანმა. დავუშვათ და, შეინარჩუნა კვიციანმა სტაბილურობა. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ამით კვიციანი თავისი პოსტის სტაბილურობასაც უზრუნველყოფს? ერთი შეხედვით, ყველაფერი აქეთკენ მიდის: **"არანაირი გართულება არ გვაქვს პიროვნებათა მიმართ. საკითხს ასე არ ვუდგებით: ვინ შევარდნაძის მომხრეა და ვინ არ იყო შევარდნაძის მომხრე."** თითქოს კვიციანს აპატიეს აქტიური შევარდნაძისტობა, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ - მხოლოდ ამ ეტაპზე. ამას მოწმობს, თუნდაც, მერაბიშვილის ფრაზა: **"ადამიანებმა, ზოგადად, უნდა აგონ პასუხი თავიანთ დანაშაულზე".** მოგვიანებით, ვანო მერაბიშვილმა ამ ქარაგმულ ფრაზას ნათელი მოჰფინა: **"კვიციანი ყოფილი ხელისუფლების ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ მხარდამჭერად ითვლებოდა და, ალბათ, საზოგადოება ცვლილებებს მოელოდა... მაგრამ ჩვენ ვითვალისწინებთ ამ რეგიონის სირთულეს და ახლა იქ რაიმე სერიოზული საკადრო ცვლილებების გატარებას არ ვგეგმავთ."**

არც ის არის გამორიცხული, რომ ხელისუფლებამ ემზარ კვიციანს "გამოსაცდელი დრო" დაუწესა. უშიშროების საბჭოს მდივნის განცხადებით, კოდორში მიმდინარე მოვლენებზე მთელი პასუხისმგებლობა ემზარ კვიციანს ეკისრება.

ვანო მერაბიშვილი საზოგადოებას დაჰპირდა, რომ როგორც კი ამინდი გამოკეთდება, პრეზიდენტი სააკაშვილი ხეობის მოსახლეობას სერიოზულად მიაქცევს ყურადღებას.

*ვერიკო თევზაძე*

## შალიკიანის ოჯახის წევრები სასამართლოს გადაწყვეტილებას აპროტესტებენ

დეპუტატ ბონდო შალიკიანის ოჯახის წევრებმა სახელმწიფო კანცელარიის შენობის წინ შიმშილობა დაიწყეს. ისინი მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას აპროტესტებენ და პრეზიდენტ სააკაშვილის მეუღლესთან - სანდრა რულოვსთან ან პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრას მოითხოვენ.

**"სანამ ჩვენი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, შიმშილობას არ შევწყვეტთ,"**- აცხადებენ შალიკიანის ოჯახის წევრები.

როგორც ცნობილია, რვასაათიანი მსჯელობის შემდეგ მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ გვიან ღამით ტყიბულის მაჟორიტარ დეპუტატს ბონდო შალიკიანს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. ადვოკატები სასამართლოს გადაწყვეტილებას 48 საათის განმავლობაში საოლქო სასამართლოში გაასაჩივრებენ. მათი განცხადებით, ცესკო-ს შალიკიანისთვის სადეპუტატო იმუნიტეტის მოხსნის საფუძველი არ გააჩნდა და, გარდა ამისა, მის სახლში ჩხრეკა-ამოღების ოქმი კანონის ნორმების იგნორირებით დაიწერა. ბონდო შალიკიანის ერთ-ერთი ადვოკატის ვახტანგ თალაკვაძის თქმით, სასამართლო პროცესში ადვოკატის მონაწილეობას აზრი არ ჰქონდა, რადგან მოსამართლემ დამცველის არც ერთი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

გენერალური პროკურატურის შუამდგომლობის განხილვისას მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოსთან სასწრაფო დახმარების ჯგუფსაც მოუწია მისვლა. პროცესის დაწყებიდან, დაახლოებით, საათნახევარში ბრალდებულ დეპუტატს გულის შეტევა დაემართა და მედიკოსებმა მას სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების შემდეგ ბონდო შალიკიანი თბილისის N5 საგამოძიებო იზოლატორში გადაიყვანეს.

შეგახსენებთ, რომ საპარლამენტო არჩევნებში ტყიბულის რაიონის გამარჯვებული მაჟორიტარი დეპუტატი, ქუთაისის საკრებულოს წევრი, ადგილობრივი ტელეკომპანია "ქუთაისის" მფლობელი და იმერეთში ყველაზე გავლენიან ბიზნესმენად ცნობილი ბონდო შალიკიანი ქუთაისში 5 მარტს, გამთენიისას, საკუთარ სახლში დააპატიმრეს. შალიკიანის სახლის ჩხრეკა, რომლის დროსაც ორი ავტომატი და ერთი ხელყუმბარა აღმოაჩინეს, იმ მოტივით განხორციელდა, რომ არსებობდა ინფორმაცია ქუთაისში სპეცოპერაციის დროს გაქცეული ორი ბოროტმოქმედის ამ სახლში გადამალვის თაობაზე. როგორც გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები აცხადებენ, იარაღისა და ფეთქებადი საბრძოლო მასალის უკანონო შენახვის ბრალდებით დაპატიმრებულ ბონდო შალიკიანს, სავარაუდოდ, ბრალდება დაუმძიმდება. პროკურატურა წლების წინ ადამიანის გატაცების, მკვლელობისა და ეკონომიკური დანაშაულების თაობაზე აღძრულ საქმეებს გადახედავს. ამ საქმეების შესახებ "24 საათი" უკვე წერდა.

*24 საათი*

## ამომრჩეველთა სიები უბნებზე გამოიკრა

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შემუშავებული წინასაარჩევნო ღონისძიებების გრაფიკის თანახმად, გუშინდელი დღიდან ყველა საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა სიები უნდა გამოკრულიყო.

როგორც ცესკო-ს თავმჯდომარემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, დღეისთვის კომპიუტერულ ბაზაში 2 მილიონ 153 112 ამომრჩევლის მონაცემია შეყვანილი. ამ პროცესს თვალს ადევნებენ როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი დამკვირვებლები. რაც შეეხება მონაცემთა სიზუსტეს, ოპერატორებთან ერთად, მას კორექტორთა და რედაქტორთა ჯგუფებიც ადევნებენ თვალყურს.

წესით, დღეიდან - 21 მარტის ჩათვლით, ამომრჩეველთა სიები უნდა გადამოწმდეს. თავად ამომრჩეველს შეეძლება საკუთარი მონაცემების ნახვა როგორც უბანზე, ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინტერნეტ გვერდზე. ამასთან, კვლავ მუშაობს სატელეფონო "ცხელი ხაზი – 09". როგორც ცესკო-ში აცხადებენ, ამ ნომერზე დარეკვა და საჭირო ინფორმაციის მიღება ნებისმიერ ამომრჩეველს შეეძლება.

ამასთან, 21 მარტამდე რეგისტრაციას ის ამომრჩევლებიც გაივლიან, რომლებიც ოთხი იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების წინ საუბნო კომისიებში არ მისულან. ამის შემდგომ კი, არჩევნებამდე დარჩენილ ერთკვირიან ვადაში მონაცემთა საბოლოო გადამოწმება მოხდება.

გუშინ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჭიაბერაშვილმა თბილისის რამდენიმე საუბნო საარჩევნო კომისია მოინახულა. მოგვიანებით კი, დიდუბის მესამე საექსპერიმენტო უბანზე პრესკონფერენციაც გამართა და ჟურნალისტებს იმ მდგომარეობის შესახებ ამცნო, რომელიც ერთიანი საარჩევნო სიის ფორმირების თვალსაზრისით არის ქვეყანაში შექმნილი.

კვლავ გაურკვეველი სურათია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მხოლოდ გასულ კვირას მიიღო ამომრჩეველთა მონაცემები ბათუმის, ქედის, ქობულეთის, ხელვაჩაურის და ხულოს საარჩევნო ოლქებიდან, ხოლო შუახევიდან კი საერთოდ არანაირი მონაცემები არ შემოსულა.

ამასთან, ზურაბ ჭიაბერაშვილის თქმით, ამომრჩეველთა სიებზე მუშაობა ჯერ კიდევ არ დასრულებულა მარნეულში, ახალქალაქში. თანაც, ამ რაიონებში პრობლემებს ის ქმნის, რომ სიათა ნაწილი აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზეა შედგენილი.

დაბოლოს – დიდუბის მესამე ექსპერიმენტულ უბანზე კომისიის წევრებად დანიშნული სტუდენტები კენჭისყრის დღისათვის საკმაოდ სერიოზულად ემზადებიან. როგორც ცესკო-ში ამბობენ, უკვე დღეს მათ გაცილებით უკეთ იციან საარჩევნო კანონმდებლობა და პროცედურები, ვიდრე სხვა უბნებზე პარტიების მიერ დანიშნულმა, კომისიების თუნდაც სტაჟიანმა წევრებმა.

*24 საათი*

## სავალუტო ბირჟაზე სამი დღეა, ვაჭრობა არ შემდგარა

გუშინ თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე უქმე დღის გამო ვაჭრობა არ შემდგარა. 6 მარტს ჩატარებული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირდა ამერიკულ დოლართან მიმართებაში ლარის შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი – 1,190 ლარი. დღეს ვალუტის გადამცვლელი პუნქტები 1 დოლარს 1,180 ლარად ყიდულობდნენ და 1,190 ლარად ყიდდნენ.

*მედია-ნიუსი*

## ახალი სისტემის პრეზენტაცია

დღეს საქართველოს ენერგეტიკოსთა საზოგადოებისა და მეცნიერ-ენერგეტიკოსების ინიციატივით გაიმართება სამეცნიერო კონფერენცია, რომელზეც ახალი სისტემის პრეზენტაცია მოეწყობა.

იდეა გულისხმობს იმგვარი სააქციო საზოგადოებების შექმნას, რომლებიც გენერაციის ობიექტებთან პირდაპირი ხელშეკრულებების დადებითა და ანგარიშსწორების საბანკო სისტემის გამოყენებით მიაწვდიან ელექტროენერგიას სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებს.

ამ სისტემის მიხედვით, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი, როგორც შუამავალი გენერაციის ობიექტებსა და სადისტრიბუციო კომპანიებს შორის, ურთიერთობებში არ მონაწილეობს.

კონფერენციაზე საქართველოს მთავრობის წევრებიც არიან მიწვეულები.

*მედია-ნიუსი*

## ნავთობი ძვირდება

მსოფლიოს ფინანსური და სასაქონლო ბაზრების მუშაობა დღეს არასტაბილურ ვითარებაში დაიწყო. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში დოლარის კურსმა ევროსთან მიმართებაში მკვეთრად აიწია და შემდეგ ისევ დაეცა. დღეს ევროპულ ბაზარზე ერთი ევრო 1,2374 დოლარი ღირს.

ექსპერტები შექმნილ ვითარებას აშშ-ს ეკონომიკის ზრდის არასტაბილურობით ხსნიან, რაც ახალი სამუშაო ადგილების დეფიციტით არის განპირობებული. თებერვალში, აშშ-ში მხოლოდ 21 ათასი ადგილი იყო შექმნილი მოსალოდნელი 150 ათასი ახალი სამუშაო ადგილის ნაცვლად. ამ პროცესების პარალელურად, სასაქონლო ბაზრებზე აღინიშნება მოთხოვნილების ზრდა ნავთობსა და ლითონებზე, მათ შორის - ოქროზე.

დღეს ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე ელექტრონული ვაჭრობის შედეგად ნავთობის 1 ბარელის ფასმა 37,3 დოლარი შეადგინა, რაც ბოლო ორ წელიწადში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ოქროს ტროას უნციის ფასმა 408 დოლარს მიაღწია. მაღალი მოთხოვნილების ფონზე იზრდება სხვა ლითონების, მათ შორის - სპილენძის ღირებულებაც.

*მედია-ნიუსი*

## აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს ახალი თავმჯდომარე ეყოლება

აფხაზეთის ლეგიტიმური უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევნები 10 მარტს გაიმართება. არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღოს უმაღლესი საბჭოს 29 დეპუტატმა, თუმცა, მოხერხდება თუ არა მათი შეკრება, ძნელი სათქმელია.

აფხაზეთის ლეგიტიმური უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე წარდგენილი იქნება შვიდი კანდიდატურა. მათ შორის არიან თამაზ ნადარეიშვილის ორი ყოფილი მოადგილე - გიორგი გვაზავა და დავით გერგედავა, საორგანიზაციო საბჭოს წევრი ნაპოლეონ მესხია, დეპუტატები - ჯემალ გამახარია, დავით ლორთქიფანიძე და ვახტანგ ყოლბაია.

გავრცელებული ინფორმაციით, ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული კანდიდატურაა "ნაციონალური მოძრაობის" წევრი ზურაბ ჯგუბურია, რომელიც პარტიის საარჩევნო სიაში 57-ე ნომერია. **მედია-ნიუსი**

## პირველი ქალბატონი ქალთა პრობლემებს ისმენს



*სანდრა რულოვსი სარვამარტო შეხვედრაზე.*

*"საქართველოში ქალებს ჰქვიათ "დედოფალი", მაგრამ უფრო დიასახლისები არიან, ჰოლანდიაში პირიქითაა – ასეთი ლამაზი სახელით არ მიმართავენ, მაგრამ ხელისგულზე ატარებენ...რაც მე ქართველების რძალი ვარ, უფრო ტრადიციული გავხდი. რა თქმა უნდა, საქართველოში ქალთა უფლებები იქნება დაცული, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს ფემინისტური ტალღა მამაკაცების წინააღმდეგ მიმართული. ქალები და მამაკაცები ერთად უნდა ვიყოთ, შევავსოთ ერთმანეთი, გვქონდეს ჰარმონიული ოჯახები, რადგან მხოლოდ ასეთ ოჯახებში იზრდებიან ბედნიერი ბავშვები," – ბრძანა გუშინდელ შეხვედრაზე პირველმა ლედიმ, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია – "საერთაშორისო ქალთა დახმარება - კავკასიას" სტუმრობდა.*

**"ქართული საზოგადოების რეალობაა, რომ ქართველმა მამაკაცმა, სამწუხაროდ, დაკარგა ოჯახის მარჩენალის ფუნქცია და ეს იტვირთა ქალმა. მამაკაცებმა ისევ ჩვენი, ქალების, დახმარებით უნდა დაიბრუნონ თავისი დაკარგული ფუნქციები. ბალანსი უნდა აღდგეს. ქალები კი უნდა დავეხმაროთ და მხარში ამოვუდგეთ ერთმანეთს,"** - მიაჩნია პირველ ქალბატონს.

UNIFEM-ის კოორდინატორმა ლელა ბაქრაძემ ქვეყნის პირველ ქალბატონს აუწყა, რომ ქართველი ქალები სისხლხორცეულად არიან დაინტერესებული საკუთარ ქვეყანაში მშვიდობის დამყარებით, რომ მშვიდობა არა მხოლოდ ყველა ჩვენგანის უფლება, არამედ მოვალეობაცაა. მან ისაუბრა UNIFEM-ის მიერ სამხრეთ კავკასიაში განხორციელებულ პროექტებზე. მისივე ინფორმაციით, საქართველოს 7 უმაღლეს სასაწავლებელში იკითხება ლექციათა კურსი - "გენდერი და მშვიდობის მშენებლობა". ამ მუშაობის შედეგად შეიქმნა ქსელი - "ქალთა ერთობა მშვიდობისთვის". ქართველი ქალები აქტიურად არიან ჩართული კონფლიქტის მოგვარების პროცესში – ჰქონდათ შეხვედრები ცხინვალსა და გალში.

დევნილ ქალთა ასოციაცია "თანხმობის" ხელმძღვანელი იულია ხარაშვილი დამსწრეთ ესაუბრა სამოქალაქო განათლების პროგრამებზე. მან აღნიშნა, რომ ახალი მთავრობის მცდელობის მიუხედავად, "ქალთა პრობლემები მაინც გროვდება, რადგან ცხოვრება წინ მიდის და ახალ-ახალი მოთხოვნილებები ჩნდება. ქალბატონმა იულიამ სანდრა რულოვსს გააცნო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული რამდენიმე პროექტი; ხაზი გაესვა დევნილი ქალების მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, გალში დროებით დაბრუნებული მოსახლეობის მძიმე ყოფას.

ოფიციალური სტუმრების გარდა, შეხვედრას ესწრებოდნენ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი ქალბატონებიც, რომლებიც ქვეყნის პირველ ქალბატონს დიდხანს ესაუბრნენ მათთვის საჭირბოროტო საკითხებზე.

შეხვედრის ბოლოს მრგვალი მაგიდის მონაწილე ქალბატონებს დაურიგდათ მემორანდუმი. "საქართველოს ახალ პოლიტიკურ რეალობაში აუცილებელია საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესში ქალთა როლის ამაღლება და მათი ღირსეული განვითარებისთვის შესაფერისი გარემოს შექმნა," – ასეთია მემორანდუმის მთავარი აზრი. ამ მემორანდუმს პირველმა ხელი სანდრა რულოვსმა მოაწერა.

*ლელა მარგიანი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტია მასმედიას წინასაარჩევნო პროცესების გაშუქებისას ტენდენციურობაში ადანაშაულებს და ამის გამო, ცესკოში საპროტესტო განცხადება შეაქვს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის" პოლიტიკური მდივანი გია ბურჯანაძე პრეზიდენტ სააკაშვილის "ნაციონალურ მოძრაობას" უნდობლობას უცხადებს და 28 მარტისთვის დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში 90-იან წლებში გაიოზ მამალაძის მიერ დაფუძნებული "ნაციონალისტური პარტიის" სიით იყრის კენჭს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბათუმი. აჭარაში** წინასაარჩევნო კამპანია კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების სისტემატური დარღვევით მიმდინარეობს. ასეთ განცხადებას აკეთებს არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" აჭარის ფილიალის ხელმძღვანელი მირანდა ჩარკვიანი. ამასთან, მისი მტკიცებით, ყველა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე "აღორძინების კავშირის" წარმომადგენელია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილების მიუხედავად, ზუგდიდის საარჩევნო უბნებში გუშინ ამომრჩეველთა სიები არ გამოკრულა. ეს, ძირითადად, ქალაქში არსებულ უბნებს ეხება, ხოლო სოფლებში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა და იქ სიები უკვე გამოაკრეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბათუმი.** აჭარის მეთაური ასლან აბაშიძე აჭარაში მცხოვრებ ეთნიკურ აფხაზებს შეხვდა.

აჭარის მეთაური მიესალმა აჭარაში აფხაზური სათვისტომოს შექმნას და იქ მცხოვრებ აფხაზებს ფინანსური მხარდაჭერა აღუთქვა. ასლან აბაშიძის დავალებით, ბათუმში აფხაზეთის სათვისტომოსათვის შენობა გამოიყოფა. უკვე შეიქმნა სპეციალური საბჭო, რომელიც სათვისტომოს ხელმძღვანელს აირჩევს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანებული საბჭო" გრიბოედოვის სახელობის თეატრში დღეს, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა მონაწილეობით, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებული პრობლემების საჯარო განხილვას გეგმავს. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ლარის "ლეიბორისტული" კურსი და ნათელაშვილის ფინანსური შორსმჭვრეტელობა

პირველი გვერდიდან



შალვა ნათელაშვილი და მისი პოლიტ-ეკონომიკური თვალსაჩინოება.



ინტერ-პრესი

ნათელაშვილის ლოგიკით, ეს დღე არც ისე შორს არის, რადგან მმართველი ძალის ხელში, **"ქვეყანა ეკონომიკურ კატასტროფას განიცდის"**. თავისი ნათქვამის საილუსტრაციოდ, "ლეიბორისტური პარტიის" ლიდერმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე ფქვილის ორი სიმბოლური ტომარა მოიტანა. ერთს ეწერა: "25 ლარი, სააკაშვილის პრეზიდენტობამდე" და მითითებული იყო ლარის ძველი კურსი - "1 ლარი = 2,1 დოლარს" (?!). მეორე ტომარა "გვამცნობდა": "50 ლარი, სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემდეგ", ლარის დოლართან შეფარდება კი ასეთი გახლდათ - "1 ლარი = 1,8 დოლარს".

ისე, ლარის "ლეიბორისტული" კურსი რა სახსენებელია იმ უბედურებასთან შედარებით, რომ "ბანდიტური ხელისუფლების მოღვაწეობის" პერიოდში შაქრისა და ფქვილის ფასი ერთმანეთს ლამის გაუტოლდა! ფქვილის გაძვირება კი ნათელაშვილს საგონებელში აგდებს, რადგან მისი დაკვირვებით, **"ნახშირწყლები, რომელიც უხვად შედის პურში, კატასტროფულად აკლია მოსახლეობას."**

დღეს შექმნილი მდგომარეობა "ლეიბორისტების" ლიდერს მარიამ ანტუანეტას ეპოქას აგონებს - ცნობილია შემთხვევა, რომ, როდესაც დამშეული ხალხი პურის მოთხოვნით მიადგა, მას ძალიან გაკვირვებია და უთქვამს, პური თუ არა აქვთ, ნამცხვარი ჭამონო.

**"ეტყობა, სააკაშვილი პარიზში ანტუანეტას გამოცდილების გასაზიარებლად გაემგზავრა,"** - "ვარაუდობს" ნათელაშვილი. იგი მოითხოვს, რომ პურზე და სასიცოცხლოდ აუცილებელი სხვა პროდუქტების ბიზნესზე სახელმწიფომ მონოპოლია გამოაცხადოს და ფასების ზედა ზღვარი დააწესოს.

**"ფქვილზე ფასების დაწევას მხოლოდ ხუთწუთიანი კანონის მიღება (?!) სჭირდება",** - აცხადებს "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი.

გაჭირვებიდან ხალხის გამოყვანის გზები ნათელაშვილისთვის, რა თქმა უნდა, ცნობილია, მაგრამ დღევანდელი ხელისუფლება მას მოქმედების საშუალებას არ აძლევს. თუმცა, პესიმიზმი ნუ შეგიპყრობთ - 28 მარტის საპარლამენტო არჩევნები ხომ უკვე კარზეა მომდგარი! ნათელაშვილის ვარაუდით კი, ვარდების რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებაში მოსული ძალა ამ არჩევნებში სასტიკ მარცხს იგემებს. ასეთი შთაბეჭდილება ნათელაშვილს კახეთში ამასწინანდელმა სტუმრობამ შეუქმნა.

**"რეგიონში დღევანდელ ხელისუფლებას მოსახლეობის მხოლოდ ხუთი პროცენტი უჭერს მხარს, დანარჩენი 95 პროცენტიდან - 45 ჩვენს მიმართ კეთილგანწყობილია, ხოლო 50 პროცენტი, საერთოდ, ჩვენს ელექტორატს წარმოადგენს,"** - ისე, თუ გაბერვა იყო, ნათელაშვილს ბოლომდე უნდა გაებერა: სადაც 95 პროცენტია, იქ სამიოდე კიდევ წაემატებინა და მიხეილ სააკაშვილის 97-პროცენტიანი რეკორდი მოეხსნა.

"ლეიბორისტული პარტიის" თავმჯდომარეს ლარის კურსის გამყარებასთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება აქვს. **"ლარის კურსს სოროსი ათამაშებს, რათა ვარდების რევოლუციაზე დახარჯული თანხა უკან დაიბრუნოს. ამიტომაც ხდება ლარის კუპონიზაცია,"** - ამტკიცებს ნათელაშვილი.

სხვათა შორის, მისი ლოგიკა ძალიან ჰგავს ლუარსაბისას, რომელიც ბუზების გაფრენას "აწვებოდა". მართლაც, თუ ლარის კუპონიზაცია ხდება, მაშინ, გამყარების ნაცვლად, მისი დევალვაცია უნდა დაწყებულიყო. თანაც, ამ შემთხვევაში ხომ სოროსი მთლიანად დაანგრევდა საქართველოს ფინანსურ სისტემას და დანახარჯს უფრო იოლად ამოიღებდა. რატომ ხდება პირუკუ, ეს მხოლოდ ნათელაშვილმა იცის.

# ბრიტანელი სამხედრო ინსტრუქტორების მისია საქართველოში

პირველი გვერდიდან

მწვავე დეფიციტს განიცდიან და თანდათან კარგავენ მიღებულ გამოცდილებას. თანაც, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უკვე მეოთხე წელია მონაწილეობს საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში ბალკანეთზე, შარშანდელი წლიდან კი – ერაყში, ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში, ჯერჯერობით, არ არსებობს სპეციალიზებული სამშვიდობო ბრიგადა, სადაც საერთაშორისო კონფლიქტებში მიღებული ცოდნის აკუმულირება მოხდება.

ცხადია, ბრიტანელ ინსტრუქტორთა ექვსკაციანი ჯგუფი ვერ გააკეთებს საქართველოს ხელისუფლების გასაკეთებელ საქმეს, მაგრამ მაიორი ტიმ რობი და მისი თანამებრძოლები ექვსი კვირის მანძილზე მოამზადებენ 49 ქართველ ინსტრუქტორს, რომლებიც უკვე თავად უხელმძღვანელებენ ქართველი მშვიდობისდამცველების მომზადების პროცესს.

**"ჩვენ ყველანი მოქმედი სამხედროები ვართ და ამ სფეროში მოღვაწეობის საკმაო გამოცდილება გვაქვს. მე შარშან ვიყავი ერაყში, ჩემი ჯარისკაცები კი ნამყოფები არიან ჩრდილოეთ ირლანდიაში, ავღანეთსა და ბალკანეთზე. ჩვენი სწავლების მეთოდი დაფუძნებულია ბრიტანულ გამოცდილებაზე, რასაც იყენებენ გაერო-სა და ნატო-ს ოპერაციებში. მაგრამ ჩვენ არა მხოლოდ სამშვიდობო გამოცდილებას შევასწავლით ქართველ სამხედროებს, არამედ გავატარებთ მათ კაპრალების და სერჟანტების მომზადების კურსსაც, ვავარჯიშებთ საცეცხლე მომზადებაში,"** - აცხადებს მაიორი ტიმ რობი.

დიდი ბრიტანეთის მთავრობა ადრეც აფინასებდა საქართველოში სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებს (მაგალითად, ინგლისური ენის შემსწავლელი ცენტრი ან ოფიცერთა მომზადების კურსი სამხედრო აკადემიაში). ამჯერად ქართველ ინსტრუქტორთა მომზადების პროგრამის დასაფინანსებლად ლონდონმა 50 ათასი დოლარი გამოყო, ძირითადად, ბრიტანელი ჯარისკაცების მივლინებისა და საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად.

პროგრამის ფარგლებში, გასულ ზაფხულს, თავდაპირველად ექვსი ქართველი ოფიცერი ჩეხეთის ქალაქ ვიშკოვოში გაემგზავრა, სადაც, ბრიტანელების მიერ დაფუძნებული სამშვიდობო ოპერაციების ცენტრში, ერთდროულად 20 ქვეყნის წარმომადგენელი გადიოდა მომზადებას.

ბრიტანელ ინსტრუქტორებს საქართველოში დახვდათ 49-კაციანი კონტინგენტი, რომელიც თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ კოსოვოში ნამყოფი სამხედროებისა და "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამით მომზადებული პირადი შემადგენლობიდან შეირჩა. წვრთნები კი ტარდება გაუქმებული ჰაუპტვახტის ტერიტორიაზე, რომელიც ისე საგულდაგულოდ არის დანგრეული და გაძარცული ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან, რომ ძალიან წააგავს პოსტკონფლიქტურ დასახლებულ პუნქტს. ამ ნანგრევებში მოწყობილ სასწავლო წერტილებზე 49 ქართველ ოფიცერსა და სერჟანტს შორის ერთი ქალიც იმყოფება - ლეიტენანტი ია კაპანაძე, რომელიც პროგრამაში კონკურსით ჩაირიცხა.

ბრიტანელ ინსტრუქტორებს და მათ ქართველ შეგირდებს, თეორიული მომზადების შემდეგ, საკმაოდ ინტენსიური პრაქტიკული ვარჯიში ელოდებათ – მანქანების ჩხრეკა, მოქმედება დასახლებულ პუნქტებში, საკონტროლო გამშვები პუნქტების ორგანიზება, მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა და ჰუმანიტარული ტვირთების თანხლება. ორი კვირის შემდეგ ისინი პირველ საჩვენებელ წვრთნას გამართავენ ვაზიანის პოლიგონზე. თუ პროექტი გაამართლებს, მაშინ ბრიტანელთა მიერ მომზადებული ინსტრუქტორები უკვე დამოუკიდებლად შეძლებენ მსგავსი ტრენინგების ჩატარებას ქართველი სამხედროებისთვის. კონფლიქტური კერები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ხომ თავისთავად ზრდის მოთხოვნილებას პროფესიონალ მშვიდობისდამცველებზე.

თვალსაზრისი

# სამაგალითო ოპოზიცია

პირველი გვერდიდან

ქართული პოლიტიკური სპექტრის მეორე თავისებურება არის ის, რომ დღევანდელი ოპოზიცია არამცთუ რეალურად იბრძვის გამარჯვებისთვის, გამარჯვების სურვილსაც კი არ ამჟღავნებს. სწორედ ეს არის უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ დღევანდელი ოპოზიციის პარლამენტში მოხვედრა სათუოა და არა "ნაციონალ-დემოკრატების" პოპულარობა, ან 7 პროცენტიანი ბარიერი.

ოპოზიციის უმთავრესი მოწოდება მოსახლეობისადმი, როგორც წესი, არის შემდეგი - "ხელისუფლება უნდა წავიდეს, რადგან ვერ მართავს ქვეყანას, ქვეყნის კარგად მართვა შეგვიძლია ჩვენ!" ეს მოწოდება სულაც არ არის გამარჯვების საწინდარი, მაგრამ აუცილებელი წინაპირობაა.

ამის დასტურია თუნდაც უახლოესი თვეების ქრონიკა. ამომრჩევლები დაჟინებით მოითხოვდნენ "ნაციონალების", "დემოკრატების" და "ახალი მემარჯვენეების" გაერთიანებას, რადგან მათ აღარ მოსწონდათ შევარდნაძის ხელისუფლება და სურდათ, ეხილათ რეალური ძალა, რომელიც მას შეცვლიდა. "დემოკრატებს" და "მემარჯვენეებს" პოლიტიკურმა ალღომ უმტყუნათ. მათ არა მხოლოდ უარი თქვეს გაერთიანებაზე, არამედ საკმაოდ ბუნდოვანი საარჩევნო კამპანია აწარმოეს. იყო ბევრი საუბარი პატიოსნებაზე, სიმშვიდეზე, ეკონომიკურ რეფორმებზე და ა.შ., მაგრამ არ იყო მკაფიო პოზიცია მოსახლეობის მთავარი მოთხოვნის მიმართ. მიხეილ სააკაშვილის წარმატების საფუძველი სწორი საარჩევნო სტრატეგია იყო. მან თქვა: "საქართველო შევარდნაძის გარეშე!" და საქმით დაამტკიცა, რომ არაფერს შეეპუებოდა ამის განსახორციელებლად. "ნაციონალურმა მოძრაობამ", ფაქტობრივად, მარტომ იკისრა და შეასრულა ის ფუნქცია, რასაც ხალხი გაერთიანებულ ოპოზიციას აკისრებდა. მოსახლეობა ყოველდღიურად ხედავდა, რომ ხელისუფლება სასტიკად დევნიდა და ასისხლიანებდა "ნაციონალებს", თუმცა, ისინი შეუპოვრად აგრძელებდნენ ბრძოლას. ამ ფონზე კი "დემოკრატები" უდრტვინველად აგრძელებდნენ თავიანთ "დაშაქრულ" კამპანიას და თეთრი ხელთათმანებით, ფეხის დაუსველებლად ცდილობდნენ თევზის დაჭერას, რამაც ისინი სრულიად ლოგიკურ მარცხამდე მიიყვანა. ამომრჩეველთა უმრავლესობას მართლაც უნდოდა საქართველო შევარდნაძის გარეშე და ამიტომ აქტიურად დაუჭირა მხარი იმ ძალას, რომელიც ამ მოთხოვნის რეალიზაციისთვის იბრძოდა. რომელმა ძალამაც ამ თემაზე მიკიბულ-მოკიბული მუსაიფი არჩია, მოსახლეობამ დაკარგა მათთვის ხმის მიცემის მოტივი.

აშკარად ჩანს, რომ დღევანდელმა ოპოზიციამ არ გაითვალისწინა უახლოესი თვეების წარმატების და დამარცხების გამოცდილება. მათ არ დააყენეს პრეზიდენტობის კანდიდატი და, ფაქტობრივად, თეთრი დროშა გამოკიდეს. სააკაშვილის მაღალი რეიტინგი და, თუნდაც, წინასწარვე ცნობილი უეჭველი გამარჯვება, არ შეიძლება ყოფილიყო უბრძოლველად დანებების საფუძველი. ვინც არ იბრძვის, მას, ცხადია, არც მოსახლეობა დაუჭერს მხარს. თეთრი დროშით ოპოზიციამ აღიარა, რომ იგი არ არის პრეზიდენტის ოპოზიცია. შემდგომში მკვახე გამონათქვამები მიხეილ სააკაშვილის მისამართით საქმის არსს, ცხადია, არ ცვლის. ასეთ შემთხვევაში ოპოზიციონერების ბოლო ნავსაყუდელად რჩება პრემიერის და მთავრობის შეცვლის მოთხოვნა. ძველი კონსტიტუციით პარლამენტს მთავრობის გადაყენება არ შეეძლო, ახალი კონსტიტუციით ეს შესაძლებელია. ასე რომ, დღევანდელი ოპოზიციის საარჩევნო რესურსი მოსახლეობის ის ნაწილია, რომელიც განაწყენებულია მთავრობაზე. ყველაზე იდეალური მთავრობის შემთხვევაშიც კი განაწყენებული მოსახლეობის რაოდენობა ყოველთვის აღემატება არა მხოლოდ 7 პროცენტს, არამედ გაცილებით მეტს. სხვა საქმეა, რამდენად შეძლებს ოპოზიცია ამ ხმების მობილიზებას და მათთვის რეალური მოტივაციის გაჩენას. გამოცდილება გვეუბნება, რომ ოპოზიციას მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს ხალხის მხარდაჭერის იმედი, თუ თავისი ქმედებით დაამტკიცებს, რომ მართლაც ყველაფერს გააკეთებს მიზნების მისაღწევად. დღეს 7 პროცენტიანი ბარიერის გადალახვის შანსი თეორიულად აქვს ყველა მონაწილე ოპოზიციურ პარტიას, რეალურად კი ბარიერი შეიძლება გადალახოს მხოლოდ ერთმა, ძალზე სათუოა - ორმა და თითქმის გამორიცხულია - სამმა. ასეთ ვითარებაშიც კი ოპოზიციურმა პარტიებმა უარი თქვეს კოალიციის შექმნაზე და ცალ-ცალკე დგომა ამჯობინეს. ისინი არა მარტო ხელისუფლებას ჩაუდგნენ ოპოზიციაში, არამედ ერთმანეთსაც. ეს მით უფრო უცნაურია, რომ არც ერთ პარტიას არ მიუძღვის სააკაშვილის მსგავსი ენერგიული და საბრძოლველად შემართული ლიდერი. თუ მათ რეალურად აქვთ გაცნობიერებული თავიანთი რეალური რეიტინგი, "ვარდების რევოლუციის" შედეგად დაკარგული მრავალრიცხოვანი ელექტორატის პრობლემა, ასეთ შემთხვევაში რა შეიძლება იყოს ამ პარტიების რეალური მიზანი?

ნაკლებ სავარაუდოა, რომ ცალკე აღებულ რომელიმე ოპოზიციურ პარტიას იმის ილუზია ჰქონდეს, რომ არჩევნების შემდეგ უმრავლესობაში მოვა, მთავრობის შეცვლას აიძულებს პრეზიდენტს და თავისი პროგრამის განხორციელებას დაიწყებს. ამის თეორიული შანსიც კი არ არსებობს. აქედან გამომდინარე, ერთადერთი ლოგიკური სვლა იქნებოდა ფართო ოპოზიციური კოალიციის შექმნა, რომელიც თავის ძირითად საარჩევნო პროგრამად გაიხდიდა მთავრობის შეცვლის მოთხოვნას და ამ მიმართულებით დაიწყებდა ბრძოლას. ოპოზიციური პარტიების გაუერთიანებლობის მიზეზად ასახელებენ მსოფლმხედველობრივ განსხვავებას. ამ ვითარებაში არც ეს არის მაინცდამაინც ლოგიკური, ვინაიდან არც ერთს არავითარი პერსპექტივა არა აქვს მომავალ პარლამენტში საკუთარი პროგრამის რეალიზებისა. ერთადერთი, რაც მათ ამ ეტაპზე შეეძლოთ, გაერთიანება და მთავრობაზე შეტევაა. რადგან გაერთიანება არ მოხდა, ნათელია, რომ ოპოზიციამ საქმით უარი თქვა არა მხოლოდ პრეზიდენტის, არამედ მთავრობის რეალურ ოპოზიციონერობაზეც. სურათს ოდნავადაც ვერ შეცვლის ზოგადად ხელისუფლების თუნდაც ძალიან მწვავე სიტყვიერი კრიტიკა. რადგან უახლოესი პერიოდის პრაქტიკა აჩვენებს, რომ ამომრჩეველი საკმაოდ კარგად გრძნობს განსხვავებას სიტყვასა და საქმეს შორის. საბოლოოდ, არჩევნებში მონაწილე ოპოზიციური პარტიების ერთადერთ მიზნად რჩება საუკეთესო, იდეალურ შემთხვევაში, 12-15 დეპუტატის გაყვანა პარლამენტში. ეს, ცხადია, ვერ იქნება მთავრობით უკმაყოფილო მოსახლეობისთვის საკმარისი მოტივი მათ მხარდასაჭერად. ოპოზიციის გაუერთიანებლობას აუცილებლად მოჰყვება ხმების დაქსაქსვა, ანუ მათ ცალ-ცალკე შეიძლება აიღონ გარკვეული პროცენტები, რაც არ ეყოფა ბარიერის გადალახვას, მაგრამ ერთად შეკრებილი 7 პროცენტზე მეტი იქნება. ანუ რეალურად 7 პროცენტზე გაცილებით მეტი უკმაყოფილო მოსახლეობა პარლამენტში წარმომადგენლის გარეშე დარჩება. არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ძლიერ სავალალო შეიძლება აღმოჩნდეს ოპოზიციური პარტიებისთვის. მთავრობით უკმაყოფილო, ანუ განაწყენებული მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა, მოსალოდნელია, რომ არც მეტი, არც ნაკლები, ისევ "ნაციონალურ მოძრაობა - დემოკრატებს" მისცეს ხმა. ამგვარი განწყობა აშკარად შეიმჩნევა და ეს არ იქნება პარადოქსი. ვინაიდან ოპოზიცია არ გაერთიანდა და, აქედან გამომდინარე, მთავრობაზე ზემოქმედების პერსპექტივაც დაკარგა, ერთადერთი, ვისგანაც მთავრობის შეცვლის რეალური იმპულსი შეიძლება წამოვიდეს, ისევ "ნაციონალ-დემოკრატები" არიან.

ზოგი სწავლობს საკუთარ შეცდომებზე, უფრო გონიერები სწავლობენ სხვის შეცდომებზე. დღევანდელ ოპოზიციურ პარტიებს საკუთარი და სხვისი შეცდომებიც თვალწინ ჰქონდათ, არც ერთი გაითვალისწინეს და არც მეორე. ერთადერთი ნუგეში მათთვის შეიძლება იყოს ის, რომ თავად ხდებიან სამაგალითონი, თუ რა მოსდის იმას, ვინც არ ითვალისწინებს, რომ არჩევნები არ არის ოლიმპიადა, სადაც მთავარი მონაწილეობაა. ეს მაგალითი კიდევ ერთხელ გვიჩენს მორიგ იმედს, რომ ქართული პოლიტიკური სპექტრი მომავალში მაინც ისწავლის წინამორბედთა შეცდომებზე.

დღეს ბევრი საუბარია ევროსაბჭოს რეკომენდაციების და 7 პროცენტიანი ბარიერის 5 პროცენტამდე დაწევაზე, რათა ოპოზიციას შანსები გაზრდოდა. არჩევნების შემდეგ, ალბათ, საკმარისი დრო იქნება იმის გასაანალიზებლად, თუ როგორი სერიოზული შანსი გაუშვა ოპოზიციამ სწორედ 7 პროცენტიანი ბარიერის პირობებში.

# სტრუქტურული ცვლილებები ეკონომიკის სამინისტროში

## სამინისტროში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების ეკონომიკური გეგმის შექმნასაც გეგმავენ

*საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში ორი ახალი პროექტი განხორციელდება. შეიქმნება სპეციალური დეპარტამენტი, რომელიც რეგიონების ეკონომიკურ განვითარებასა და პოსტკონფლიქტური ზონების ეკონომიკურ რეაბილიტაციაზე იმუშავებს და მეორე - უახლოეს მომავალში სამინისტროში ინვესტიციებისა და ვაჭრობის სააგენტო გაიხსნება. მისი ძირითადი ფუნქცია ინვესტორებისთვის საინფორმაციო მომსახურების შექმნა იქნება.*

დიანა ჩაჩუა

როგორც ეკონომიკის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნათია თურნავამ "24 საათთან" საუბარში განაცხადა, **"დღემდე საქათველოში მსგავსი უწყებები გაკვეული ფორმით არსებობდა - მხოლოდ ნომინალურად და ფორმალურად. ის ფაქტი, რომ ჩვენ ამ პროექტების განხორციელებას ვიწყებთ, ველოსიპედის გამოგონება არ უნდა გვეგონოს, მსგავსი უწყებები ევროპაში ჩვეულებრივი მოვლენაა. სააგენტოსაც და დეპარტამენტსაც მკვეთრად გამოხატული ფუნქციები ექნება**."

როგორც ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ განაცხადა, დეპარტამენტი რეგიონებში სამუშაოებს ისევ ტრანსფერების საშუალებით განახორციელებს. **"ტრანსფერები ძალიან მიზნობრივად უნდა იყოს გამოყენებული, უნდა ჩანდეს პროგრამა და მიზანი. რადგან ბიუჯეტი პროგრამულ დაფინანსებაზე გადადის, ამიტომ რეგიონალურ ტრანსფერშიც პროგრამული დაფინანსება უნდა განხორციელდეს,"** – განაცხადა თურნავამ.

დეპარტამენტის ძირითადი მიზანი ქალაქსა და სოფელს შორის დარღვეული ბალანსის აღდგენა იქნება. თურნავას განცხადებით, ამ საკითხზე, ძირითადად, ინფრასტრუქტურის სამინისტრო იმუშავებს, თუმცა, როგორც მანვე დაამატა, **"თავად რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები ჩვენთან ერთად იქნება განხილული."**

თურნავას კომენტარით, დღეს საქართველოში სამუშაო ძალა საშინლად არაპროპორციულად არის განაწილებული და მთელი სამუშაო ძალა თბილისშია თავმოყრილი. მისი თქმით, თბილისი ლამის "თავკომბალას" დაემსგავსა და **"ერთ-ერთი პირველი, რაც უნდა განვახორციელოთ, არის ის, რომ შევძლოთ ქალაქსა და სოფელს შორის ბალანსის დამყარება; შევეცადოთ, რომ მომავალი საწარმოები ქალაქგარეთ განვათავსოთ. ეს ეკოლოგიის მხრივაც კარგი იქნება და ჩამორჩენისა თუ უთანაბრობის გამოსწორების თვალსაზრისითაც მომგებიანი იქნება."**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დეპარტამენტის ერთ-ერთი მიზანი პოსტკომფლიქტური ზონების ეკონომიკური რეაბილიტაცია იქნება. ამასთან დაკავშირებით თურნავა აღნიშნავს, რომ ჯერჯერობით არ არის შედგენილი დეპარტამენტის მუშაობის კონკრეტული გეგმა. პირველი, რასაც ისინი განახორციელებენ, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების ეკონომიკური გეგმის შექმნაა, **"აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნების გეგმაში არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხიც უნდა იყოს გათვალისწინებული. რუსეთის კრიზისის შემდეგ იყო პერიოდი, როდესაც სამაჩაბლოში რუბლზე მეტად ლარი მოქმედებდა, რატომ? იმიტომ, რომ ლარმა იმ მომენტისთვის თავისი თვისებებით, მსყიდველუნარიანობით რუბლს აჯობა. ამიტომ ეკონომიკა დიდი ძალაა და რეგიონების დაბრუნება არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეკონომიკურადაც უნდა გავხადოთ შესაძლებელი,"** – განაცხადა თურნავამ.

ამჟამად დეპარტამენტს არავინ ხელმძღვანელობს და არც ის არის გადაწყვეტილი, თუ რომელი კადრებით დაკომპლექტდება დეპარტამენტი. ყველაფერი ერთ თვეში, ახალი დანიშვნების დაწყების შემდეგ გადაწყდება.

ზემოთ აღნიშნული ინვესტიციებისა და ვაჭრობის სააგენტო ნახევარი წლის წინ შექმნილი სააგენტოს ბაზაზე გააგრძელებს მუშაობას. ახლად შექმნილი უწყება მთავარ აქცენტს ინვესტორების საინფორმაციო მომსახურებაზე აიღებს, **"წარმოიდგინეთ, ეს მომენტი ფინანსურ და სხვა დახმარებებზე უფრო მნიშვნელოვანია. ინვესტორი რომ ჩამოდის, იგი დეზორიენტირებულია; ამიტომ ჩვენ ერთი გაჩერების პრინციპით ვქმნით ისეთ სტრუქტურას, სადაც ინვესტორი წინასწარი გადაწყვეტილების მიღებამდე შეძლებს სასურველი ინფორმაციის მიღებას,"** – განმარტავს თურნავა.

მინისტრის მოადგილე არ გამორიცხავს, რომ სააგენტოს ფარგლებში (ბაზრების თვალსაზრისით) გარკვეული კვლევებიც გაკეთდეს. თუმცა, ამის გარდა, შესაძლებელია, რომ სააგენტომ კიდევ ერთი მოვალეობა აიღოს საკუთარ თავზე – თანადაფინანსებით დაეხმაროს ადგილობრივ ინვესტორებს.

როგორც თურნავამ აღნიშნა, სააგენტო სახელმწიფო დაფინანსებაზეა, მაგრამ **"ძალიან ინტენსიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან, მსოფლიო ბანკთან და სხვა დონორ ორგანიზაციებთან, რათა დაგვეხმარონ ამ პროექტის დახვეწაში. სხვათა შორის, პროექტმა დონორებში იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია, ვიმედოვნებთ, რომ სააგენტოს მხარდამჭერებს ადვილად მოვნახავთ."**

"24 საათთან" საუბრის ბოლოს თურნავამ აღნიშნა, რომ მეორე პროექტში ერთი დიდი სირთულეა – სააგენტოს შექმნა კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებების შეტანას გულისხმობს, **"სააგენტოს პირველადი სახით შექმნისათვის სპეციალური კანონი შეიქმნა. რადგან უწყება ახალ ფუნქციებს შეიძენს, ამიტომ კანონშიც დამატებითი ცვლილებების შეტანა იქნება საჭირო,"** – განაცხადა თურნავამ.

# ინვესტიციების მოსაზიდად საქართველოში შესაბამისი ინფრასტრუქტურაა შესაქმნელი

*საქართველოში სახელმწიფო ქონების დიდი ნაწილი უკვე პრივატიზებულია. ჩვენში ისე ჩატარდა მასობრივი პრივატიზაციის ძირითადი ეტაპი, რომ არც კი არსებობდნენ ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტები, როგორიცაა ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები, საინვესტიციო ბანკები (საბროკერო კომპანიები). ექსპერტთა აზრით, დღეს მაინც უნდა ამოქმედდეს საბაზრო ეკონომიკის ის ინსტიტუტები, რომლებიც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში კაპიტალის დაცულობას, მის მომგებიანობას და კონკურენტუნარიანობას უზრუნველყოფენ.*

თამარ დოლიძე

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის ათწლიანი ისტორიის მანძილზე, სათანადოდ ვერა და ვერ განვითარდა ვერც ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ვერც საინვესტიციო ბანკები, ვერც საინვესტიციო ფონდები, რომელთა არსებობამაც საზოგადოების ფართო ფენებს ფულის მომგებიანად განთავსების საშუალება უნდა მისცეს.

საქართველოს კანონმდებლობით, საინვესტიციო ბანკებს საბროკერო კომპანიები ეწოდება. დღეისათვის საქართველოში 25 საბროკერო კომპანია ფუნქციონირებს.

საინვესტიციო ბანკი მონაწილეობს საწარმოს ფინანსური გეგმის შედგენაში, რომელშიც, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შემდეგ, სხვა საკითხებთან ერთად აღნიშნული უნდა იყოს, თუ რა გზითა და ფორმებით უნდა მოხდეს კაპიტალის მოზიდვა.

კომერციულ ბანკში სესხის აღება კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა. მაგრამ საინვესტიციო ბანკი საწარმოების ალტერნატიულ დაფინანსებას უზრუნველყოფს. საწარმოს მიერ ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით, იგი მოსახლეობისგან, ინსტიტუციონალური ინვესტორებისგან (როგორიცაა საინვესტიციო და საპენსიო ფონდები), აგრეთვე, ნებისმიერი სხვა ინვესტორისგან საწარმოსთვის აუცილებელ თანხებს მოიზიდავს.

ამ სიტუაციას ინვესტორთა პოზიციიდანაც შეგვიძლია შევხედოთ. არსებობს შედარებით წვრილ ინვესტორთა არმია, რომელთაც უნდათ ფულის განთავსება მომგებიანად, მაგრამ თუ ნაკლებად არის განვითარებული შესაბამისი ინსტიტუტები, როგორიცაა, მაგალითად, საინვესტიციო კონსულტანტი, საბროკერო კომპანია, რომელიც ინვესტორს გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება, ამგვარ ინვესტორთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება გაძნელდება. ამჟამად არსებობს ამ ტიპის უამრავი პრობლემა, რომელიც საწარმოების და, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას ზღუდავს.

თუ რა მნიშვნელობა აქვს საინვესტიციო ბანკების განვითარებას გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მყოფი ქვეყნისთვის, კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს საფონდო ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი ლოლაძეს: **"საწარმოთა განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია ფასიანი ქაღალდების ბაზრის ნორმალური ფუნქციონირება, რათა ეფექტურად მოხდეს უცხოელ და ადგილობრივ ინვესტორთა მოზიდვა ჩვენს საწარმოებში. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომუშავე საფონდო ბაზარი, მისი მთელი ინფრასტრუქტურის ჩათვლით, კორუფციისა და ჩრდილოვანი გარიგებების წინააღმდეგ მოქმედი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორიცაა. ამ სფეროში საკანონმდებლო ბაზა ჩვენთან საკმაოდ ნორმალურია და უცხოელ ინვესტორთა მოთხოვნებს შეესაბამება. ამ ბაზრის მთავარი მოქმედი პირებიც - საინვესტიციო ბანკები ანუ საბროკერო კომპანიები - ძალიან მკაცრად რეგულირებული სტრუქტურები არიან, რადგან მათი საქმიანობა დაკავშირებულია ფინანსური ინსტრუმენტების განთავსებასთან. ეს რეგულირება ხორციელდება როგორც საქართველოს საფონდო ბირჟის, ასევე საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ."**

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ უცხოური საინვესტიციო ბანკები, ჯერჯერობით, საქართველოთი დაინტერესებულნი არ არიან. ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ჯერ ადგილობრივი ფინანსური სტრუქტურები იწყებენ განვითარებას და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბაზარი განვითარების გარკვეულ მასშტაბს მიაღწევს, უცხოური საინვესტიციო ბანკების ჩართვა ხდება.

საქართველოში, პრაქტიკულად, არ არის განვითარებული არც საინვესტიციო ფონდების ინსტიტუტი: ეს სულ სხვა ტიპის ინსტიტუტებია, ხშირად მათ ფულის ტომრებსაც უწოდებენ, სადაც აკუმულირებულია ინვესტორთა უდიდესი თანხები. ფონდის მენეჯერებისა და საბროკერო კომპანიების მომსახურების გამოყენებით ხდება საინვესტიციო ფონდებში აკუმულირებული ამ უზარმაზარი თანხების განთავსება სხვადასხვა ფასიან ქაღალდებში.

ცხადია, ინსვესტორს სურს, ფინანსები სხვადასხვა ფასიან ქაღალდებში დააბანდოს, და არა, ვთქვათ, ერთი ცალკე აღებული საწარმოს აქციებში, ვინაიდან ფინანსური მენეჯმენტის საფუძველთა საფუძველია ინვესტიციათა დივერსიფიკაცია, რაც მკვეთრად ამცირებს რისკებს და, ამ შემთხვევაში, ინვესტორი თავს გაცილებით დაცულად გრძნობს.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს: ისეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხი, როგორიცაა დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა, საფონდო ბაზრის განვითარების, მისი სრულფასოვნად ფუნქციონირების გარეშე წარმოუდგენელია.

ექსპერტები ირწმუნებიან, რომ როცა საფონდო ბირჟასა და მასთან დაკავშირებულ სხვა ინსტიტუტებს ხელისუფლებისა და უცხოური დონორების მხრიდან სათანადო ყურადღება დაეთმობა, საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ძირითადი მექანიზმების ამოქმედება შესაძლებელი გახდება.

სამწუხაროდ, რაც ამ მიმართულებით ჩვენს მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში მოხდა, ჩვენთან არ განხორციელებულა. სახელმწიფოს საფონდო ბირჟისათვის ისეთი ელემენტარული პრობლემაც კი არ მოუგვარებია, როგორიც სათანადო ფართის გამოყოფაა.

"24 საათს" საქართველოს საფონდო ბირჟის ხელმძღვანელობამ განუცხადა, რომ მთავრობის თანამედროვე რეფორმატორული გუნდისთვის სრულიად ცხადი უნდა იყოს, რომ საფონდო ბაზრის ამ ინსტიტუტების გარეშე ვერ განვითარდება საწარმოები და ვერ შევძლებთ ინვესტიციების ეფექტურად მოზიდვას. როცა საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისად განვითარდება ფასიანი ქაღალდების ბაზარი, გააქტიურდება საფონდო ბირჟა, საინვესტიციო ბანკები, მაშინ ინვესტორთა მოზიდვა საქართველოში გაცილებით გაადვილდება და ქვეყნის ეკონომიკაც სწრაფი ტემპით განვითარდება. ამ მიმართულებით სასწრაფოდ მკვეთრი ნაბიჯებია გადასადგმელი.


## "ს/ს თელასის" განცხადება

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

**11 მარტს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**
ნუცუბიძის პლატოს 2 მიკრორაიონის 1, 2, 3, 4 და 5 კვარტლების, ნუცუბიძის პლატოს 2 მიკრორაიონის, ნუცუბიძის პლატოს 3 მიკრორაიონის 1, 2, 3 და 4 კვარტლების, ნუცუბიძის(ნაწილობრივ), შატილის, ძოწენიძის, ბესო ჟღენტის, გურიელის, მარგიანის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**11 მარტს, 10.00-დან 16.00-სთ-მდე:**
მუხიანის III, IV ა და IV ბ მიკრორაიონების მაცხოვრებლებს.

## შპს "საქართველოს რკინიგზის" განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** შპს "საქართველოს რკინიგზას" აცხადებს ღია ტენდერს ღორღის და ქვიშის (იხ. შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი) შესყიდვის მიზნით და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** საქონლის მიწოდება განხორციელდება სამ ნაწილად (ყოველთვიურად 650 კუბური მეტრი სამშენებლო ქვიშა, 850 კუბური მეტრი სამშენებლო ღორღი, 7834 კუბური მეტრი სალიანდაგო ღორღი). პირველი მიწოდება უნდა განხორციელდეს შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დღიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში, შპს "საქართველოს რკინიგზასა" და ტენდერში გამარჯვებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადებები სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინონ ქართულ ენაზე 2004 წლის 24 მარტიდან 26 მარტის 17 საათამდე. მისამართი: 0112 ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი 15, შპს "საქართველოს რკინიგზა", ტელ: 953605; 950096; 564747; ფაქსი: 950096.

**4.** სატენდერო წინადადების საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიულ პირთათვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება;

ე) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;

ვ) ინფორმაცია ბოლო 3 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მომსახურეობის შესახებ.

4.2 ფიზიკურ პირთათვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება;

ე) დადგენილების ასლი საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის შესახებ;

ვ) ინფორმაცია ბოლო 3 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მომსახურეობის შესახებ.

**5.** იურიდიული და ფიზიკური პირი არ დაიშვება შეფასებაზე, თუ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**6.** იურიდიული და ფიზიკური პირების შეფასება განხორციელდება წარმოდგენილი სატენდერო წინადადების, წინამდებარე განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიხედვით.

**7.** ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლენილ იქნას რამოდენიმე გამარჯვებული ლოტების მიხედვით (იხ. შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი)

**8.** ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებზე სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 500 ლარის ოდენობის სატენდერო დოკუმენტაციის საფასურის გადახდის შემდეგ, 2004 წლის 23 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი 15, შპს "საქართველოს რკინიგზა", შესყიდვების სააგენტო. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

**9.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზა"-ში, მისამართზე 0112 თბილისი, თამარ მეფის გამზირი 15, ტელ: 564747. ელ.ფოსტა: ldolidze@.Railway.ge; და ვებ-გვერდი http://www.railway.ge ; საკონტაქტო პირი - შესყიდვების სააგენტოს უფროსი სპეციალისტი ნესტორ ფაცაცია.

**შპს "საქართველოს რკინიგზა"**
**სატენდერო კომისია**

**შესასყიდი პროდუქციის ჩამონათვალი**

| ლოტი | მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | რაოდენობა |
|---|---|---|
| I | სალიანდაგო ღორღი - 7192-85. ფრაქციით 30X65 | 23500 კუბური მეტრი |
| II | სამშენებლო ღორღი - 5-20 გოსტი 8269-85 | 2550 კუბური მეტრი |
| | სამშენებლო ქვიშა - გოსტი 8735-85 | 1950 კუბური მეტრი |

## შპს "საქართველოს რკინიგზის" განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ღია ტენდერს 1455 ტონა დიზელის საწვავის (L 02-62; დ ჟრ 305-82) შესყიდვის მიზნით და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

2. საქონლის მიწოდება განხორციელდება სამ ნაწილად (ყოველთვიურად 485 ტონა). პირველი მიწოდება უნდა განხორციელდეს შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დღიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში, შპს "საქართველოს რკინიგზასა" და ტენდერში გამარჯვებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

3. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადებები სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინონ ქართულ ენაზე 2004 წლის 24 მარტიდან 26 მარტის 17 საათამდე. მისამართი: 0112 ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი 15, შპს "საქართველოს რკინიგზა", ტელ: 953605; ფაქსი: 950096.

4. სატენდერო წინადადების საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიულ პირთათვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება;

ე) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;

ვ) ინფორმაცია ბოლო 3 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მომსახურეობის შესახებ.

4.2 ფიზიკურ პირთათვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრობის საქმის წარმოება;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება;

ე) დადგენილების ასლი საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის შესახებ;

ვ) ინფორმაცია ბოლო 3 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მომსახურეობის შესახებ.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი არ დაიშვება შეფასებაზე, თუ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. შეფასება განხორციელდება წარმოდგენილი სატენდერო წინადადების, წინამდებარე განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიხედვით.

7. ტენდერში მონაწილეობის მსურველებზე სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 500 ლარის ოდენობის სატენდერო დოკუმენტაციის საფასურის გადახდის შემდეგ, 2004 წლის 23 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი 15, შპს "საქართველოს რკინიგზა", შესყიდვების სააგენტო. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზა"-ში, მისამართზე 0112 თბილისი, თამარ მეფის გამზირი 15, ტელ: 564747. ელ.ფოსტა: ldolidze@.Railway.ge; და ვებ-გვერდი http://www.railway.ge ; საკონტაქტო პირი შესყიდვების სააგენტოს უფროსი სპეციალისტი - ნესტორ ფაცაცია.

**შპს "საქართველოს რკინიგზა"**
**სატენდერო კომისია**

# ერაყის დროებითი კონსტიტუცია

### საპარლამენტო მანდატების 25 პროცენტი - ქალებს

*ერაყს უკვე საკუთარი კონსტიტუცია აქვს. მართალია, ის დროებითია, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს. ომისაგან დანგრეულ და გაპარტახებულ ქვეყანაში ეს უკვე ბევრს ნიშნავს. კონსტიტუციის მიღება ბევრ პრობლემასთან იყო დაკავშირებული. ყველაზე დიდი წინააღმდეგობა კი შიიტელი ერაყელებისაგან მომდინარეობდა. გუშინ შიიტების სულიერმა ლიდერმა აიათოლა ალი სისტანიმ კონსტიტუციის მხარდაჭერაზე თანხმობა განაცხადა. დღეიდან ქვეყანა ახალი კანონით იწყებს ცხოვრებას.*

ლაშა გიორგიძე

აშშ-სა და ერაყის ოფიციალურმა პირებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ დროებითი კონსტიტუციის ხელმოწერის ცერემონიალი სადღესასწაულო და დასამახსოვრებელი გამხდარიყო ერაყელი ხალხისათვის. ამაზე მეტყველებდა ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი ბავშვები, რომლებიც პატრიოტულ სიმღერებს მღეროდნენ, ერაყის რუკა, რომელიც თითქმის ყველგან იყო გაკრული და წარწერა მასზე: **"ჩვენ ყველანი ახალი ერაყის წევრები ვართ"**. თუმცა, ასე ნამდვილად არ ფიქრობდნენ ერაყის "მმართველი საბჭოს" წარმომადგენლები, რომელთაც ახალი ერაყის ახალ კონსტიტუციაზე უნდა მოეწერათ ხელი. პროცესი კიდევ ერთხელ გადაიდო. ქვეყნის ძირითადი კანონის შესახებ დებატები დიდი ხნის მანძილზე მიმდინარეობდა. საკვანძო იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა ისლამის როლი კანონშემოქმედების პროცესში, ერაყელთათვის ყველაზე მტკივნეული ქურთების საკითხი, პრეზიდენტის როტაციისა და ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის პრობლემები.

ამ დებატებში კი, ძირითადად, მონაწილეობდნენ შიიტები, სუნიტები და ქურთები, აშშ კი მათ საკუთარ რჩევებს აძლევდა (საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით) და არაჩვეულებრივად აგრძელებდა მომრიგებლის როლის თამაშს. თუმცა, თვით აშშ-სთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, რაც შეიძლება მალე მიეღოთ კონსტიტუციის დროებითი ვარიანტი. მიუხედავად იმისა, რომ კანონი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას მხოლოდ გარკვეული პერიოდის მანძილზე მოაწესრიგებს, მასში ჩამოყალიბებული იქნება ის პრინციპები, რის შესრულებასაც უკვე გვერდს ვერ აუვლის მომავალი ხელისუფლება. ქვეყნის მთავრობა კი მალე გადავა ერაყელთა ხელში. ზუსტი დროც ცნობილია, 2004 წლის 30 ივნისი, თუკი ისიც ისევე არ გადაიდო, როგორც დროებითი კონსტიტუციის რატიფიკაცია.

მიუხედავად დაპირისპირებისა, მაინც ჩანდა, რომ ქვეყნის ძირითადი კანონის დროებითი ვარიანტი დასრულებულ სახეს მიიღებდა. აშშ-ს მიერ ჩამოყალიბებული მმართველი საბჭოს წევრები აცხადებდნენ, რომ მისი მიღება გახდებოდა ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ქვეყნის ისტორიაში მომდევნო 100 წლის განმავლობაში. თუმცა, ასე ფიქრობდნენ მხოლოდ პროამერიკულად მოაზროვნე ერაყელები და არა სხვები, თუნდაც სასულიერო თემის წარმომადგენლები, რომლებიც მუდმივად პოულობდნენ მიზეზს, უარი ეთქვათ ხელის მოწერაზე.

ამერიკელებისა და ერაყელების მიერ მომზადებული კანონპროექტი ოფიციალურად მოიხსენიება, როგორც "გარდამავალი ადმინისტრაციული კანონი", რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის დროებით მნიშვნელობას. ერაყის დროებითი კონსტიტუცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც წერილობითი წყარო, თუ როგორ ხედავს ამერიკა ერაყის დემოკრატიულ განვითარებას, რაც, თავის მხრივ, დემოკრატიული რეფორმების გატარების წინაპირობაა მთლიანად რეგიონში.

ამ კანონის მიხედვით, ერაყს ეყოლება პრეზიდენტი, აღჭურვილი უმაღლესი მთავარსარდლის უფლებამოსილებით და ორი ვიცე-პრეზიდენტი, რომლებიც ქვეყნის პირველი პირის მრჩევლებად შეიძლება მოვიაზროთ. მთავრობის მეთაურობას კი პრემიერ-მინისტრი აიღებს საკუთარ თავზე. შიიტების თქმით, ქვეყნის პრეზიდენტი მათი რიგებიდან უნდა იყოს არჩეული, რადგანაც ისინი მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ. სუნიტები და ქურთები კი როტაციის მომხრეები არიან და აღნიშნავენ, რომ ეს პოსტი გარკვეული პერიოდით მათმა წარმომადგენლებმაც უნდა დაიკავონ. გარდამავალი ადმინისტრაციის კანონის მიხედვით, ხელისუფლება იყოფა სამ შტოდ, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო, კლასიკური დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე, სადაც თითოეული მათგანი დამოუკიდებელია დანარჩენი ორისაგან, თუმცა მათ შორის იმოქმედებს "შემოწმებისა და დაბალანსების" ცნობილი სისტემა.


ერაყის მმართველმა საბჭომ დროებითი კონსტიტუცია დაამტკიცა.

დროებითი კონსტიტუციის კანონპროექტში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ადამიანის უფლებებს, რომლებიც შედგენილია "ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციისა" და "სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო კონვენციის" საფუძველზე. მთელი რეგიონისათვის უპრეცედენტოა ის ფაქტი, რომ საპარლამენტო მანდატების 25 პროცენტი უნდა გადაეცეთ ქალებს. მიუხედავად ამისა, ქალთა უფლებების დამცველები აცხადებენ, რომ თანაბარი უფლებები არ არის დაცული ქალსა და მამაკაცს შორის ისეთ საკითხებში, როგორიცაა: ქორწინება, მემკვიდრეობის მიღება, შვილების მოქალაქეობა და ა.შ., რაც, მათი აზრით, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს გარდამავალმა ადმინისტრაციულმა კანონმა.

დანამდვილებით არავინ იცის, ბაღდადსა და ქერბელაში განხორციელებულ ტერაქტს ჰქონდა თუ არა რაიმე საერთო კანონპროექტის რატიფიკაციასთან, თუმცა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი "რევოლუციური" კონსტიტუციით არ აღფრთოვანდებოდნენ რეგიონის სხვა ქვეყნები, რომლებიც გარკვეულ საფრთხეს თავიანთი რეჟიმების წინააღმდეგაც ხედავენ. მეორე მხრივ, ეს შეიძლება იყოს შიიტებსა და სუნიტებს შორის დაპირისპირებების გაღრმავების მცდელობა, რადგან აფეთქება, რომელმაც 170-ზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა, სწორედ შიიტთა დღესასწაულზე მოხდა.

როგორც აღვნიშნეთ, დაპირისპირების ერთ-ერთი საფუძველი იყო ისლამის როლი კანონშემოქმედების პროცესში. რელიგიურ ფუნდამენტალისტებს სურთ, რომ კანონმდებლობის საფუძველი მხოლოდ რელიგიური კანონები გახდეს. ეს კი მაქსიმალურად ეწინააღმდეგებოდა აშშ-ს ინტერესებს, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკელებმა თავიანთი ჯარისკაცების სიცოცხლე შესწირეს იმას, რომ რეგიონში მიეღოთ კიდევ ერთი ფუნდამენტალური, ისლამური სახელმწიფო. თუმცა, დროებითი ადმინისტრაციის ამერიკელმა ხელმძღვანელმა პოლ ბრემერმა გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ აბსოლუტურად გვერდის ავლა რელიგიურ საკითხებზე არ შეიძლებოდა, როდესაც ქვეყნის მოსახლეობის 60 პროცენტი შიიტია, არანაკლები უმრავლესობა კი სუნიტი, ამიტომ ისლამი გახდება "ერთ-ერთი წყარო" (და არა ერთადერთი), რითიც იხელმძღვანელებენ მომავალი მუდმივი კონსტიტუციისა და სხვა კანონების მიღების დროს.

ყველაზე მწვავე პრობლემა კონსტიტუციის კანონპროექტის შექმნის პროცესში ქურთების საკითხი გახდა. როგორც მათი წარმომადგენლები ამბობენ, მათთვის მისაღებია ფედერაციული რესპუბლიკა, თუკი დაყოფა მოხდება ეთნიკურ ნიადაგზე. ამის განხორციელება კი ნიშნავს იმას, ჩრდილოეთ ერაყის ტერიტორია, რომელიც თითქმის ქურთული მოსახლეობითაა დასახლებული, ფაქტობრივი ავტონომია იქნება, რისთვისაც ისინი გამუდმებით იბრძვიან. მიუხედავად იმისა, რომ ფედერაციის პირობებში, შიიტებისთვისაც იგივე პირობები იქმნება, ისინი წინააღმდეგი არიან. გარდა ამისა, კონსტიტუციის კანონპროექტში ჩაიდო მუხლი, რის მიხედვითაც, მუდმივი კონსტიტუციის მისაღებად 2005 წლამდე უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი, თუმცა საკმარისია, სამმა ფედერალურმა რეგიონმა უარი განაცხადოს მის მიღებაზე, რომ მოხდება კონსტიტუციის დაბლოკვა. ახალი დროებითი ადმინისტრაციული კანონის მიხედვით კი ქურთები სწორედ სამ რეგიონს ქმნიან ქვეყნის ჩრდილოეთით, ამით მანიპულირება კი ქურთებს არ გაუჭირდებათ. ამის შესახებ პროტესტი გამოთქვეს ერაყელმა თურქებმაც, რომლებმაც განაცხადეს, რომ ქვეყნის "არაბიზაციასთან" ერთად ერაყის "გაქურთება" უფრო მეტ პრობლემებს შეუქმნის რესპუბლიკას ჩრდილოეთით. შეიძლება ითქვას, რომ ქურთების საკითხი, თუნდაც ამ კონსტიტუციასთან დაკავშირებით, გადაიქცა იმ კვანძად, რომლის გაკვეთაც "ხმლის ერთი დაკვრით" არ მოხერხდება.

მიუხედავად უდიდესი წინააღმდეგობისა, აშშ არ აპირებს გეგმის შეცვლას, იგი ხელისუფლებას დათქმულ დროს გადასცემს ერაყის დროებით მთავრობას. ამერიკისათვის ღირსების საკითხია, რომ შეასრულოს პირობები, რაც მან საერთაშორისო საზოგადოებას მისცა, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს პირობები გაჯერებულია მისი ინტერესებით.

# „საბერძნეთი მსოფლიოს თავის ნამდვილ სახეს უჩვენებს"

საბერძნეთში სოციალისტთა 11 წლიანი მმართველობა დასრულდა. კვირას გამართულ არჩევნებში კონსერვატიულმა მემარჯვენე-ცენტრისტულმა პარტიამ "ახალმა დემოკრატიამ" გაიმარჯვა. შესაბამისად, საბერძნეთს ახალი მთავრობა ჰყავს, რომელსაც სათავეში გამარჯვებული პარტიის ლიდერი კოსტას კარამანლისი ჩაუდგა სათავეში. გუშინვე ახალმა პრემიერ-მინისტრმა საბერძნეთის მოსახლეობას მიმართა. მისი თქმით, საბერძნეთი უახლოეს მომავალში მზად იქნება, რათა აგვისტოს თვეში ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლოს. **"ოლიმპიური თამაშები იქნება ყველაზე საუკეთესოდ ორგანიზებული და ყველაზე უსაფრთხო, რაც კი აქამდე გამართულა. საბერძნეთი თავის ნამდვილ სახეს უჩვენებს მსოფლიოს,"** - განაცხადა ახალმა პრემიერ-მინისტრმა.

ამ განცხადების გაკეთებამდე ის 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელს გიანა ანგელოპულოს შეხვდა და მასთან დააზუსტა ოლიმპიადისათვის მიმდინარე მოსამზადებელი სამუშაოების დეტალები. პრობლემა ის არის, რომ თამაშებისათვის საჭირო და დაგეგმილი შენობის და ნაგებობების აღმართვა ჯერაც არ არის დასრულებული. აგვისტომდე კი სულ რაღაც ხუთი თვეა დარჩენილი. ამდენად, ახალ პრემიერს არცთუ იოლი საზრუნავი ელის. მაგრამ ის იმედიანად არის განწყობილი და დარწმუნებულია, რომ 21-ე საუკუნის პირველი ოლიმპიადა წარმატებით ჩატარდება. **"ეს ყველა ბერძნისათვის ახალი სტარტი იქნება,"** - მიმართა საბერძნეთის მოქალაქეებს კოსტას კარამანლისმა.


პარტია "ახალი დემოკრატია"-ს ლიდერი კოსტას კარამანლისი.

ბერძნული პოლიტიკის ვეტერანმა, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა გეორგე პაპანდრეუმ კი უკვე აღიარა მარცხი და კარამანლისს გამარჯვება მიულოცა. **"ახალმა დემოკრატიამ" არჩევნებში გაიმარჯვა. მე კარამანლისს წარმატებას ვუსურვებ საბერძნეთის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში,"** - განაცხადა პაპანდრეუმ.

"ახალმა დემოკრატიამ" საბერძნეთის პარლამენტის 300 მანდატიდან 170 მოიპოვა.

ახალი ხელისუფლების წინაშე არცთუ იოლი ამოცანებია გადასაჭრელი. კერძოდ, ეს არის კვიპროსის პრობლემა და საბერძნეთის სოციალურ-ეკონომიკური საკითხები.

კარამანლისის განცხადებით, ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი განათლების სფერო იქნება, რათა საბერძნეთის ახალი თაობის განათლების დონე ევროპულ სტანდარტებთან იქნება შესაბამისობაში მოყვანილი. კარამანლისი თავის ამომრჩეველს ასევე პირდება სამუშაო ადგილების გაზრდას და სოფლის მეურნეობაში ძირეული რეფორმების განხორციელებას. ახალი პრემიერი აცხადებს, რომ აგროსამრეწველო სფერო საბერძნეთის ეკონომიკის წამყვანი მიმართულება უნდა გახდეს. სოფლის მეურნეობასთან ერთად კი ახალი ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას დაუთმობს ტურიზმს, თევზჭერას, ენერგეტიკას და ტელეკომუნიკაციების სფეროების განვითარებას, რათა საბერძნეთი ევროკავშირის სივრცეში კონკურენტუნარიანი სახელმწიფო და ანგარიშგასაწევი ძალა გახდეს. ყოველ შემთხვევაში, ასეთია "ახალი დემოკრატიის" მიზანი.

# „ჰიუმან რაითს უოთჩი" აშშ-ს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია "ჰიუმან რაითს უოთჩი" აცხადებს, რომ ავღანეთში დისლოცირებული ამერიკელი სამხედროები ადგილობრივი მოსახლეობის უფლებებს არღვევენ, რითიც საერთაშორისო სამართლის ნორმებს ხელყოფენ. ორგანიზაციამ შესაბამისი 59 გვერდიანი მოხსენება გუშინ გამოაქვეყნა.

საქმე ეხება ტერორიზმში ეჭვმიტანილების დაკავებისას სამართლებრივი ნორმების დარღვევას. ორგანიზაციის განცხადებაში ნათქვამია, რომ ამერიკელი სამხედროები ავღანური დაჯგუფებების წევრების დაკავებისას აუცილებელზე მეტ ძალდობას მიმართავენ. ამასთან, ხშირია სამოქალაქო პირთა თვითნებურად, სამართლებრივი ნორმების დაცვის გარეშე დაკავებისა და პატიმრობაში ყოლის ფაქტები. ამგვარი დარღვევები ხშირად უდანაშაულო ადამიანების დაღუპვის მიზეზიც ხდება. "ამერიკელებს საკუთარი წინასწარი დაკავების ბანაკები აქვთ ბაგრამში, ყანდაჰარში, ჯალალაბადსა და ასადაბადში," – ნათქვამია "ჰიუმან რაითს უოთჩის" მოხსენებაში. ორგანიზაციის მონაცემებით, 2002 წლიდან მოყოლებული, აშშ-ს სამხედრო ძალებმა უკანონოდ ათასზე მეტი ავღანელი დააკავეს. მართალია, მათი უმრავლესობა ისევ გაათავისუფლეს, მაგრამ ერთი ნაწილი ისევ კუბაზე მდებარე სამხედრო ბაზა გუანტანამოზე და ავღანეთის ბანაკებში იმყოფებიან. ორგანიზაციის მონაცემებით, წინასწარი დაკავების საკნებში მძიმე პირობების გამო უკვე სამი ადამიანი დაიღუპა. დაკავების დროს ხშირია წამებისა და ადამიანის ღირსების შელახვის ფაქტები. საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ გამოძიების პროცესუალური ნორმების დაცვაზე, ანუ ეჭვმიტანილებთან ადვოკატის დაშვებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. დაკავებულებთან არ უშვებენ არც მათი ოჯახის წევრებს. ხშირად ოჯახმა დაკავებულის ადგილსამყოფელის შესახებ საერთოდ არაფერი იცის.

ამერიკელთა მიერ წარმოებული ოპერაციების დროს ხშირია უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი. საერთაშორისო თანამეგობრობას კარგად ახსოვს ამერიკული თვითმფრინავების მიერ ქორწილის პროცესიის შემთხვევით დაბომბვა. ასევე სამხედრო ოპერაცია, როცა გაუგებრობას უდანაშაულო ბავშვები ემსხვერპლნენ.


ამერიკელი სამხედროები ავღანეთში.

"ჰიუმან რაითს უოთჩის" ინფორმაციით, აშშ-ს სამხედროები დასახლებული პუნქტების რევიზიის დროს ხშირად ყველა ბრძოლისუნარიან მამაკაცს აკავებენ და სხვადასხვა ბანაკში გადაჰყავთ. ამგვარი დაკავების მსხვერპლნი იტყობინებიან, რომ მათ დასცინოდნენ, ძალით აშიშვლებდნენ და სურათებს უღებდნენ. რამდენიმედღიანი პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ კი, კომპენსაციის სახით, მათ მხოლოდ 70 ამერიკული ცენტი გადაუხადეს. ორგანიზაციამ მოიპოვა ფაქტები წინასწარი დაკავების საკანში დაკავებულთა წამების შესახებ. მოხსენებაში ნათქვამია, რომ დაკავებულებს ამერიკელები სცემენ და აწამებენ, მათ შორის ჯაჭვების გამოყენებით. გავრცელებული პრაქტიკაა პატიმრების ღამით გაღვიძება, ცივი წყლის გადასხმა და გარეთ, ყინვაში გაყვანა.

აშშ ბრალდებებს არ ეთანხმება. ავღანეთში ამერიკელი სამხედროების წარმომადგენელი, ვიცე-პოლკოვნიკი ბრაიან ჰილფერტი ამბობს, რომ მოხსენება ავღანეთში შექმნილ ვითარებას ადეკვატურად ვერ აფასებს. "ავღანეთში საომარი მოქმედებებია, ამდენად აქ ომის კანონებია ძალაში. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, არ გამოვიყენოთ საჭიროზე მეტი ძალა," – ასეთია ჰილფერტის კომენტარი. იგი აღიარებს, რომ წინასწარი დაკავების საკნებში რამდენიმე ადამიანი, მართლაც, დაიღუპა. ამერიკელი სამხედრო ამბობს, რომ ასეთი ფაქტების ირგვლივ უკვე დაწყებულია გამოძიება და აშშ რაიმეს დამალვას არ აპირებს. ჰილფერტის ცნობით, ავღანეთში, მართლაც, რამდენიმე წინასწარი დაკავების ბანაკია და ყველაზე დიდ, ბაგრამის ბანაკში ამჟამად 150 დაკავებული იმყოფება.

"თალიბანისა" და "ალ-ქაიდას" ნარჩენების განადგურებას ავღანეთში 13 ათასი ამერიკელი სამხედრო აგრძელებს. "ჰიუმან რაითს უოთჩი" აშშ-ს მოუწოდებს, რომ დაასახელოს ქვეყანაში არსებული წინასწარი დაკავების ბანაკების ზუსტი ადგილსამყოფელი და იქ საერთაშორისო კონტროლი დაუშვას. ავღანეთის ხელისუფლებამ კი შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების ამოქმედებაზე უნდა იზრუნოს. შექმნილი ვითარებიდან ერთადერთ გამოსავლად ადამიანის უფლებათა დამცველებს საერთაშორისო სამართლის ნორმების ამოქმედება მიაჩნიათ. ამერიკელები კი ამბობენ, რომ ტერორისტები ომის წარმოების საერთაშორისო სამართლის პრინციპებით ვერ ისარგებლებენ, რადგან ისინი სახელმწიფოს წარმომადგენლები არ არიან. მიუხედავად ამისა, ვაშინგტონი ირწმუნება, რომ როგორც გუანტანამოზე, ისე ავღანეთში დაკავებულთა ძირითადი უფლებები სრულადაა დაცული.

# უმწეოთა სახელმწიფო პროგრამის ალტერნატივა

*საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე სამედიცინო დაზღვევის საკითხებში ვატო სურგულაძე აცხადებს, რომ ეგრეთ წოდებული უმწეოთა დახმარების სახელმწიფო პროგრამა ჯანდაცვის სისტემის დამღუპველია და ამ მეთოდით მუშაობა არა თუ წინ წაგვწევს, 80-იან წლებში დაგვაბრუნებს.*

ნონა მაისურაძე

როგორც ცნობილია, აღნიშნული პროგრამა 1997 წლიდან მოქმედებს. ახალი ხელმძღვანელობის ვერსიით, იგი კორუფციის წყარო იყო და ყველა მაღალჩინოსანი, ვისაც თანხა სხვადასხვა მიზნისთვის, თუნდაც დასვენებისთვის, სჭირდებოდა სახელმწიფო ფონდიდან ითხობდა ხელს.

მას შემდეგ, რაც სახელმწიფო ფონდში ახალი ხლმძღვანელობა მოვიდა და უმწეოთა დახმარების პროგრამისთვის სპეციალური კომისიაც შექმნა, სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. ამჯერად სახელმწიფოს დახმარება გაჭირვებულ ადამიანებზე განაწილდა, თუმცა გამოსავალი არც ეს აღმოჩნდა - უამრავი ადამიანი მოაწყდა სახელმწიფო ფონდს. ზოგიერთ მათგანს ყალბი ცნობების გაკეთება არ გაუჭირდა. ამის გამო, უმწეობის დადგენა შეუძლებელი გახდა.

- რა კრიტერიუმები განსაზღვრავს უმწეობას, დადგენილი არ არის. ამიტომ, ვის სჭირდება დახმარება და ვის არა, ამის გაკონტროლება, თითქმის, შეუძლებელია, - **ამბობს ვატო სურგულაძე**, - ტოტალური დაფინანსება, მასაჟებიდან დაწყებული რთული ტრავმატოლოგიური შემთხვევებით დამთავრებული, გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ვაფინანსებთ ბავშვებს, პენსიონერებს და ინვალიდებს, მაგრამ დახმარება ამით არ შემოიფარგლება. გვაკითხავენ სხვა კატეგორიის მოქალაქეებიც-მარტოხელები, მრავალშვილიანები და ა.შ. სამწუხაროდ, ჩვენი ბიუჯეტი ძალიან მცირე ნაწილის დაფინანსების საშუალებას იძლევა და ბევრი მსურველი განაწყენებული გვრჩება. გასულ წელს 67-მილიონიანი ბიუჯეტი სეკვესტრში მოყვა და წელს რა საშუალებით შევძლებთ ამდენი განცხადების დაკმაყოფილებას, ვერ გეტყვით. მოსახლეობა ახალი მთავრობის იმედით მოდის ჩვენთან და დახმარებას ითხოვს, მაგრამ თუ ფინანსური საფუძველი არ იქნება, როგორ ვუმკურნალოთ.


ვახტანგ სურგულაძე.

**- გამოსავალს რაში ხედავთ?**

- ვფიქრობთ, რომ გაცილებით უკეთესი იქნება, თუ ინდივიდუალური პროგრამისთვის გამოყოფილ თანხას სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებს მოვახმართ. ვეცდებით, გავზარდოთ ონკოლოგიური, ურგენტული და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროგრამების დაფინანსება. მათი სრულყოფა უფრო შედეგიანი იქნება.

**- პაციენტსა და სახელმწიფოს შორის შუამავლის ფუნქციას ვინ შეასრულებს?**

- ახალი ბიუჯეტის დამტკიცებისთანავე გამოცხადდება ტენდერი, რომელიც ფონდის კონტრაქტორ სამედიცინო დაწესებულებებს გამოავლენს. სწორედ მათ მიმართავს პაციენტი და იმ ნოზოლოგიის ფარგლებში იმკურნალებს, რომელიც სახელმწიფო სტანდარტით იქნება განსაზღვრული. პროცესი ასე წარიმართება: უმწეო პაციენტი კლინიკას მიაკითხავს, 12 საათის განმავლობაში აღნიშნული დაწესებულება შეატყობინებს სახელმწიფო ფონდს. ჩვენი წარმომადგენელი შეამოწმებს ყველა საჭირო დოკუმენტაციას და სახელმწიფო ფონდში ანგარიშს წარმოადგენს. მხოლოდ ამის შემდეგ დაფინანსდება პროგრამულად.

**- კომისია მალე შეწყვეტს მუშაობას?**

- ახალი ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, იმედია, ეს პროგრამა აღარ იარსებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რადგანაც არ მსურს, მონაწილეობა მივიღო ჯანდაცვის სისტემის დაღუპვაში, ამ თანამდებობაზე აღარ ვიმუშავებ. ამით კერძო სადაზღვევო კომპანიებსაც არ ვაძლევთ განვითარების საშუალებას. ვისაც არ ეზარება, ყველა ჩვენ გვაკითხავს. უფასო მკურნალობა ყველას უნდა და უმწეობის კრიტერიუმების დადგენა კი შეუძლებელია. კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ ეს არის სოციალური კორუფციის პროგრამა. შრომისუნარიანი მოქალაქე, რომელიც უმწეობის არც ერთ კრიტერიუმს არ მიეკუთვნება, კერძო სადაზღვევო კომპანიაში უნდა დაეზღვიოს. მან უნდა მიხედოს საკუთარ ჯანმრთელობას, ან იმ დაწესებულებამ იზრუნოს მასზე, სადაც მუშაობს. 2004 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა კანონი, რომლის მიხედვით, დაწესებულებას აქვს იმის უფლება, რომ თანამშრომლის ჯანმრთელობის დაზღვევა, რომელიც ადრე მოგებიდან შეეძლო აენაზღაურებინა, ხარჯებში გაატაროს. 14 წლამდე ბავშვებსა და პენსიონერებზე ზრუნვა კი ჩვენი პრეროგატივაა. სახელმწიფო იღებს ვალდებულებას ინვალიდებზეც.

# დასუფთავება რაიონული მასშტაბით

*2004 წლის 2 მარტიდან 10 მარტამდე თბილისის ისანი-სამგორის რაიონის ტერიტორიაზე სანიტარული დღეებია გამოცხადებული. უკვე ჩატარებული და ჩასატარებელი ღონისძიებები ე.წ. შიდაკვარტალურ დასუფთავებას გულისხმობს, რაც ამ რაიონს ბოლო წლების განმავლობაში ნამდვილად არ ახსოვს.*

თამარ ჭაჭანიძე

**"ისანი-სამგორი დიდი რაიონია მრავალრიცხოვანი მცხოვრებით; სამწუხაროდ, პრესტიჟულ რაიონად არ ითვლებოდა და მხოლოდ მაშინ თუ გაახსენდებოდათ, როცა ცენტრალურ ტრასაზე მთავრობა გაივლიდა. სტუმარს პირველად ჩვენი რაიონი ხვდება თვალში და აეროპორტის გზა მოწესრიგებული უნდა იყოს, ისევე, როგორც - მთელი ტერიტორია. ამას ემსახურება მასობრივი დასუფთავებაც და გვინდა, რომ მოსახლეობაც ავიყოლიოთ. მე დიდი სურვილი მაქვს, რომ ჩემი რაიონი ლამაზი და სუფთა იყოს,"**- განაცხადა გამგეობის თავმჯდომარემ გიორგი არევაძემ.

სანიტარული დღეების გეგმაგრაფიკის მიხედვით, უკვე დასუფთავდა ვაზისუბნის, მე-3 მასივის, მე-8 ლეგიონის და ძველი კახეთის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორია. გაასუფთავეს სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან სკვერები და გაზონები.

**"ეს არ არის საჩვენებელი დასუფთავება. ჩვენ სადარბაზოებთან მივედით და იქ დავასუფთავეთ და, სხვათა შორის, მოსახლეობამაც აგვიბა მხარი. იმისთვის, რომ ამას სისტემატიური ხასიათი მიეცეს, გვინდა შემოვიღოთ სახლმმართველის შემცვლელი მამასახლისის ინსტიტუტი. ეს სურვილი ჯერ კიდევ საკრებულოს არჩევნებამდე გამოთქვა მიხეილ სააკაშვილმა. მამასახლისის გარდა, გვინდა, აღვადგინოთ ქალაქში ერთ დროს კარგად აპრობირებული მებაღისა და მეეზოვის ფუნქცია. მოსახლეობისგან უკვე გამოითქვა სურვილი, იმუშაონ მებაღეებად და მეეზოვეებად, რა თქმა უნდა, გარკვეული ანაზღაურების ფასად,"** – აცხადებს გამგებელი.


წყლით სავსე მიწისქვეშა გადასასვლელი ქალაქის ცენტრში.

მთელი ქალაქისთვის პრობლემური ნაგვის ბუნკერების გატანის თემა აქაც აქტუალურია. თბილისის ზღვიდან მონაბერი ქარი აღმა-დაღმა დაატარებს ნაგვით სავსე ცელოფნის პარკებს. მოსიარულე მანქანა, რომელიც ძველ უბნებში - ელიასა და ნავთლუღში თვეში ერთხელ დადიოდა და საშინელ ანტისანიტარიას ქმნიდა, ახლა კვირაში სამჯერ დადის. სახლმმართველობებში ჯერ კიდევ არის შემორჩენილი ნაგვის გადაყრის მოგვარების სამსახური, მაგრამ, მოსახლეობის გადახდისუუნარობის გამო, ნაგავი თვეობით ვერ გააქვთ. გამგეობაში ახალი ბიუჯეტის დამტკიცებას ელოდებიან, რომ ეს პრობლემაც მოაგვარონ.

ლილოს ნაგავსაყრელი უქმდება. მას ქალაქიდან მოშორებით, იაღლუჯაზე გადაიტანენ. **"ჩვენმა სანაგვე მანქანამ 80 კილომეტრის მანძილით დაშორებულ ნაგავსაყრელამდე რომ მიაღწიოს, უამრავი საწვავი დასჭირდება. ამიტომ, ალბათ, ეს მანქანები ფონიჭალის ტერიტორიაზე გადაიტვირთება უფრო დიდი მოცულობის სატრანსპორტო საშუალებაში და ნაგავს ის წაიღებს,"** – განაცხადა არევაძემ.

გამგეობის ახალმა თავმჯდომარემ უკვე მოასწრო დიდი სკვერის კეთილმოწყობა სამგორის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე; იგეგმება გაჩეხილი ქარსაცავი ზოლის აღდგენაც. გიორგი არევაძემ გამწვანების სამსახურს უკვე მისცა მითითებები სანერგე მეურნეობის გასაფართოებლად. მოგვარდა გარე ვაჭრობის პრობლემა. **"პრეცედენტს დავუშვებთ მხოლოდ ე.წ. საფირმო ჯიხურებისთვის, ისიც, განსაზღვრულ ადგილებზე - გარემოს რომ შეეფერებოდეს და თვალში საცემი არ იყოს,"** - განაცხადა არევაძემ.

ფოსტა

# გმირთა საბუდარი

დიდი ილია ჭავჭავაძე ამბობდა: "ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონესა და შემძლეობას, თავის ხატსა და მაგალითს, ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს. ზოგს დიდბუნებოვანობის შარავანდედითა, და თაყვანს სცემს სასოებით და მადლობითა. ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყარობა".

მთელი კოდორი შეაშფოთა 7 მარტს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებული პასკვილანტის წერილმა "რწმუნებული დაუპირისპირდა ქართველ ერს". ეს არ არის ქართველი კაცის ფიქრები, იგი უფრო რუსეთის შოვინისტი ჩინოვნიკებისა და საქართველოს მოღალატეების ნააზრევს ჰგავს, ვიდრე ქართველი კაცის ნაფიქრალს. საკითხავია ისიც, არის თუ არა ეს არამზადა კოდორელი ქართველი?

ბევრმა კოდორელმა შესწირა თავი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას აფხაზეთის ომში. ვაჟკაცების გვერდით გმირულად იბრძოდნენ ქალებიც.

საუბედუროდ, ზოგჯერ მადლობის მაგიერ ლანძღვა-გინება გაისმის ქართულ პრესაში ამ კუთხის დამცველთა მეთაურის, ჩვენთვის ეროვნული გმირის, ემზარ კვიციანის მიმართ, რაც უიმედობასა და სასოწარკვეთილებას უფრო ბადებს, ვიდრე მხნეობას, შემართებას, შეუპოვრობას.

გასაოცარია ის ფაქტი, რომ წლების მანძილზე ამ ხეობის პრობლემები, შეიძლება ითქვას, მთლიანად ავკიდეთ ადგილობრივ მოსახლეობას, სახალხო ლაშქარ "მონადირესა" და მის მეთაურს ემზარ კვიციანს. საზოგადოებაში, შეიძლება ითქვას, გაიგივდა კოდორის ხეობა და ემზარ კვიციანი და თუ რაიმე ხარვეზები წარმოიქმნა, უმალ უვიცი და უხამსი პასკვილანტები მის მთავარ მეციხოვნეს ბატონ ემზარს ეცემიან.

ეს ჭორიკანა მოლაყბე წერს: "დევნილთა ძარცვას ის ჯგუფი ეწეოდა, რომლის წევრებიც შემდგომში კოდორის ხეობის მმართველობის სათავეში მოექცნენ. წმინდა წყლის სიცრუეა, თითქოს კოდორში თავდაცვის უწყების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის ბაზაზე შექმნილია ბრძოლისუნარიანი რაზმი "მონადირე".

გასაოცარია პირდაპირ ამ ავტორის მონაჩმახი იმიტომ, რომ კოდორის ბატალიონ "მონადირის" საქმეებზე იწერებოდა არა მარტო ქართულ პრესაში, არამედ აფხაზურ, რუსულ და უცხოურ პრესაშიც. თვითონ აფხაზი სეპარატისტები ბატალიონის მეთაურის საფასურად რამდენიმე მილიონ დოლარსაც კი იხდიდნენ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ, კოდორის მკვიდრებმა ხომ ყველაზე კარგად ვიცით, რა გმირობა ჩაიდინა ბატალიონმა "მონადირემ".

კიდევ ერთი ღვარძლიანი მონაჭორი: "კოდორში არ ფუნქციონირებს ჯანდაცვის დაწესებულებები, არ არის მედიკამენტები, ელემენტარული სამედიცინო დახმარება". ყოფილა კი ამ სიტყვების ავტორი ბოლო დროს მაინც კოდორის ხეობაში? მიუხედავად იმისა, რომ მას და მისთანებს ეს არ გაუხარდებათ, იცოდნენ, რომ ეს ყველაფერი ჩვენ გვაქვს.

ქართველი კაცი შეგჯავრდება, როცა ამ ნაჯღაბნს კითხულობ. იგი ამბობს: "1993 წლის ნოემბრიდან დაწყებული დღემდე, საეჭვო თანმიმდევრობით ხეობის ისეთი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების დაკარგვა, როგორებიცაა ბაგადის გვირაბები, ბაგადის მაღლობი, სოფლები ჩინი და ლათა, ლათას მაღლობები - "აჩამხვარა" უკვე 2001 წლის შემოდგომაზე კი მარუხის მიმართულებით 25 კმ-იანი ზოლი".

მთელმა საქართველომ იცის, ვინ დააკარგვინა საქართველოს ეს ტერიტორიები. ზუსტად წერილის ავტორებმა, მათმა "პატრონებმა", საქართველოს მოღალატეებმა.

საინტერესოა, თუ ემზარ კვიციანმა დააკარგვინა საქართველოს კოდორის ტერიტორიის ნაწილები, ვინღა შეინარჩუნა კოდორის ხეობა დღე-აქამომდე. ალბათ მათ, ვინც კოდორის ხეობაში მშვიდობიან პერიოდში თუ გამოჩნდებიან.

ნუთუ უნამუსობას საზღვარი არა აქვს?

ამაზრზენი და შეურაცხმყოფელია წერილის ავტორის ნათქვამი, როდესაც ის წერს: "2001 წლის 3 ოქტომბერს კოდორის სათავესთან მდებარე ყველაზე სტრატეგიული მნიშვნელობის ხიდის (მჟავეწყლების ხიდის) ჩატეხვის შედეგად ცხრა ადამიანი, მათ შორის ქალები და ბავშვები, დაიღუპნენ". და ამაშიც ის ემზარ კვიციანს ადანაშაულებს. მართალია, ის კოდორის ხეობის სურათს არ იცნობს, მაგრამ იმდენი ნამუსი მაინც უნდა ჰქონდეს შერჩენილი, რომ გარდაცვლილი გმირების სულები არ შეაწუხოს. მან ისიც კი არ იცის, რომ იმ ავტოავარიის შედეგად დაღუპულთა შორის თვითონ ემზარ კვიციანის უახლოესი ნათესავები, მთელი კუთხისა და ქვეყნის სასახელო მისი გაზრდილი დისშვილი და სიძეც იყვნენ. სხვათა შორის, მათ ხეობაში ზუსტად ის ფქვილი შემოჰქონდათ, რომელსაც მიირთმევს მთელი საქართველოს მოსახლეობა (სამწუხაროდ, არა 12 ლარად).

ემზარ კვიციანი აფხაზეთის ომში მის დაწყებისთანავე ჩაება და თითქმის ყველა საბრძოლო ოპერაციაში მონაწილეობდა.

აფხაზეთის ომის ბოლო ეტაპზე, "შერიგების" შემდგომ, ემზარ კვიციანი მიხვდა, რომ ომი განახლდებოდა და თავის თანამებრძოლებთან ერთად უპირველეს ამოცანად საკენი-ჭუბერის გზის გახსნა დაისახა. ეს გზა მართლაც გაიხსნა და შემდგომში "სიცოცხლის გზა" გამოდგა ათიათასობით გაუბედურებული ადამიანისთვის.

ჰკითხონ ამ ერის მოღალატეებმა იმ ათეულ ათასობით ლტოლვილს, რომლებმაც ეს გზა გამოიარეს, იყო თუ არა საჭირო ამ გზის გაკეთება?

კაცობრიობის ომების ისტორიაში ნებისმიერი ერი იამაყებდა იმ გმირული ქცევით, რომელიც ბატალიონმა "მონადირემ" ჩაიდინა ემზარ კვიციანის მეთაურობით.

გვახსოვს, როდესაც რუსების, აფხაზების, სომხების, ჩრდილოკავკასიელ კონფედერანტთა და სხვა დაქირავებულ ავაზაკთა მიერ დამარცხებული ქართული ჯარი უმწეო ადამიანებთან, ქალებთან, ბავშვებთან, მოხუცებთან, ზემოთ აღნიშნულ პასკვილანტებთან ერთად გარბოდა აფხაზეთიდან.

ემზარ კვიციანი თავის 16 რჩეულ ვაჟკაცთან ერთად სოფ. ჩინში დახვდა ლტოლვილებს გამოდევნებული მტრის რაზმს და გაანადგურა ისინი.

ამის შემდგომ მოხდა ამ ჯგუფის, ბატალიონ "მონადირის" გაფართოება, მათ ადგილობრივი ახალგაზრდობა შეემატა, ისევე, როგორც დიდგორში, ბასიანსა თუ შამქორში, ისინიც ხატზე იფიცებდნენ სამშობლოს ერთგულებას.

1993 წლის 23 ნოემბერს, გიორგობა დღეს, ქართველებისათვის ერთ-ერთ უდიდეს დღესასწაულზე, სეპარატისტებმა ფართომასშტაბიანი შეტევა განახორციელეს, რომელშიც მონაწილეობდნენ: ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონი, კაზაკთა, ჩრდილოეთ კავკასიელთა, აფხაზთა და რუსთა შენაერთები.

მტრის შემოტევას წინ პირველ რიგში ბატალიონი "მონადირე" აღუდგა. კოდორის ლომებმა, ემზარ კვიციანის წინამძღოლობით, უდიდესი გამარჯვება მოიპოვეს, მათ გაანადგურეს ბაგრამიანის ბატალიონი (200-ზე მეტი მებრძოლი).

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ქართველი მეომრების გმირობას, რომლებმაც თავი გაწირეს, მაგრამ საერთო ჩანაფიქრი - კოდორში მტერი არ შემოეშვათ, შეასრულეს.

ემზარ კვიციანის პატივისცემისა და რიდის დასტურია ის, რომ მტრის შემოტევების დროს (მაგ., 2002 წ. 12 აპრილი, როდესაც რუსებმა დესანტი გადმოსხეს) მოსისხლე მტრებიც კი გვერდიგვერდ დგანან საერთო საფრთხის წინაშე.

უკვე ორი-სამი წელია მიმდინარეობს მუშაობა გადამტერებული გვარებისა და ოჯახების შესარიგებლად და ამ საქმესაც ემზარი უდგას სათავეში. აი, ზუსტად ეს არის კიდევ ერთი საბაბი ამ ადამიანების ღვარძლისა.

თუ არ ჩავთვლით სეპარატისტებისა და "სამშვიდობოების" მომენტალურ გამოხტომებს (როგორც ცნობილია, ისინი ხანდახან აწყობენ მცირე შემოტევებს). ამას წინათაც "სამშვიდობოების" მხრიდან იყო სროლა, თუმცა ზოგიერთი მაღალჩინოსნის და ცრუმოკალმეების მიერ იქნა გაცხადებული, რომ ეს იყო სავარჯიშო სროლები. ამ სიცრუით ეს უნამუსოები 3000 კაცს თვალებში ნაცარს გვაყრიან და გვეუბნებიან, რომ თქვენ გიჟები ხართ და მოლანდებები გაქვთო. სად იყვნენ ნეტავი თვითონ და მათი ცოლ-შვილი ამ დროს, საკითხავია.

აქვს თუ არა მნიშვნელობა იმას, სავარჯიშო სროლების დროს დაიღუპებიან მაცხოვრებლები თუ საჰაერო დაბომბვის დროს, თუ სამიზნეებად ცოცხალ ადამიანებს იყენებენ?

ამჟამად ხეობაში წესრიგია. შეწყდა მკვლელობები. ცხოვრების რიტმი ნორმალურ კალაპოტში ჩადგა, ისევე როგორც საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, კოდორელი სვანებიც მხარს უჭერენ ახალ პრეზიდენტს, სწამთ და სჯერათ მისი, სჯერათ იმისა, რომ ბატონი პრეზიდენტი იბრძოლებს საქართველოს გაერთიანებისათვის და ამ საქმეში მასთან ერთად პირველ რიგში კოდორელი გმირები იქნებიან.

კოდორის ხეობაში ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები. ამჟამად მოსახლეობა ემზადება საპარლამენტო არჩევნებისათვის და დიდი იმედებით ელოდება ახალი პარლამენტის დადგენილებებს კოდორის ხეობის, აფხაზეთისა და მთელი საქართველოს საკეთილდღეოდ.

უსინდისოდ შეთითხნა უნამუსო ავტორმა მითი: "ხეობაში შექმნილი აუტანელი ვითარების გამო ხეობა არაერთმა პატიოსანმა ოჯახმა, გვარმა თუ თემმა დატოვა".

ამ წერილის ავტორი და მისნაირი მოღალატეები ერთ სულზე არიან, რომ ხეობა დაიცალოს და კუთხე დაიკარგოს, ვინაიდან მათ უკეთეს სასუსნავს მისცემენ მათი "პატრონები". მაგრამ ღვთის მადლით ბოლო წლებში თითქმის 200-მდე ოჯახი დაუბრუნდა ჩვენს კუთხეს და იბრძვიან საკუთარი მიწა-წყლის დასაცავად და საქართველოს ერთიანობისათვის.

ისე, კაცმა რომ თქვას, დაპირისპირება კოდორის ხეობაში მართლაც არის, ოღონდ დაპირისპირებაა ადგილობრივი მოსახლეობის გმირებსა და სხვადასხვა ჯაშუშური სტრუქტურების მიერ მოსყიდული თითო-ოროლა ერის მოღალატეებს შორის. სამწუხაროდ მათ არ იციან, რომ სიმართლე ამ ქვეყანაზე ყველაზე ძლიერია და ისინი მალე წარსდგებიან ღვთისა და ერის სამსჯავროზე.

კოდორის ხეობა ემზარ კვიციანის საკარმიდამო ნაკვეთი არ არის. არავის ეგონოს, რომ ამ ტერიტორიის დაცვა-შენარჩუნება მარტო მისი და კოდორელების საქმეა. ეს ტერიტორია დღემდე რჩება "იმედის კუნძულად" აფხაზეთის დაბრუნებისათვის, ის არის საიმედო ფორპოსტი საქართველოს ერთიანობისათვის.

*ხელს აწერს კოდორის მოსახლეობა. 28 ხელმოწერა*

# გამომძიებლებსა და მათ ხელმძღვანელს ორწლიანი პატიმრობა ელით

*იარაღის ტარებისთვის დაკავებული ორი ბათუმელი ახალგაზრდის - მერაბ მიქელაძისა და ლაშა ჩახვაძისთვის ქალაქიდან გასვლის ნებართვის მიცემა თბილისელ გამომძიებლებსა და ხელმძღვანელს ძვირი დაუჯდათ. ამის გამო გენერალური პროკურატურა მათ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას ედავება და ეჭვობს, მათ მიერ ნებართვის გაცემის ფაქტს ანგარებითი მოტივის არსებობას უკავშირებს.*

მიქელაძე და ჩახვაძე თბილისელმა სამართალდამცველებმა 24 თებერვალს, იარაღის ტარების გამო მას შემდეგ დააკავეს, რაც მათ, თავიანთ თანამოაზრეებთან ერთად, სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში, აჭარაში არსებულ სიტუაციაზე მსჯელობისას, საკმაოდ მკვეთრი შეხლა-შემოხლა მოუხდათ სტუდენტთა ერთ ჯგუფთან. იმ ფაქტმა, რომ აჭარის ხელისუფლების მომხრე ახალგაზრდებს იარაღი ჰქონდათ, ჯერ კიდევ ამ შეხვედრაზე გაიჟღერა. საღამოს კი მიქელაძე და ჩახვაძე დააკავეს კიდეც, შესაბამის ვადებში მათ ბრალიც წაუყენეს იარაღის უკანონოდ ტარებისათვის და სასამართლოსაც მიმართეს აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით. თუმცა, ისიც ითქვა, რომ მიქელაძე-ჩახვაძის საქმეზე პოლიტიკური ბერკეტებიც ამოქმედდა. სხვათა შორის, სწორედ პოლიტიკოსთა, კერძოდ - ასლან აბაშიძეს, ზურაბ ჟვანიასა და ნინო ბურჯანაძეს შორის დადებულ შეთანხმებას მიეწერა ის, რომ იარაღის უკანონოდ ტარებისთვის დაკავებულების მიმართ სასამართლომ ბოლო ხანებში ჩვეული სიმკაცრე არ გამოიჩინა და მათ ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილით გათავისუფლება აკმარა. სამაგიეროდ, თავის მხრივ, ბათუმში "კმარას" დაკავებული ადგილობრივი აქტივისტების გათავისუფლება უზრუნველყვეს. თუმცა, მიქელაძესა და ჩახვაძესთან მიმართებაში საქმე ამით არ ამოწურულა. სასამართლოს მიერ გათავისუფლებიდან ორი დღის შემდეგ ისინი თბილისის აეროპორტში მაშინ დააკავეს, როდესაც ქალაქიდან გაუსვლელობის პირობის დამდებნი ბათუმში გაფრენას ცდილობდნენ. ძალიან მალე გაირკვა, რომ მათ ბათუმში რამდენიმე დღით გაფრენის ნება გამომძიებლებმა დართეს. გათავისუფლებული მიქელაძე და ჩახვაძე ბათუმში კი გაფრინდნენ, მაგრამ უკან ჩამოსვლა აღარც უფიქრიათ – თბილისელ სამართალდამცველთა მიერ წარმოებული საქმის გამოძიებას ვერ ვენდობითო.

სწორედ დედაქალაქის დროებით დატოვებაზე გაცემული ნებართვა გახდა გუშინწინ ვაკე-საბურთალოს პოლიციის საგამოძიებო ნაწილის უფროსის ზაზა მესხისა და ორი გამომძიებლის – მამუკა მდინარაძისა და გიორგი ძიძიგურის დაკავების მიზეზი.



*დაკავებული გამომძიებლებისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებაზე სასამართლო დღეს იმსჯელებს.*

ამჟამად ისინი თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფებიან. მათ გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის გამომძიებლებმა გუშინ უკვე წაუყენეს ბრალი სამსახურებრივი გულგრილობისათვის და აღმკვეთ ღონისძიებად სამთვიანი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით სასამართლოსაც მიმართეს; თუმცა დანაშაული, რომლის ჩადენასაც მათ ედავებიან, მძიმეთა კატეგორიას არ განეკუთვნება და პატიმრობის შეფარდება ასეთ შემთხვევაში იშვიათი გამონაკლისი გახლავთ ხოლმე. საბოლოო ჯამში კი, მუხლი, რომლითაც კვალიფიცირებულია გამომძიებელთა ქმედება, ორი წლით თავისუფლების აღკვეთას ან ჯარიმის გადახდას ითვალისწინებს.

თუმცა, დაკავებულთა ადვოკატი მიიჩნევს, რომ თუ გამოძიება ობიექტურად წარიმართა, საქმე გამამტყუნებელ განაჩენამდე არ უნდა მივიდეს. ადვოკატ ზურაბ როსტიაშვილის განცხადებით, **"სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, გაუსვლელობის ხელწერილით გათავისუფლებულ ბრალდებულს გამომძიებლის ნებართვის გარეშე ქალაქიდან გასვლის უფლება არ აქვს. შესაბამისად, ეს ნიშნავს, რომ გამომძიებელს სრული უფლება აქვს ასეთ შემთხვევებში (შესაბამისი მიმართვის არსებობის შემთხვევაში) ქალაქიდან რამდენიმე დღით გასვლის ნება დართოს. ამასთანავე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ზღუდავს ასეთი ნებართვების რაოდენობას, ანუ თუ გამომძიებელი საჭიროდ მიიჩნევს, რამდენჯერმე შეიძლება მისცეს ბრალდებულს ქალაქიდან გასვლის ნება. ის კი, რომ ბრალდებულები უკან აღარ დაბრუნდნენ, დანაშაულის შემადგენლობა არ გახლავთ – გამომძიებელი ნათელმხილველი ხომ არ არის, რომ გამოიცნოს, რას აპირებს ბრალდებული".**

მისივე თქმით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არც იმას აკონკრეტებს, რა შემთხვევებში შეიძლება გამომძიებელმა ასეთი ნებართვა გასცეს. შესაბამისად, ეს უშუალოდ გამომძიებლის შეხედულებისამებრ ხდება.

ფაქტია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამომძიებლებს ალღომ უღალატა: დგას თუ არა ამის უკან ანგარებითი ან პოლიტიკური მოტივი, ამის გარკვევა გამოძიების პრეროგატივაა.

*24 საათი*

# წყალტუბოელი ნარკობარონი განაჩენს ელოდება

*სამედიცინო ცნობების საშუალებით მართლმსაჯულებისაგან თავის დაძვრენა საქართველოს უახლოეს ისტორიაში დამნაშავეთა მიერ კარგად აპრობირებული ხერხი გახლავთ. აღნიშნული გზით სასჯელისგან თავის არიდება კორუფციის ბრალდებით დაკავებულმა რამდენიმე მაღალმა თანამდებობის პირმაც სცადა. ამ ეტაპზე მათ ეს არ გამოუვიდათ. აღნიშნული ხერხი ყველაზე წარმატებულად წყალტუბოელმა "ნარკობარონმა" მალაზ თალაკვაძემ გამოიყენა. სამედიცინო ცნობების მეშვეობით, მან მართლმსაჯულებას მინიმუმ სამჯერ აარიდა თავი.*

ბექა სისაური
*ქუთაისი*

1999 წელს ქუთაისის რეგიონული ონკოლოგიური ცენტრის მიერ გაცემულ სამედიცინო ცნობაში ვკითხულობთ: **"თალაკვაძეს გააჩნდა მესამე სტადიის სიმსივნე, ამთავრებდა ქიმიოთერაპიის კურსს და პარალელურად ემზადებოდა გადაუდებელი ოპერაციისათვის, მარცხენა მკერდის არეში სიმსივნის მოსაკვეთად."** ქუთაისისა და წყალტუბოს ტუბდისპანსერების ხელმძღვანელთა მიერ გაცემული სხვადასხვა სამედიცინო ცნობების მიხედვით კი, თალაკვაძეს **"ტახიკადრია, ჰიპერტონული დაავადებები, ფილტვ-გულის უკმარისობა, ფილტვების ქრონიკული ტუბერკულოზი და სხვა დაავადებები გააჩნია".**

მიუხედავად ექიმთა მიერ გაცემული ასეთი შემაშფოთებელი დასკვნებისა, თალაკვაძეს არავითარი ოპერაცია არ გაუკეთებია; უფრო მეტიც, ყოველ წელს ახალ-ახალ დანაშაულს სჩადიოდა. ის არც პოლიციის პიკეტებს ერიდებოდა და სამართალდამცველებს ცეცხლს სისტემატურად უხსნიდა. თალაკვაძის წყალობით ადრე საკურორტო ქალაქად ცნობილმა წყალტუბომ ახალი ფუნქცია შეიძინა და ნარკოტიკების სავაჭრო ცენტრად გადაიქცა. სიტუაცია იმდენად უმართავი იყო, რომ სამართალდამცავთა უმოქმედობით გაღიზიანებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა დღევანდელი საგადასახადო კოდექსით "ნარკობარონების" დაბეგვრა მოითხოვეს. მათი განმარტებით, აღნიშნული შემოსავლები წყალტუბოს ბიუჯეტს ხუთჯერ გაზრდიდა. პოლიტიკური პარტიების ადგილობრივი წარმომადგენლები კი წყალტუბოს "ნარკოტიკების მექას" უწოდებდნენ.

სამართალდამცველთა ინფორმაციით, თალაკვაძე ნარკოტიკული და სხვა სახის დანაშაულის ჩადენისათვის წარსულში ექვსჯერაა ნასამართლები. იგი პირველად საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 1974 წელს გაასამართლდა და ჩადენილი ქურდობისა და ხულიგნობისათვის 5 წლით თავისუფლების აღვეთა მიუსაჯა. 1976 წელს თალაკვაძეს თაღლითობისთვის ისევ ასამართლებენ და კვლავ 5 წლით პატიმრობას უფარდებენ. 1981 წელს უზენაესმა სასამართლომ თალაკვაძეს ქალის მოტაცება-გაუპატიურებისთვის 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. იგი 1997 წელს ხაშურის სასამართლომ ნარკოტიკების განმეორებითი მოხმარებისათვის ხუთი თვით დააპატიმრა. აღნიშნულის შემდეგ თალაკვაძე სამედიცინო ცნობების მეშვეობით ყოველთვის ახერხებდა სასჯელისგან თავის არიდებას. მისი დაკავება სამართალდამცველებმა 2001 წლის 25 აგვისტოს სცადეს, მაგრამ "მძიმედ ავადმყოფმა ნარკობარონმა" დაკავების ოპერაციისას პოლიციის რამდენიმე პიკეტს ცეცხლი გაუხსნა და გაიქცა. თალაკვაძე უდიდესი თანხის პატრონია, ჰყავს უკანასკნელი მოდელის "მერსედესი", "ჯიპი", ურეკში კი ფეშენებელურ სახლს აშენებს. წყალტუბოელი "ნარკობარონი" გასული წლის ბოლოს ურეკში დააკავეს.

ბოლოს და ბოლოს, სამართალდამცავებმა თალაკვაძეს ობიექტური სამედიცინო შემოწმება ჩაუტარეს და იგი აბსოლუტურად ჯანმრთელი აღმოჩნდა. პროკურატურაში არ გამორიცხავენ, რომ ყალბი სამედიცინო ცნობების გაცემისთვის, შესაძლოა, სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს. სამართალდამცველებმა აღნიშნული მიზნით ცოტა ხნის წინათ ჯანმრთელობის დაცვის ყოფილ მინისტრს ამირან გამყრელიძესაც მიმართეს, თუმცა - უშედეგოდ. ამჟამად გამოძიება თალაკვაძეს იარაღის უკანონოდ შენახვა-ტარებას, ხულიგნობასა და პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევას ედავება. საქმე განსახილველად ქუთაისის საოლქო სასამართლოშია გადაგზავნილი.

# იუსტიციის მინისტრი სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებს დაპირებებს აძლევს

*საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში, მინისტრების ხშირი ცვლის გარდა, სხვა სიახლეები ჯერ არ განხორციელებულა. ფინანსური და უსაფრთხოების პრობლემების მოუგვარებლობის მიუხედავად, ციხეებიდან პატიმრები აღარ გარბიან და ეს ფაქტი მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ გაქცევები თავის დროზე კონკრეტული ადამიანების მიერ კონკრეტული მიზნებით იყო ინსპირირებული. თუმცა, მსგავსი საშიშროების თავიდან ასაცილებლად და, საერთოდ, სასჯელაღსრულების სისტემის სრულყოფისათვის იუსტიციის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა რიგი ღონისძიებების გატარებას გეგმავს.*

სასჯელაღსრულების სისტემის ყოფილ ხელმძღვანელობას ასევე ყოფილი ხელისუფლების მიმართ მუდმივად ერთი პრეტენზია ჰქონდა – დაფინანსების სიმწირე, რაც ციხეების თანამშრომლებისთვის ნორმალური ხელფასების მიცემასა და სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაცვის სისტემების გაუმჯობესების საშუალებას სპობდა. იუსტიციის ახალ მინისტრს გიორგი პაპუაშვილს კი, როგორც ჩანს, თანაგუნდელი მთავრობის წევრებისგან უკვე სრული გარანტიები აქვს მიღებული და წლის ბოლომდე სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებისთვის მინიმალური ხელფასის 100 ლარამდე გაზრდას აპირებს. ამასთანავე, მინისტრის თქმით, მართალია, სისტემაში რეფორმა სხვადასხვა მიმართულებით ჩატარდება, სამაგიეროდ, ფართომასშტაბიანი საკადრო ცვლილებები გათვალისწინებული არ არის, ოღონდ აუცილებლად მოხდება კადრების გადამზადება. მინისტრი ბევრი იმ ადამიანითაც კმაყოფილია, რომელთაც ჯერ, მართალია, გადამზადება არ გაუვლიათ და არც ხელფასი მომატებიათ, მაგრამ თავიანთ მოვალეობას მაინც პირნათლად ასრულებენ. ასეთი კადრების მიმართ მან მადლიერების გრძნობა მატერიალური წახალისებით გამოხატა; კერძოდ, თბილისის მე-5 საპყრობილისა და ავჭალის მკაცრი რეჟიმის დაწესებულების 20-მდე თანამშრომელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას თავის გამოჩენისათვის გიორგი პაპუაშვილმა პრემიის სახით ფულადი ჯილდო გადასცა. მე-5 საპყრობილის



*იუსტიციის მინისტრი თანამშრომლებს ხელფასების გაზრდას ჰპირდება.*

მედია-ნიუსი

თანამშრომლებმა პრემია საპყრობილეში ნარკოტიკის შეტანის ფაქტის აღკვეთის გამო მიიღეს, ხოლო ავჭალის კოლონიის თანამშრომლებმა – კედლის ჩამონგრევისას უსაფრთხოების დაცვისათვის. პრემია გადაეცა ასევე სასჯელაღსრულების სისტემის კიდევ 120 თანამშრომელს. მთლიანობაში კი, ციხეების თანამშრომელთა წახალისება იუსტიციის სამინისტროს 7 500 ლარი დაუჯდა.

იუსტიციის მინისტრი არამარტო კადრების პრობლემითაა შეწუხებული. მას უპირველეს ამოცანად მიაჩნია მე-5 საპყრობილეში არსებული გაუსაძლისი პირობების გაუმჯობესება. კერძოდ, საპყრობილეში 28-ადგილიან საკანში 45 პატიმარია მოთავსებული, რის გამოც მათ, არც მეტი არც ნაკლები, რიგრიგობით ძილი უწევთ.

სამაგიეროდ, პაპუაშვილის თქმით, გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა თბილისის მე-7 საპყრობილეში, რომელიც სულ რაღაც თვენახევრის წინ შინაგან საქმეთა მინისტრმა საზეიმოდ გადასცა იუსტიციის სამინისტროს. როგორც ცნობილია, ეს საპყრობილე შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში მდებარეობს და სულ ცოტა ხნის წინ არასამთავრობო ორგანიზაციები იქ არსებულ, პატიმართა ცხოვრების გაუსაძლის პირობებზე ლაპარაკობდნენ. ამასთან დაკავშირებით, იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე გია გეწაძე აცხადებს, რომ ამ განცხადებების გაკეთებისას, როგორც ჩანს, არასამთავრობო ორგანიზაციებს არ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ამ შენობაში რემონტი ჩატარდა. არადა, რემონტის შემდეგ პირობები საგრძნობლად გაუმჯობესდა - იქ ამჟამად 16 საკანი და 64 ადგილია.

კონკრეტული პრობლემების პარალელურად, იუსტიციის მინისტრი ზოგადი ხასიათის გეგმებზეც საუბრობს; კერძოდ, მისი თქმით, პენიტენციალურ სისტემაში თანდათანობით მოხდება დაწესებულებების გამსხვილება. ამით, ერთი მხრივ, პატიმართა გაქცევების შესაძლებლობები შემცირდება და, მეორე მხრივ, პატიმართა საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესდება. მინისტრს იმედი აქვს, რომ უახლოეს მომავალში დიდი ხნის წინანდელი პრობლემაც გადაწყდება. საუბარია, რუსთავის მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებარე საპყრობილის დასრულებასა და მის ტერიტორიაზე კიდევ ერთი შენობის აშენებაზე. პაპუაშვილის თქმით, იუსტიციის სამინისტრო მოლაპარაკებებს აწარმოებს დონორ ორგანიზაციებთან და, სავარაუდოდ, იმ საქმისთვის, რომლის დასრულებასაც წინა ხელისუფლება სხვადასხვა მიზეზის გამო ხელს უშლიდა, შესაბამისი დაფინანსება გამოიძებნება.

მანამდე კი **"ყველა საპატიმრო დაწესებულება თანამედროვე კომპიუტერებით აღიჭურვება"**, - ასეთი დაპირება მისცა იუსტიციის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებს. მისი თქმით, კომპიუტერების მეშვეობით შესაძლებელი იქნება თითოეულ პატიმარზე მონაცემების შეგროვება, რაც უსაფრთხოების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს.

*მომზადებულია "მედია-ნიუსის" ინფორმაციების მიხედვით*

# სანიტარული სამსახურის თავკაცებს კორუფციაში ადანაშაულებენ

პირველი გვერდიდან

სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები სამსახურის უფროსის მოადგილეს, უფროსის მოვალეობის შემსრულებელს გიორგი ტყეშელაშვილს, დანარჩენ ორ მოადგილესა და საფინანსო სამსახურის უფროსს კორუფციაში ადანაშაულებენ და მათი საეჭვო საქმიანობის რევიზიას ითხოვენ.

საქმე ისაა, რომ სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილის ტყეშელაშვილის ხელმოწერით ორი თვის განმავლობაში 100-მდე ობიექტზე გაიცა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ ცნობა, რომლითაც პროდუქციის მწარმოებელ ობიექტებს მუშაობის უფლება მიეცათ; თუმცა, როგორც ირკვევა, ყველა გაცემული ცნობა უკანონოა, რადგან ამ ობიექტებში არსებული მდგომარეობა არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. მეორე - ყველაზე მთავარი დარღვევა ისაა, რომ, საქართველოს სანიტარული კოდექსის 13-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ცნობის გაცემის უფლება გააჩნია მხოლოდ თბილისის მთავარ სანიტარულ ექიმს ან მის მოადგილეს, რომელსაც ჩაბარებული უნდა ჰქონდეს სახელმწიფო სასერთიფიკაციო გამოცდა და მინიჭებული უნდა ჰქონდეს სანიტარულ ექიმად მუშაობის უფლება. დასახელებული ცნობების გამცემს კი სერთიფიკატი არ გააჩნია და, შესაბამისად, მას არც ის სტატუსი მოეპოვება, რომელიც მას ცნობების გაცემის უფლებას აძლევს.

სხვათა შორის, საქმეში ჩახედულთა ინფორმაციით, ცნობა, რომელიც ყველა პროდუქტის მწარმოებელი ობიექტისთვისაა საჭირო, არაოფიციალური გადასახადის საფუძველზე გაიცემა. გავრცელებული ინფორმაციით, გადასახადი ობიექტის ფუნქციების მიხედვით დგება; სავარაუდოდ, ის 100-დან 300 დოლარამდე ჯდება. ეს ყალბი ცნობები და მისი გამცემები არაერთხელ მოხვდნენ სამართალდამცველთა ყურადღების ცენტრში და ამ საქმეებზე არაერთი სკანდალი ატეხილა.

გარდა ცნობებისა, თანამშრომლები სანიტარული სამსახურის უფროსის მოადგილეებს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების არამიზნობრივად ხარჯვაშიც ადანაშაულებენ. საუბარია, ტყეშელაშვილის მიერ საბიუჯეტო თანხებით 11 ათას ლარად ღირებული "მერსედესის" მარკის ავტომანქანის შეძენაზე და მისი კაბინეტისთვის კაპიტალური რემონტის ჩატარებაზე. არადა, ბიუჯეტის თანხები კეთილმოწყობაზე იმ დროს დაიხარჯა, როცა სამსახურის თანამშრომლებს რამდენიმე თვეა ხელფასები არ აუღიათ. მათი სახელფასო დავალიანება არც ახლაა დაფარული.

როგორი სამართლებრივი კვალიფიკაცია მიეცემა სანიტარული სამსახურის უფროსის მოადგილეების ქმედებას, ეს სამართალდამცველთა პრეროგატივაა; მით უმეტეს, რომ საჩივარი, რომელსაც დასახელებული ფაქტების დამადასტურებელი დოკუმენტები ახლავს, პროკურატურას უახლოეს დღეებში გადაეცემა.

უსტაბაში

ირაკლი ბერიაშვილი

## პროფესიონალები

ახლა სვანებზეა მოდა. იყო დრო, კახელები ლიდერობდნენ ამ საქმეში. თვითონ კახეთში კი, თუ სადმე ანეკდოტს იტყვიან, ან ბოდბეზეა, ან ბოდბელებზე. ოღონდ ბოდბისხეველებში არ აგერიოთ. ამათ შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც, მაგალითად, ზემომაჩხაანელებსა და ქვემომაჩხაანელებს შორის. მოკლედ, სვანები მოგონილია მაგათთან.

ვერტმფრენიდან ხოჭოებში არეული შავი ქლიავის ჩირი ჩაუყრიათ ბოდბელებისთვის. მისევიან და ჩირის ჭამა დაუწყიათ. ამ ამბავს ერთი ცივილიზებული, აი, ჩემი ბიძაშვილი რომ არის, ისეთი ბოდბისხეველი შესწრებია – უფეხოები სად წაგივლენ, ჯერ ფეხიანები ჭამეთო. ეს ბოდბელები კიდევ ისეთი პატიოსანი, ისეთი გულუბრყვილო ხალხია...

ახლა ეს ამბავი კი მოვყევი, მაგრამ რასთან ან ვისთან დაკავშირებით, ველარ გამიხსენებია. განა არ ვიცი, რომ ცუდი ნიშანია, ჩვენში ეგეთებზე ძალიან სპეციფიკურ გამოთქმას ხმარობენ ხოლმე, მაგრამ არა უშავს, გზადაგზა, იმედია, გამახსენდება – სად მეჩქარება.

აი, ასე აუჩქარებლად დავდივარ ხოლმე ქუჩაშიც. შევყურებ ამ ჩემს ქალაქს, თბილისური სახლების ფასადებს და სული სინათლით მევსება – მალე, სულ მალე ერთ დიდ საქათმეს დაემსგავსება. მართალია, ამ საყოველთაო ჰარმონიაში მცირე დისონანსი მიშენებულ ლოჯიებს შეაქვს, მაგრამ რა გაეწყობა – სამაგიეროდ რა პეიზაჟია! მწვანე, წითელი, ყვითელი, ლურჯი და იისფერი აივნები, სარეცხის თოკზე გამოფენილი პერანგები, ნიფხვები, ბიკინები... სამწუხაროდ, ერთჯერადი გამოყენებისაა ოლვეიზიც და ოლდეიზიც, თორემ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შტრიხი გარანტირებული ჰქონდა ქალაქს.

არა, სულაც არ ვდარდობ. მართალია, ამ თბილისში აღარც კიკას ადგილია და აღარც მარინასი, მაგრამ სანაცვლოდ ნათელაშვილი გვყავს და "ალიას" ვკითხულობთ. სამაგიეროდ ნელ-ნელა გამოდიან მზეზე ოპოზიციონერი პოლიტიკოსის ქოლგას შეფარებული ავანტიურისტები, რუსის აგენტები, მილიონერები, კონტრაბანდისტები, ქურდები და, უბრალოდ, შარიანები.

უშიშროების ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ბათიაშვილმა, პროფესიონალებს სდევნიანო. სიტყვა პროფესიონალი რაიმე საქმის მუდმივად მკეთებელ კაცს ნიშნავს. ბათიაშვილი, ეტყობა, კაგებეს ძველ, გამოცდილ კადრებს გულისხმობდა. მე თუ ვინმე მკითხავს, პირველ რიგში სწორედ იმათ ეკუთვნით სავსებით დამსახურებული დასვენება.

ზურაბ ტყემალაძეს გული ეწურება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა შემცირების გამო. მინისტრი თავისი ხალხისთვის ხელფასის მომატებს ცდილობს, ტყემალაძეს კი უნდა, რომ პოლიციელმა სამოც ლარად შეუშვიროს თავი ტყვიას. ბატონო ზურაბ, წაიყვანეთ გამოთავისუფლებული პოლიციელები თქვენს საწარმოებში და გადაუნაწილეთ სახელფასო ფონდი. სამოც-სამოცი ლარი ყველას შეხვდება. ხალხის დასაქმებისთვის მადლობას კი დაიმსახურებთ, მაგრამ თუ მერე ამ სამოცლარიანმა მუშებმა ყალთაბანდობა დაიწყეს, საკუთარ თავს დააბრალეთ.

ისიც თქვა ბატონმა ზურაბმა, არასასურველი ხალხი მოიცილა ბარამიძემო. ისე კი, რა, ვერ მოხსნიდა თუ როგორ არის თქვენი საქმე, საკუთარ საწარმოებში ვინმეს რომ ხსნით ან ნიშნავთ, ბარამიძეს ეკითხებით?

ეეჰ, ძალიან მძიმე კვირა იყო. საითაც არ მივატრიალე თავი, ერთიმეორეზე უარესი რამ დამხვდა – ქუჩაშიც, სამსახურშიც, ტელევიზორშიც, მარშრუტკაშიც კი...

ჰო, მარშრუტკაშიც. ვზივარ ჩემთვის მოკუნტული, ვერც ხელი გამიშლია, ვერც ფეხი, ნახევარი ავტობუსი პირჯვარს იწერს, მეორე ნახევარს მობილური უჭირავს ხელში და: "ქეთი, საყვარელო, აი, ახლა ლესელიძიდან ამოვუხვევთ... ორ წუთში მანდ ვიქნები, არ მოიწყინო". ქალაქის ტელეეკრანები კი ისევ ივსება ნაპატივები სახეებით. ძირითადად, ისეთებით, ლამის ოცდაათი წელიწადი რომ ითმენდნენ ათას შეურაცხყოფას, ახლა კი ორ თვეში გახდნენ დემოკრატებიც, ამაყებიც, თავმოყვარეებიც. ითხოვენ კიდეც – კარგ კანონებს, კარგ პირობებს, კარგ გარემოს... აი, ისეთს, მშვიდს, დაწყნარებულს – პროკურორის გარეშე, გამომძიებლის გარეშე, მოსამართლის გარეშე, დაჭერების გარეშე...

აი, ფანტასტიკურ ისტორიულ დაკვირვებას გვთავაზობს გუბაზ სანიკიძე. მისი აზრით, ჩვენს გარშემო ყველა სახელმწიფოს ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონია საქართველოს მიმართ. მე პირიქით ვიცოდი. ამ ახლებურ მიდგომაში აშკარად იგრძნობა აკაკი ასათიანის პოლიტიკური გავლენა.

კიდევ ერთი მძიმეწონოსანი პოლიტიკური ფიგურა კი დავით საგანელიძის სახელითა და გვარით ისევ იმ ყბადაღებულ პარიტეტზე ლაპარაკობს, როცა ოპოზიციას, სულ ცოტა, თერთმეტი ხმა დაუგროვდება, დღევანდელი ხელისუფლების მომხრეებს კი – სამი. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ თუ რევოლუციით მოსული გუნდი ამ რაღაც სულელურ მოთხოვნასა და ოთხ თუ ხუთპროცენტიან "პრახადნოი დვორს" დაჰყვა და პარლამენტში ეს ნაგავი ძალით შეიტანა, მაშინ თვითონ ყოფილა იქიდან გამოსატანი.

ასლან აბაშიძემ, როგორც იქნა, გამოიცნო ცენტრალური ხელისუფლებისა და, მინდა მჯეროდეს, მთელი საქართველოს სურვილი – ბოლოს და ბოლოს, გაუქმდეს აჭარის უშიშროების სამინისტრო, მერე ფინანსთა სამინისტრო, განათლების სამინისტრო და ბოლოს თვითონ აჭარის ავტონომიაც.

თავისი უფროსის სურვილს ალღო ვერ აუღო ჰამლეტ ჭიპაშვილმა (ბოდიშს ვიხდი – აჭარის წარმომადგენელმა საქართველოში), რომელმაც ძალიან ორიგინალურად ახსნა ბათუმში გახშირებული ჟურნალისტებისა და კმარელების ცემის ფაქტები: "არის გამაღიზიანებელი ფაქტორები, მომენტებიო".

მე, ბატონო წარმომადგენელო, ახლა კი არა, კარგა ხანია, ძალიან მაღიზიანებს შენი სიტყვები, ფრაზები, საერთოდაც ძალიან მაღიზიანებ. ახლა რომ ავდგე და დაგიჭირო სადმე ქუჩაში, ერთი გემოზე დაგისისხლიანო ცხვირ-პირი, ხომ ახი იქნება შენზე. მაგრამ იცი, რომ ამას არ ვიზამ და იმიტომაც გაქვს ენა გატლეკილი.

აქ რომ ეგეთი ამბებია, ქართველ მშრომელთა იმედი შალვა (იგივე შალიკო, იგივე კიკა) კახეთს სწვევია და ალალად ეუბნება ხალხს: სულით, ხორცით, ძვლითა და ტყავით თქვენთან ვარო.

ჩემო შალვა, სული კარგა ხნის წინათ მიჰყიდე კომუნისტებს, სხვა დანარჩენზე კი რა გითხრა, ძვალი შენი არ ვარგა და ტყავი, ხორცი კიდე არ იჭმევა.

მართლა მძიმე კვირა იყო და კიდევ უფრო დამძიმდება. კიდევ უფრო გაავდება ქალაქი, რაშიც ყველაზე ნაკლებადაა დამნაშავე ასლანას ნაგაზი, რომელიც, სხვათა შორის, პატრონზე გულადი აღმოჩნდა – თბილისში ჩამოვიდა, თანამოძმეებთან შეჯიბრებაშიც მიიღო მონაწილეობა და ვერცხლის მედლითაც დაიმშვენა მკერდი.

ახლოვდება არჩევნები. პოლიტიკოსებმა, რა ხანია, დაიშაქრეს საამომრჩევლო ენა. სახელისუფლებო პარტიამ ვერა და ვერ დაადგინა ერთ სულ მოსახლეზე ქურდების რაოდენობა. პატარ-პატარა ჯგუფებად დაყოფილი ოპოზიცია ვირთხების მცირე, მაგრამ მობილურ რაზმებად დაძვრება ზევით-ქვევით – სიტუაციას ყნოსავს და არც პატარა და ბასრი კბილების გამოჩენას ერიდება.

ჰო, აი, გამახსენდა კიდეც, ვირთხებზე... წერილის თავში ნახსენები ამბავი, ჩემი ბიძაშვილის გულმოდგინების წყალობით, "ხოჭოს პრინციპის" სახელით შევიდა საზოგადოებათმცოდნეობის თეორიაში, თუმცა, ვერც ამ პრინციპის უფრო მაღალ საფეხურზე ამყვანებს დავუკარგავ ამაგს, რომლებმაც მეთოდი ჟურნალისტიკაზეც გაავრცელეს.

ახლახან ალიაგამოვლილ ჟურნალისტებთან საუბარში გაირკვა, რომ იქ, "ალიაში", ამ პრინციპს პროფესიონალი ჟურნალისტები შემდეგნაირად ნერგავენ: "თუ, მაგალითად, სამეცნიერო კონფერენციაზე ხართ და ამ დროს მომხსენებლის გვერდით, კათედრასთან, ვირთხამ გაირბინა, თქვენს რეპორტაჟში მთავარი აქცენტი სწორედ ვირთხაზე უნდა გაკეთდეს".

აღმოჩენამ, ცხადია, ბოდბისხევამდეც მიაღწია და ჩემმა ბიძაშვილმაც არ დააყოვნა კომენტარი: მტერი იქნება თუ მოყვარე, ნიჭი პატივისცემის ღირსიაო. თვითონ პრინციპს კი "მოძრავ ობიექტზე ორიენტირებული ჟურნალისტიკა" უწოდა.

# უნიათობას გადაყოლილი ქვეყნის სუვერენიტეტის მნიშვნელოვანი ნაწილი

ნინო ცინცაძე

*უკვე, დაახლოებით, ცხრა წელიწადია, რაც აზერბაიჯანული ეთნიკური წარმოშობის ჩვენი თანამოქალაქეთა შვილები ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ სკოლებში ასე იზრდებიან: გადაშლიან, მაგალითად, ისტორიის, ან გეოგრაფიის სახელმძღვანელოს და იქ წერია, რომ მათი სამშობლო აზერბაიჯანი ამდენი და ამდენი კვადრატული კილომეტრია, რომ მათი ქვეყნის პრეზიდენტი ალიევია და ა.შ. ბავშვობიდანვე ამ პრინციპით გაზრდილ ადამიანებს, ლოგიკურად უყალიბდებათ წარმოდგენა, რომ ტერიტორია, სადაც ისინი ცხოვრობენ, აზერბაიჯანია.*



კახა ლომაია.

ბესო გულაშვილის ფოტო

აზერბაიჯანში 12 ქართული სკოლაა, ჩვენთან 160 აზერბაიჯანული. საქართველოსა და აზერბაიჯანის განათლების სამინისტროებს შორის ცხრა წელია, ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმებას ეწერება ხელი. ეს შეთანხმება ტრადიციული, კლასიკური ტექსტია, რომელსაც მეზობელი ქვეყნები ერთმანეთს შორის ყოველთვის დებენ ხოლმე. მაგრამ აზერბაიჯანულ-ქართულ დოკუმენტში საქართველოს მხარის ინიციატივით იდო მუხლი, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ აზერბაიჯანულ სკოლებს სახელმძღვანელოებითა და სასწავლო მასალებით აზერბაიჯანის განათლების სამინისტრო უზრუნველყოფდა, შესაბამისად ქართული მხარე პასუხისმგებლობას იღებდა კახის, ზაქათალისა და ბელაქანის ქართულ სკოლებზე. ამ წლების განმავლობაში საქმე ასე ვითარდებოდა: ჩვენი მხარე საინგილოს რაღაც მასალებს კი აწვდიდა, მაგრამ ეს ყოველთვის გარკვეულ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. აზერბაიჯანის მხარე ისტორიისა თუ გეოგრაფიის ჩვენს სახელმძღვანელოებს ყოველთვის ჯანსაღი სიფრთხილით ეკიდებოდა. ხოლო საქართველოს მხარეს ეს პროცესი აბსოლუტურად უკონტროლოდ მიედინებოდა, თუმცა სრულიად კანონიერად. პრაქტიკულად აზერბაიჯანის განათლების სამინისტრო ჩვენი ქვეყნის აზერბაიჯანულ სკოლებს პირველიდან ბოლო კლასამდე მთლიანად ამარაგებდა. სახელმძღვანელოების ნაწილი უფასოდ შემოდიოდა, ნაწილი კი სუბსიდირებული ფასებით შეისყიდებოდა. განათლების ახალი მინისტრის ბაქოში ჩასვლის შემდეგ ამ პრაქტიკას ბოლო მოეღო. ბუნებრივია, სანამ ხელშეკრულება კახა ლომაიამდე მივიდოდა, მან ყველა ინსტანცია გაიარა, მათ შორის, განათლების სამინისტროშიც, თუმცა მის წინამორბედებს ხელშეკრულების ამ პუნქტებისადმი პროტესტი რატომღაც არ გასჩენიათ.

**"მგონი, ბევრი დავა არ სჭირდება, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე ამავე ქვეყნის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სახელმძღვანელოებითა და ლიტერატურით უნდა ისწავლებოდეს,** - ამბობს კახა ლომაია, - **ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან არსებობდა შიში, რომ ამ პუნქტების ამოღება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში გარკვეულ უსიამოვნებას შეიტანდა, მაგრამ, როდესაც მე ჩემს იქაურ კოლეგებს გავესაუბრე, მათი მხრიდან გაუგებრობას ადგილი არ ჰქონია. ეს არის თქვენი ქვეყნის სუვერენიტეტის მნიშვნელოვანი ნაწილი. ჩვენ ამას მხოლოდ იმიტომ ვაკეთებდით, რომ ამაზე თქვენი მხარის თანხმობა არსებობდა, თუ ამის უზრუნველყოფას თქვენვე მოახერხებთ, რანაირად შეიძლება ჩვენ რაიმე პრეტენზია გაგვიჩნდესო, გვეუბნებოდნენ ისინი. პირველად ამ ცხრა წლის განმავლობაში დოკუმენტში ჩაიდო, რომ აზერბაიჯანული მხარე საქართველოს აზერბაიჯანულ სკოლებს მხოლოდ ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებს მიაწვდის, ხოლო ყველაფერ დანარჩენზე სპეციალური შეთანხმება დაიდება. ჩვენ შევქმნით ერთობლივ პატარა ჯგუფს, რომელიც ერთი თვის განმავლობაში იმუშავებს და პრობლემათა ინვენტარიზაციას მოახდენს. შესაძლოა, დავდოთ ხელშეკრულება მათემატიკის წიგნებზეც. მაგრამ, რაც შეეხება ისტორიისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელოებს, ჩვენს ტერიტორიაზე აუცილებლად ჩვენს მიერ დამტკიცებული სახელმძღვანელოები იქნება. მე ვთხოვე საგარეო საქმეთა სამინისტროს, შეამოწმონ, გვაქვს თუ არა დადებული მსგავსი ხელშეკრულება სომხეთთან. რუსეთი შევამოწმეთ და იქ ასეთი ხელშკრულება არ არსებობს, თუმცა რუსეთიდან სახელმძღვანელოების შემოსვლა მაინც ხდება. ჩვენს რუსულ სკოლებში გარკვეულ კლასებში რუსეთის ფედერაციის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სახელმძღვანელოებით ისწავლება."**

პრობლემათა ინვენტარიზაცია მხოლოდ სახელმძღვანელოებს არ შეეხება. აზრებაიჯანული მხარისათვის პრობლემას, მაგალითად, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები წარმოადგენს. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე აზერბაიჯანული მოსახლეობით დასახლებულ ადგილებში გახსნილია უმაღლესი სასწავლებლები, სადაც ათასობით აზერბაიჯანის მოქალაქე აბარებს და ამით თავს სამხედრო სამსახურს არიდებს. აზერბაიჯანული მხარისათვის ეს სერიოზული პრობლემაა, ისინი დარწმუნებულები არიან, რომ ეს უმაღლესები სრული ფიქციაა. არის სხვა პრობლემაც. იქაური ახალგაზრდები ჩვენს უნივერსიტეტში ადვილად ეწყობიან და შემდეგ ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ითხოვენ გადასვლას. ამით ისინი თავს მისაღებ გამოცდებს არიდებენ. მოკლედ რომ ითქვას, ჩვენთან მეზობლების ხარჯზე კორუფციის დიდი კერებია შექმნილი და ეს პრობლემები გადასაჭრელია. მოლაპარაკება შეეხო აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მყოფი ქართული სკოლების სავალალო მდგომარეობასაც. **"ეს არ ნიშნავს იქვე მყოფი აზერბაიჯანული სკოლები უკეთეს დღეშია. თუმცა ჩვენმა კოლეგებმა ეს საკითხი გულთან ახლოს მიიტანეს და თქვეს, რომ ჩვენი სკოლებისათვის უფრო მეტს გააკეთებენ,** - გვითხრა განათლების მინისტრმა, - **პრეზიდენტმა სააკაშვილმა ილხამ ალიევთან ჩვენთან მცხოვრებ აზერბაიჯანელთა ინტეგრაციის საკითხი დააყენა. მან თქვა, რომ ქვეყნისათვის პრიორიტეტია, საქართველოს ნებისმიერი ეთნიკური წარმომავლობის მოქალაქეების რეალური ინტეგრაცია მოხდეს საქართველოს სახელმწიფოში, თანაც ისე, რომ მათ თავიანთი კულტურული იდენტურობა შეინარჩუნონ. სააკაშვილის მხრიდან ასევე გამოითქვა სურვილი, რომ მსგავსი უფლებები და პირობები ქართული ეთნიკური წარმომავლობის აზერბაიჯანულ მოსახლეობასაც შეექმნას. მან ითხოვა, კახის ქართულ თეატრს სახელმწიფო სტატუსი მიენიჭოს, ჩვენთან კი პარალელურად აზერბაიჯანული თეატრი აღდგება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენ წლების განმავლობაში აზერბაიჯანელებთან მილსადენის გარდა არაფერზე გვისაუბრია. ბუნებრივია, მილსადენი თავისთავად სტრატეგიულია, მაგრამ, როდესაც მეზობელ სახელმწიფოსთან ასეთი, თითქოს ერთი შეხედვით უმნიშვნელო, პრობლემების წამოწევა ხდება საპრეზიდენტო დონეზე, პარტნიორები შენს მიმართ მეტი პატივისცემით იმსჭვალებიან."**

ვიზიტის ფარგლებში შეთანხმება კიდევ ორ საკითხზე მოხდა. ეს არის ბაქოში ქართული სკოლის გახსნა და ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრის ჩამოყალიბება. აზერბაიჯანული მხრიდან პრინციპული თანხმობა უკვე არსებობს. ახლა ამაში აქტიურად ჩვენი საელჩო ჩაერთვება. გამოსაკვლევია, როგორია იქ მცხოვრები ქართველების მზადყოფნა, ასეთ სკოლაში ისწავლონ.

# დავა "დარიალის" ტერიტორიაზე

თამარ დვალი

*ქავთარაძის სამ ნომერში მდებარე ბაზრობა "დარიალის" მოვაჭრეები დირექციას ძველი გადასახადების დამალვაში სდებენ ბრალს და ტარიფის 40 ლარით გაზრდას აპროტესტებენ. ბაზრის დირექცია აცხადებს, რომ ბაზრობა მოგებიანი აღარ არის და, თუ გადასახადებს არ მოუმატეს, მაშინ იგი უნდა დაიხუროს, სახელმწიფო კი უმუშევრად დარჩენილ ხალხს ვერანაირ დახმარებას ვერ აღმოუჩენს.*



**"ბაზრობა "დარიალი" 1998 წელს გაიხსნა. თავიდან თვეში 140 ლარს ვიხდიდით, შემდეგ ორჯერ გაგვიზარდეს გადასახადი 20-20 ლარის ოდენობით, ახლა კიდევ 40 ლარის მომატებაზეა საუბარი. ჩვენ ხელშეკრულება აგვისტომდე გვაქვს გაფორმებული, სადაც წერია, რომ გადასახადი 100 ლარია. სინამდვილეში კი 180-ს ვიხდით. თუ ამ გადასახადებს არ გადავიხდით, ბაზრის ტერიტორიიდან გაგვაგდებენ. დირექტორი გვეუბნება, ჩემი ჯიბიდან ხომ ვერ დავდებ ფულსო. 50 ჯიხურის ნაცვლად, ოფიციალურად, 10-ია გაფორმებული. გვგონია, რომ ადრეც მალავდნენ შემოსავლებს. ახლა განცხადებას შევიტანთ გენერალური პროკურორის სახელზე. მთლიანად ბაზრობა სამ ნაწილადაა დაყოფილი, თუმცა, ჩვენი ნაწილის გარდა, არავის უმატებენ გადასახადს, "** – აცხადებს რამაზ ჩხიკვაძე, რომელიც ქავთარაძის ბაზრობაზე ავტო-ნაწილებით ვაჭრობს. როგორც გავიგეთ, ამ საუბრის შემდეგ იგი სამსახურიდან უკვე გაათავისუფლეს.

"დარიალის" ერთ-ერთი მეწილე და ამ ბაზრობის დირექტორი მალხაზ დადუნაშვილი აცხადებს, რომ ეს ტერიტორია კერძო საკუთრებაა და თუ ბაზარი თავის ხარჯებს ვერ დაფარავს, მაშინ იძულებული გახდება დახუროს.

**" დიდ ტერიტორიაზე ძალიან ცოტა ჯიხურია განლაგებული. ჩვენ ამ შემოსავლით მიწის გადასახადს ვერ უზრუნველვყოფთ და იძულებულები ვართ, თანხა გავზარდოთ. მუშაობა რომ არ არის, ამის გამო, ბევრი ჯიხური დაიკეტა. მე ვუთხარი ყველას, თუ გადაიხდიან დამატებით თანხას, შევინარჩუნებთ ბაზრობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაიკეტება. 6 კვადრატულ მეტრ მიწაზე 68 ლარია დაწესებული. როგორც კი ახალი ხელისუფლება გადასახადს დააკლებს, ჩვენც დავუწევთ ფასს. თუმცა, იმის გამო, რომ რამდენიმეს ძალიან უჭირს, 20 ლარსაც ვახდევინებთ, "** - გვითხრა "დარიალის" დირექტორმა მალხაზ დადუნაშვილმა. მისივე თქმით, არც ერთი ჯიხურის პატრონი არ იხდის 180 ლარს. იგი წარსულში გადასახადების დაფარვასაც უარყოფს და აცხადებს, რომ გამყიდველებმა ეს მას შემდეგ განაცხადეს, რაც ტარიფის მომატებაზე დაიწყო საუბარი.

როგორც საკრებულოს წევრმა, სოციალურ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, იოსებ შატბერაშვილმა გვითხრა, მსგავსი პრობლემა ათასობით მოვაჭრეს აწუხებს. **"სამწუხაროდ, დღეს მოვაჭრეები დაუცველები არიან. კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფოს მათი დაცვა არ შეუძლია. ბაზრობების უმეტესობა კერძო საკუთრებაა და, აქედან გამომდინარე, მეპატრონეს ვერავინ ეტყვის, - ფასს არ მოუმატოთო. ეს მათი გადასაწყვეტია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საჭიროა, ისეთი მუნიციპალური ბაზრობები შეიქმნას, რომლებიც მერიის და საკრებულოს საკუთრება იქნება. ხალხიც დასაქმდება და თანხაც შევა ბიუჯეტში. ასეთ შემთხვევაში, თუკი ხალხის გათავისუფლება მოხდება, პასუხისმგებლობა თვითმართველობის ორგანოებს დაეკისრებათ."**

www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

# საშიში მითის მსხვრევა

პირველი გვერდიდან

**- თუ შეიძლება, დაწვრილებით - რა იცვლება ძირეულად?**

- ეს პროცესი სამსახურის მიღმა დარჩენილი ბევრი ადამიანისთვის იყო მტკივნეული. პირველ რიგში, უარი ვთქვით ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურზე. გავაუქმეთ დეპარტამენტი, რომელიც რეალურად ბიზნესს ატერორებდა, ყველა საწარმოსთვის ჰქონდათ "შეწერილი" წილები. ბუნებრივია, ძალიან ბევრი ის ადამიანი არ იქნება ბედნიერი, ვინც სამსახურის გარეშე დარჩა და ათეულ ათასობით და ზოგჯერ - ასეულ ათასობით დოლარი დაკარგა.

ვერ შევეგუებით იმას, რომ სპეცსამსახურს ყველაზე კორუმპირებული სტრუქტურის სახელი ერქვას. სპეცსამსახურს ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის ფუნქცია 90-იან წლებში მიენიჭა და ეს მისთვის შეურაცხმყოფელი იყო. ამიტომაც განვთავისუფლდით ამ ფუნქციისგან. ეკონომიკური სამსახურის არსებობამ სტრუქტურაში კატასტროფულად გაზარდა კორუფცია. ხალხმა, რომელიც სამსახურის გარეშე დარჩა და უზარმაზარი ფულის მფლობელია, ეს ფული საკუთარ პიარში, ამა თუ იმ აქციების ორგანიზებაში დახარჯა - აი, ეს არის ნამდვილი მიზეზი “საზოგადოების ვნებათაღელვისა”.

ის, რაც მოხდა, საზოგადოებისთვის ძალიან კარგია, რადგან ამიერიდან უშიშროების სამსახური არც ერთ საწარმოში აღარ შევა და არ შეაწერს ფულს.

**- დადგება თუ არა იმ თანამდებობის პირთა პასუხიმგებლობის საკითხი, ვინც წლების მანძილზე კორუფციულ გარიგებებში იღებდა მონაწილეობას, თუ მათაც სისტემის მსხვერპლად შერაცხავენ?**

- ნებისმიერ პიროვნებას ინდივიდუალურად მივუდგებით. ზოგიერთების მიმართ უკვე დადგა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი. ვიქნებით ძალზე მკაცრი და თანმიმდევრულნი.

ეკონომიკურ დანაშაულებთან ბრძოლის სამსახური ძალიან დიდი არა, მაგრამ ძალზე გალენიანი და კორუმპირებული იყო. ამ სამსახურის გარდა, უშიშროების სისტემაში კორუფციისთვის დიდი სივრცე არ არსებობდა. ბუნებრივია, თუ რომელიმე თანამშრომელი გაბედავს და კორუფციულ სისტემაში ჩაერთვება, მის მიმართ კანონის მთელი სიმკაცრით ვიმოქმედებთ. მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ ადამიანის დევნას მხოლოდ იმის გამო, რომ ის უშიშროების თანამშრომელი იყო.

**- ამ ეკონომიკურ სამსახურს უკავშირებთ თუ არა ახალი კასტის - "შეშინებული ბიზნესმენების" - წარმოქმნას?**

- ეკონომიკური სამსახური რეალურად კი არ ებრძოდა კორუფციას, არამედ კორუფციის ერთგვარი ნაწილი იყო - ძალიან ბევრი უკანონო ბიზნესის ე.წ. "კრიშა". კონტრაბანდა ამ სამსახურის გარეშე ვერ წარმოიშვებოდა. შესაბამისად, სამსახურის გაუქმება ხელს შეუწყობს ამ ბიზნესების გათეთრებას და სახელმწიფო ბიუჯეტში სახსრების მობილიზებას - სახელმწიფო სტრუქტურებში კონტრაბანდისტებს აღარ ეყოლებათ სერიოზული დასაყრდენი.

**- უკონტროლო ტერიტორიების ზედამხედველობა ოფიციალურად რომ ევალებოდა, სწორედ იმ სტრუქტურებს ჩამოუყალიბდათ კორუფციული ურთიერთობები სეპარატისტულ მთავრობებთან...**

- ჩვენ ზუსტად ვიცით, ვინ რა ბიზნესში მონაწილეობდა. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ისეთი მასშტაბები, როგორიც ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის დეპარტამენტში იყო, დაზვერვაში არ ყოფილა - მათ ამდენი შესაძლებლობები არ გააჩნდათ. თუმცა, იქაც არსებობს სერიოზული ინფორმაცია და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ - თანამშრომელი, რომელიც კონტრაბანდასა და რეკეტში მონაწილეობს, ძალიან მკაცრად დაისჯება. არა მარტო წავა სამსახურიდან, არამედ - წავა ციხეში.

დიდი ფულის მქონე ზოგიერთი ჩინოვნიკი რეფორმების დისკრედიტაციას ეწევა. ისინი უმკაცრესად დაისჯებიან და წლების მანძილზე ჩადენილი თითოეული ქმედებისთვის მოეკითხებათ პასუხი.

ამავე დროს, შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო - სისტემაში ბევრი პროფესიონალია. ისინი არათუ შევინარჩუნეთ, დავაწინაურეთ კიდეც, მაგრამ ჩვენი მთავარი ამოცანა სამ თვეში და უფრო ადრეც, ოპერატიული თანამშრომლებისთვის ხელფასების გაორმაგებაა. აგრეთვე გაიზრდება განყოფილების და სამმართველოს უფროსების ხელფასები. დემოკრატიისა და განვითარების ფონდის დახმარებით რამდენიმე ასეულ თანამშრომელს გადავუხდით საკმაოდ ღირსეულ ხელფასს. მინიმალური ხელფასი 500 ლარი უნდა იყოს, თორემ სასაცილო იქნება იმის მოთხოვნა, რომ მათ უარი თქვან უცხოური სპეცსამსახურებისგან შეთავაზებულ ცდუნებებზე.

**- რამდენად წარმოადგენს სოციალურ საფრთხეს ხალხის ის დიდი ტალღა, რომლის შემცირებასაც არა მხოლოდ თქვენი სამინისტრო აპირებს?**

- არ ველი, რომ ეს ტალღა ძალიან დიდი იქნება. ზოგიერთი თანამდებობის პირი, ბუნებრივია, დატოვებს სამსახურს, ამას ვერ ავცდებით. საზოგადოებას სჭირდება განახლება, სჭირდება ახალი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღები პირები. ადამიანებს, რომლებიც სამსახურებს ტოვებენ, კანონი ძალიან კარგად იცავს - საუბარია დიდ ანაზღაურებაზე, განსაკუთრებით, ჩვენს სამსახურში.

**ზურაბ ადეიშვილი:**
**დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკულტეტი; გრონინგენის (ნიდერლანდები) სამეფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურა; 1996-1998 წლებში მუშაობდა პარლამენტის იურიდიული კომიტეტის აპარატში. აქვს არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობის კერძო პრაქტიკაც. 1999 წლიდან საქართველოს პარლამენტის დეპუტატია. 2001-2002 წლებში ხელმძღვანელობდა იურიდიულ კომიტეტს და მიუხედავად იმისა, რომ კანონები არ სრულდებოდა, როგორც ამბობდნენ, მთელი საკანონმდებლო მუშაობა მასზე იდგა. 2003 წლის მიწურულს ცოტა ხნით იუსტიციის მინისტრი იყო. მშობლიური ენის გარდა კოლეგებთან საუბარი შეუძლია რუსულად, ინგლისურად და გერმანულადაც.**
**ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.**



ლევან ხერხეულიძის ფოტო

**- უკვე არსებობს შემცირებული თანამშრომლების სოციალური დაცვის ერთიანი სახელმწიფო პროგრამა?**

- ამ საკითხზე, რა თქმა უნდა, მიმდინარეობს მუშაობა და შეხვედრებიც გაიმართა. ჯერ არ არის ზუსტად განსაზღვრული, თუ რამდენი ადამიანით შემცირდება საბიუჯეტო ორგანიზაციები. სახელმწიფო სამსახური რომ უნდა შემცირდეს, ამაზე ორი აზრი არ არსებობს - ასეთია სოციალური შეკვეთა, მაგრამ ეს ადამიანები ქუჩაში კი არ უნდა აღმოჩნდნენ, არამედ სახელმწიფომ მათთვის დასაქმების ალტერნატიული გზა უნდა მოძებნოს. ჩემი აზრით, ასეთი ადამიანების დასაქმება უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე მათთვის ხელფასის მუდმივად გადახდა, რომელიც პრაქტიკულად მათ სოციალურ მოხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს და, ამავე დროს, რეალურ საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს. უფუნქციოდ დარჩენილი 40-60 ათასი პოლიციელი ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად დაიწყება რომელიმე ბიზნესგარემოს შევიწროება.

**- რეფორმირებულ უშიშროების სამსახურში რა დამატებით ფუნქციებს შეიძენს დაზვერვა და კონტრდაზვერვა?**

- ამ სამსახურებს ისედაც სერიოზული ფუნქციები გააჩნია, მაგრამ, სამწუხაროდ, შესაბამისი ტექნიკური საშუალებები არ გვაქვს. ჩვენი ტექნიკა საკმაოდ მოძველებულია, მაგრამ მომავალში ამის გამოსწორება ადვილადაა შესაძლებელი.

ამავე დროს, ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენი ძირითადი ამოცანა საგარეო საფრთხეების ნეიტრალიზებაა. მეორე მხრივ, ეს გეოპოლიტიკური ვითარება დიდი საფრთხის შემცველია, რადგან საქართველოსადმი ბევრი ქვეყნის ინტერესები იკვეთება. ამის გამო ჩვენ არა მხოლოდ კონტრდაზვერვითი, არამედ დაზვერვითი საქმიანობაც უნდა ვაწარმოოთ.

**- თქვენთვის ცნობილია ჩვენს ტერიტორიაზე არსებული სეპარატისტული ხელისუფლებების რეაქცია უშიშროების სამსახურში მიმდინარე გახმაურებულ რეფორმებზე?**

- ამ სამხახურის ცვლილებები მათ საკუთარ თავზე ჯერ ვერ გამოსცადეს. მალე უშიშროების სამინისტრო ეფექტური სამსახური გახდება და ისინი ამას კარგად დაინახავენ. მანამდე - ისევე როგორც ახალ ხელისუფლებას, ისინი ზოგადი ყურადღებით ადევნებენ თვალს ცვლილებებს.

**- ბევრს საუბრობენ თქვენი არაპროფესიონალი მოადგილეების შესახებ. ცნობილი არგუმენტი, რომ ძველ ხელისუფლებაში შეძენილი გამოცდილება უვარგისია და დღეს საჭირო აღარ არის, მთავარი იქნება თანამშრომლების შერჩევისას?**

- სამინისტროს, რომელიც დახურულ კომუნისტურ საზოგადოებაში ფუნქციონირებდა, საქმიანობის განსხვავებული მეთოდები და წესები ჰქონდა. სამწუხაროდ, ამ წესებისა და კანონების ღია საზოაგადოებაზე მორგება ვერ მოხერხდა. პრაქტიკულად, არავის ეცალა იმისთვის, რომ ახალ უშიშროების სამსახურს დასავლური ტიპის გადამზადება, ან ახალი ტიპის განათლება მიეღო. ახალი ტიპის საფრთხეებს ჩვენ 70-80-იანი წლების მეთოდიკით ვებრძვით. ვფიქრობ, რომ სწორედ ამის გამოა დღეს უშიშროების სამსახური საკმაოდ არაეფექტური სტრუქტურა, რომელიც ზოგჯერ უფრო ნაკლებ ინფორმაციას ფლობს, ვიდრე ნებისმიერი ჟურნალისტი.

ბუნებრივია, ამის მაქსიმალურად შეცვლას და დასავლური ტიპის სპეცსამსახურის შექმნას შევეცდებით. მას არც სამხედრო, არც პოლიციის და არც ეკონომიკური შანტაჟის ფუნქციები არ ექნება.

**- და არც აგენტურის მძლავრი ინსტიტუტი ეყოლება?**

- ...შესაბამისად, კონცენტრირებული იქნება სწორედ სპეცსამსახურებზე, რომელიც არ იქნება 5 800 კაციანი (როგორიც ახლაა). დიდ ბრიტანეთს საგარეო და საშინაო დაზვერვისა და უსაფრთხოების 4000 კაციანი სამსახური აქვს. აქედან 2000 საგარეო დაზვერვაშია. ჩვენ, დაახლოებით, სამჯერ უფრო დიდი სამსახური გვაქვს, ვიდრე ინგლისს, ქვეყანას, რომელიც ჩვენზე ათჯერ უფრო დიდია და ათჯერ უფრო დაცულიც. ეს ზედმეტი ფუფუნებაა - ჩვენ იმდენი თანამშრომელი უნდა გვყავდეს და იმხელა სამსახური, რამდენიც გვჭირდება და რისი გადახდის შესაძლებლობაც გაგვაჩნია. დღემდე არ შეგვეძლო ოპერაციების დაფინანსება და სწორედ ეს იყო სტრუქტურის არაეფექტურად მუშაობის ერთ-ერთი მიზეზი.

რაც შეხება აგენტურას - ეს ყველა ქვეყნის სამსახურს სჭირდება და მომავალშიც დაგვჭირდება უფრო მრავალრიცხოვანი, ვიდრე დღეს არის. ამ სფეროს შესახებ საზოგადოებაში ღია მსჯელობა, ალბათ, ვერ გაიმართება, ეს სფერო დახურული უნდა იყოს, რადგან, უმეტეს შემთხვევაში, საიდუმლო ინფორმაციასთან გვაქვს საქმე.

**- თოვლი დადნება და თავს იჩენს გაზაფხულის პანკისი. შეეხება ცვლილებები იმ სტრუქტურას, რომლითაც თქვენი წინამორბედი ამაყობდა?**

- პანკისის მიმართულებით ვალერი ხაბურძანიამ ძალზე ბევრი რამ გააკეთა. საფრთხეები, პარაქტიკულად, არ არსებობს. ლტოლვილების გარდა, შეიარაღებული ჯგუფები იქ, პრაქტიკულად, არ იმყოფებიან. მომავალში, ბუნებრივია, მაინც ყურადღებით უნდა ვიყოთ, რადგან საფრთხე არ ამოწურულა. ის ბირთვი, რომელიც პანკისის მიმართულებით მუშაობს - შენარჩუნებულია. ჩვენს მეგობარ სპეცსამსახურებთან ერთად განვაგრძობთ მუშაობას ამ მიმართულებით. საკმარისი ძალები გვაქვს სპეცოპერაციის და ოპერატიული ღონისძიებების გასატარებლად.

**- რა რეჟიმში გაგრძელდება ორი ქვეყნის სპეცსამსახურების ურთიერთობა რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების შესაძლო დამეგობრების ფონზე?**

- რუსეთის შესაბამის სამსახურებთან ისეთივე პარტნიორული ურთიერთიერთობები გვექნება, როგორიც ადრე გვქონდა. ჯერჯერობით არც ერთი ქვეყნის კოლეგას არ შევხვედრივარ, ამისი დრო არ არის.

რაც შეეხება ჩეჩნეთთან ურთიერთობას - არავითარი საწინააღმდეგო არ გვაქვს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ლტოლვილების მიმართ. მაგრამ, ვერ დავუშვებთ საქართველოში შეიარაღებული პირების მოძრაობას. საქართველოში დაუშვებელია შეიარაღებული ჯგუფების მოძრაობა - რა ეროვნებისაც არ უნდა იყვნენ ისინი.

**- ტერორიზმი საყოველთაო საფრთხეა. რამდენად არის მზად თქვენი სამსახური ამის წინააღმდეგ საბრძოლველად?**

- ტერორიზმთან გამკლავება დიდ, განვითარებულ ქვეყნებსაც კი უჭირთ, მაგრამ ამისთვის აუცილებელია პრევენციული ზომების გატარება და ამ მიმართულებით ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობთ.

**- არქივების გახსნას საზოგადოება არაერთგვაროვანი მოლოდინით უყურებს. რამდენად აქტუალურია დღეს საბჭოთა არქივების გამომზეურება, რა ბედი ეწევა სსრკ-ს დაშლის შემდგომ შექმნილ არქივებს?**

- არქივების დიდი ნაწილი საქართველოში აღარ არის, მაგრამ არსებობს ძალზე საინტერესო ინფორმაცია. საზოგადოებას სრული უფლება აქვს, იცოდეს საკმაოდ რთული და ავბედითი პერიოდების ისტორია. ამ არქივების გასაიდუმლოებას აზრი არ აქვს. მათი გასაიდუმლოება საბჭოთა კავშირის უსაფრთხოებას ემსახურებოდა, ასეთი ქვეყანა კი აღარ არსებობს და ის არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს საფრთხეს ახალი საქართველოსთვის - ჩვენ განსხვავებული ინტერესები გვაქვს. შესაბამისად, ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ახალი სახელმწიფოს შექმნამდე არსებობდა, ავტომატურად გაიხსნება. ეს არ შეეხება იმ ინფორმაციას, რომელიც მოქმედ აგენტურას ეხება.

ვაპირებთ, სპეციალური პროექტის გაკეთებას, რომელიც გამჭვირვალეს გახდის ჩვენი სამინისტროს საქმიანობასაც და ახალი სახელმწიფოს პირობებში შექმნილი არქივების გადახედვასაც - სამოქალაქო ომი, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომები, შემდგომი პერიოდები... ეს ინფორმაციებიც აღარ უნდა იყოს საიდუმლო. საზოგადოებამ არა მხოლოდ შორეული წარსული, არამედ უახლესი ისტორიაც უნდა იცოდეს. არ გაიხსნება მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც პიროვნებას ფიზიკური განადგურების საფრთხეს შეუქმნის.

ამ თემებზე მუშაობისთვის სპეციალურ კომისიას და სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭოს შევქმნით. საბჭოში საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები შევლენ და კომისია მათთან ერთად მიიღებს გადაწყვეტილებას ინფორმაციების განსაიდუმლოებაზე.

**- ეს დიდ რეზონანსს გამოიწვევს და თქვენი სამინისტრო კიდევ ერთხელ მოექცევა ყურადღების ეპიცენტრში. არქივები ბევრ ფაქტს და პიროვნებას დაუმსხვრევს იმიჯს, მათ შორის შეიძლება სამოქალაქო საბჭოს, ან მათი ოჯახის წევრები აღმოჩნდნენ. მზად ხართ ამისთვის თქვენ და საზოგადოება?**

- ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში მთავარი ამოცანა საზოგადოების ინფორმირებაა. ხალხმა ისედაც ყველაფერი იცის და ვერაფერს დაუმალავ. უშიშროების სამინისტრო არ არის უფლებამოსილი, საზოგადოებას თავისი ფუნდამენტური - ინფორმაციის თავისუფლების უფლება ჩამოართვას. ეს აქამდე ხელოვნურად კეთდებოდა. ახალი მოთხოვნების პირობებში ინფორმაციის ხელოვნურად დამალვას ვერც შევძლებთ, ეს წარმოუდგენელია. თან, სახელმწიფო უსაფრთხოების თვალსაზრისით, ამ ინფორმაციას არავითარი ღირებულება არ გააჩნია. ვიმეორებ, ინფორმაციასთან, რომელიც პირის ფიზიკური უსაფრთხოების საკითხს დააყენებს, ფრთხილად ვიქნებით და არ გავამჟღავნებთ.

**- მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი თქვენი სამსახურის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა. აქამდე ძლიერი ანალიტიკური სამსახური არ არსებობდა...**

- ეს არის სპეცსამსახურების მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მხარე. დასავლური ტიპის სპეცსამსახურებში ანალიზს უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება. ჩვენი სტრუქტურა ინფორმაციის ანალიზის გარდა ყველაფრით იყო დაკავებული. ანალიტიკური ჯგუფები, რომლებიც ჩვენთან მუშაობენ, პრაქტიკულად, ღია წყაროების ანალიზით არიან დაკავებულნი. ასეთი მუშაობით კმაყოფილი არ ვარ. ცალკე დიდი ანალიტიკური სამსახური მომავალი სამი თვის განმავლობაში შეიქმნება. ვმუშაობთ ამ სამსახურში ახალი ტიპის ადამიანების მოზიდვაზე. მათ მიეცემათ ამა თუ იმ ქვეყანაში გამოცდილების შეძენის საშუალება.

მსოფლიოში ძალიან ბევრი წარმატებული სპეცსამსახური, მათ შორის უძლიერესი - ისრაელის სპეცსამსახური - არაპროფესიონალებმა შექმნეს. მოიყვანეს ნიჭიერი, ეფექტური ადამიანები - ზოგი მასწავლებელი იყო, ზოგი - მეცნიერი. და მიუხედავად იმისა, რომ ისრაელის სპეცსამსახური დიდი ქვეყნების ანალოგიებთან შედარებით მცირერიცხოვანია, მსოფლიოში უძლიერესია.

საქართველოს უშიშროების სამსახურში მოსასვლელად მთავარი კრიტერიუმი ეფექტურობა უნდა იყოს. ის საფრთხეები, რომელიც 60-70-იან, ან თუნდაც, 90-იან წლებში იყო - აღარ არსებობს. ახალ საფრთხეებს კი სპეციალური განათლება და მომზადება ესაჭიროება.

**- თუ ეს საიდუმლო ინფორმაცია არ არის, კერძოდ რა შიდა საფრთხეებისთვის უნდა მოემზადონ ახალი თანამშრომლები?**

- პირველი საფრთხე ტერორიზმია. ამ ქვეყნის მიმართ ბევრი ქვეყნის სპეცსამსახურის ინტერესია. გარდამავალი ტიპის ქვეყანაში კი ეს საფრთხე არსებობს, ამიტომაც, გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ამ ადამიანებმა უნდა ისწავლონ ღია ტიპის საზოგადოებაში სხვადასხვა სადაზვერვო სპეცსამსახურის საქმიანობის გამოვლენა.

**- უსაფრთხოების სახელმწიფო კონცეფცია თუ არსებობს?**

- აუცილებლად შევქმნით უშიშროების რეფორმირების კონცეფციას და გეგმაზომიერად განვახორციელებთ მას. ეს პროცესი ძალზე მტკივნეული შეიძლება იყოს და ეს არ არის ერთი და ორი დღის საქმე. ვერავინ დამისახელებს უშიშროების სამინისტროდან გაშვებული თუნდაც ერთი ნამდვილი პროფესიონალის გვარს. პირიქით, ჩვენ ვეძებთ ასეთ ხალხს და ხშირ შემთხვევაში, იმედგაცრუებულნი ვრჩებით, რადგან ასეთები საჭირო რაოდენობით არ არსებობენ. ამ ახალ სამსახურს დღეს ნამდვილად სჭირდება ეფექტური ადამიანები.

არ გავურბივარ შეკითხვებს ჩემს მოადგილეებთან დაკავშირებით - მოვიდა ახალი ხელმძღვანელობა და, ბუნებრივია, პოლიტიკურ თანამდებობებზე ყველა შეიცვალა, ეს კანონში პირდაპირ წერია. ჩვენ ვცვლით პოლიტიკური თანამდებობის პირებს და არ ვეხებით პროფესიონალ კადრებს.

**- საუბრობდით წინა ხელისუფლებებაში შეძენილ ცუდ გამოცდილებაზე. ამგვარი გამოცდილება თქვენს ერთ-ერთ მოადგილეს, ვალერი ჩხეიძესაც აქვს. ის კი ახალ თანამდებობაზე სწორედ იმ დროს წარადგინეთ, როდესაც მას სასაზღვრო დეპარტამენტის თანამშრომელთა ერთმა ნაწილმა სერიოზული ბრალდებები წაუყენა...**

- არც ერთი ჩვენი თანამშრომლისთვის ხელის დაფარებას არ ვაპირებთ. თუ პროკურატურა ვინმეს რაიმე დარღვევას აღმოუჩენს, ხელსაც კი შევუწყობთ გამოძიებას და სასამართლოს. ვალერი ჩხეიძემ ძალიან ძლიერი სასაზღვრო სამსახური ააწყო...

**- ეს სამსახური არაერთხელ არის შემჩნეული კორუფციულ გარიგებებშიც.**

- რა თქმა უნდა, არც ერთ თანამშრომელს არ დავინდობთ. ყველამ კარგად იცის ჩემი და პრეზიდენტის დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი. ადამიანს, რომელმაც ეფექტური სამსახური შექმნა, მუშაობის შანსი უნდა მივცეთ.

ამ სამსახურიდან წასული ადამიანების მიმართ კი კონკრეტული ბრალდებები იყო. ხუბულავას, რომელიც სამეგრელო-ზემო სვანეთის სამსახურში მუშაობდა, რომელსაც ბუნტის მოწყობის მცდელობა ჰქონდა და კონტრაბანდაში იყო ჩართული, გამოძიებამ აღმოუჩინა კიდეც ნავთობგადამამუშავებელი საამქრო...

**- ახალი უფროსის, ადრე იმავე რეგიონში ნამუშევარი გაბუნიას მიმართაც გაისმა ბრალდებები და მას პირად ანგარიშსწორებაში ადანაშაულებენ.**

- არავითარ პირად ანგარიშსწორებას არ დავუშვებ. ჩემი მინისტრობის დროს ეს ვერ მოხდება. თანამშრომლებს, რომელთაც ეს გაბედეს, ისევ შევარდნაძის ხელისუფლება ეგონათ სათავეში. ეგონათ, რომ ხელისუფლების დაშანტაჟება კვლავ შესაძლებელია. წინა ხელისუფლების დროს ბევრი ადამიანი აკეთებდა ამას - მუდმივად აშანტაჟებდნენ მინისტრებს, ხელმძღვანელებს და სანაცვლოდ საკმაოდ თბილ ადგილებს იღებდნენ. ამ ხელისუფლების პირობებში ეს არ გავა და დაისჯება ყველა, ვინც ამას შეეცდება.

**- აჭარის უშიშროების სამინისტროს გაუქმება მკვეთრი და არასასიამოვნო განცხადებების მიზეზი გახდა.**

- არსებობს ერთი ინტერესების მქონე სახელმწიფო, მას საქართველო ჰქვია და, შესაბამისად, არ სჭირდება უშიშროების რამდენიმე სამინისტრო.

კონსტიტუციაში ცალსახად გვიწერია, რომ უშიშროებასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა. არ შეიძლება თბილისის მერიამ რაიმე უსაფრთხოების სამსახური შექმნას, ან აჭარამ და ან რომელიმე რეგიონმა. სწორედ ამიტომ მიიღო პრეზიდენტმა გადაწყვეტილება, პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი აფხაზეთისა და აჭარის უშიშროების სამინისტროების გაუქმების თაობაზე. ახალი პარლამენტი გადაწყვეტილებას მიიღებს და ქვეყანაში უსაფრთხოების ერთიანი სივრცე შეიქმნება.

**- აჭარის ხელისუფლება ამას ასე ადვილად არ დათმობს. რეფორმირების პროცესში მყოფი უშიშროების სამინისტრო როგორ აიცილებს თავიდან შემდგომ ესკალაციას?**

- არა მგონია, უშიშროების სამინისტროს გაუქმება სერიოზული უთახმოების საგანი გახდეს. ყველასთვის ნათელია, რომ ასეთი სამინისტრო აჭარაში არ უნდა არსებობდეს.

**- ასლან აბაშიძის გარდა...**

- ამის შესახებ ოფიციალური განცხადება არ მსმენია.

**- აბაშიძემ სატელევიზიო გამოსვლისას თქვა, რომ სურვილი იმას არ ნიშნავს, რომ ცენტრი ამას შეძლებს.**

- ჩვენ ამას ნამდვილად შევძლებთ. შევქმნით ცალკე სამმართველოს, სამინისტროში გვექნება სპეციალური დანაყოფი, რომელიც აჭარაში იმუშავებს.

**- იცით, რა შიდა საფრთხეები გვემუქრება. რა საფრთხეებს შეიძლება ელოდოს საზოგადოება თქვენი სამინისტროდან?**

- ვქმნით სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭოს, ვაპირებთ შიდა ომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნას, სადაც იმუშავებს საზოგადოების მხარდაჭერის მქონე ადამიანი და სადაც შევა ნებისმიერი მოქალაქის საჩივარი ჩვენი თანამშრომლების მხრიდან დარღვევების შესახებ.

ჩვენი ამოცანა ამ სამსახურისა და საზოგადოების დაახლოებაა. საზოგადოების მხრიდან უშიშროებისადმი სიძულვილიც კი მოდიოდა. ახლა ეს იქნება სამსახური, რომელსაც საზოგადოების მხარდაჭერა ექნება - ჩვენ დასამალი არაფერი გვაქვს (გარდა იმ საიდუმლო ინფორმაციისა, რომელიც ხალხს, შეიძლება, არც აინტერესებდეს). ჩვენ არ გვაქვს იმდენი ფინანსური რესურსი, რომ მტრულ სოციალურ გარემოში ვიმუშაოთ. საზოგადოების მხარდაჭერას მივიღებთ იმით, რომ ყველა ჩვენი ნაბიჯი ცნობილი და იმისკენ გადადგმული იქნება, რომ არა რომელიმე ჩინოვნიკის, არამედ საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა შევძლოთ.

**- თქვენი გათვლებით, რამდენ ხანში გადაიქცევა უშიშროების სიძულვილი სიყვარულად?**

- ნებისმიერი ქვეყნის სპეცსამსახურში მუშაობა პრესტიჟულია და ყველაზე პერსპექტიული ადამიანები სწორედ იქ მიდიან. ჩვენ გვეყოლება ჩვეულებრივი, სამოქალაქო ადამიანებისგან დაკომპლექტებული სამსახური. ყველა მათგანი სპეცმომზადებას გაივლის და არა ხუთი წლის განმავლობაში - ასეთი ფუფუნება ყველაზე დიდ სახელმწიფოებსაც კი არ აქვთ.

**- საიდან ელით თანხებს? ხაბურძანია ჩიოდა, ტელეფონი ჩვენ არ გვაქვს და კომპიუტერიო.**

- როდესაც სამსახური ეფექტური გახდება, დარწმუნებული ვარ, სახელმწიფოს ამ სამსახურის დაფინანსების ნება ექნება. დაფინანსებას განვითარების ფონდიდანაც და ბიუჯეტიდანაც ველით. სამსახურის შემცირება კი არსებული სახსრების ეფექტურად გამოყენების საშუალებას მოგვცემს.

**- საშიში უშიშროების მითის ნამსხვრევებში ასევე მითიური მესამე ძალა ხომ არ აღმოგიჩენიათ?**

- ტოტალიტარული სახელმწიფოსგან გამოყოლილი მითებისგან ჯერ ვერ გავთავისუფლდით. მესამე ძალა არის მითი და სხვა არაფერი. ისევე, როგორც მითია, რომ ჩვენი სამინისტრო არის გოროზი სამსახური. თუმცა, არანაირი ილუზიები არ გვაქვს და ვიცით, რომ ამ ქვეყანაში ბევრი ქვეყნის სპეციფიკური ინტერესი იკვეთება, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებს არ ემთხვევა.

> *“ჩვენი ამოცანა ამ სამსახურისა და საზოგადოების დაახლოებაა. საზოგადოების მხრიდან უშიშროებისადმი სიძულვილიც კი მოდიოდა. ახლა ეს იქნება სამსახური, რომელსაც საზოგადოების მხარდაჭერა ექნება. ჩვენ არ გვაქვს იმდენი ფინანსური რესურსი, რომ მტრულ სოციალურ გარემოში ვიმუშაოთ.”*




## თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
"ანტიგონე"
რეჟისორი: ნანა ჯანელიძე
დას: 20:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"მიწებებულები"
დას: 12:00; 17:00 სთ.

"28 დღის შემდეგ"
დას: 14:30; 19:30; 22:00 სთ.
ფასი: 5,7,9 ლარი

**ამირანი**
"ტეხასური ჩეხვა ბენზოხერხით"
რეჟისორი: მარკუს ნიფსელი
დას: 15:00; 20:00; 22:00 სთ
ფასი: 7-9 ლარი

"შელახული რეპუტაცია"
რეჟისორი: რობერტ ბენტონი
დას: 18:00 სთ
ფასი: 8-9 ლარი

**ახმეტელი**
"გოთიკა"
დას: 12:30; 17:00 სთ

"ზღვის მბრძანებელი"
დას: 14:30; 19:00 სთ

"მიწებებულები"
დას: 21:00 სთ
ფასი: 3,4,5 ლარი

## გამოფენა

**ქარვასლა**
ალექსანდრე როინიშვილის ნამუშევრების გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

**დღეს**, 16 საათზე, წიგნის, "9 მარტის პრეზენტაცია", ავტორი ოთარ ურუშაძე.

**11 მარტს**, 17 საათზე ზაალ სამადაშვილის ციკლში "ახალი განზომილება" რეჟისორი დავით საყვარელიძე ისაუბრებს თემაზე - "თანამედროვე რეჟისურა".

**პარასკევს** 12 მარტს 17 საათზე მიხეილ ლერმონტოვის "მწირის" პრეზენტაცია, მთარგმნელი ვახტანგ ერისთავი.

*მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50*

*მოკლედ*

## ტარანტინო მსოფლიო პრემიერისთვის ემზადება



დაუკავებელი მკვლელი – პატარძალი ბრუნდება, რათა საბოლოოდ მოკლას ბილი. კვენტინ ტარანტინომ ამჯერად არ გააწბილა მაყურებელი: თუკი ისინი ფილმის პირველ ნაწილს ექვსი წელიწადი ელოდნენ, გაგრძელებამდე ექვსი თვეც საკმარისი აღმოჩნდა.

მაყურებელს კვლავაც ელის სისხლიანი "ბოევიკის", ვესტერნისა და დაუვიწყარი საუნდთრეკის ნაზავი, - ეს ყველაფერი ხომ ტარანტინოს განუმეორებელი ხელწერაა.

პატარძალი, უმა თურმანის შესრულებით, აგრძელებს სამაგიეროს გადახდას საკუთარი არშემდგარი და შვილის მკვლელობისათვის (რომელიც, როგორც გაირკვევა, ასევე არ შედგა).

როგორ მოკლავს უმა თურმანი ბილს, ამის ნახვა 16 აპრილს იქნება შესაძლებელი – სწორედ ამ დღეს არის დაგეგმილი ფილმის მსოფლიო პრემიერა.

## კვლავ სკანდალი: კორტნი ლავი

კორტნი ლავი ნარკოტიკების უკანონო მოხმარების გამო სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს. ამჯერად ეს გარდაუვალი აღმოჩნდა, თუმცა უწინდელ ბრალდებებისგან კურტ კობეინის ქვრივი დღემდე წარმატებით იძვრენდა თავს. მაშინაც, როცა მედიკამენტების უკანონო ფლობისთვის დააკავეს, ლავმა თავისი ბრალი არ აღიარა.

კორტნი ლავს მოახსენეს, რომ თავისუფლების აღკვეთას მხოლოდ იმ შემთხვევაში გადარჩება, თუ ნარკომანიისგან იძულებით მკურნალობის კურსს ბოლომდე გაივლის. გარდა ამისა, მისი თერთმეტი წლის ქალიშვილისთვის მეურვის დანიშვნის საკითხიცაა აღძრული.

ლავს აუხსნეს, რომ თუ ის პროცესზე არ გამოცხადდება – რაც უწინ არაერთგზის აქვს ჩადენილი – მას უმალვე დააპატიმრებენ.

ლავის წინააღმდეგ საქმე გასული წლის ოქტომბერში აღიძრა, როცა პოლიციამ ის თავისი ყოფილი მეგობრის ბინასთან დააკავა. თავდების თანხის გადახდის შემდეგ ის გაათავისუფლეს, მაგრამ სულ რამდენიმე საათის შემდეგ მომღერალი ნარკოტიკების ზედმეტი დოზის მიღების გამო საავადმყოფოში აღმოჩნდა. პროკურორის თქმით, მას აკრძალული ტკივილგამაყუჩებელი წამლები ჰქონდა მიღებული – ამ მედიკამენტების მისაღებად საგანგებო ნებართვაა აუცილებელი.

# ვარდებმა ფუნქცია დაიბრუნეს

### პირველმა ლედიმ ქალებს მიულოცა

ვერა ნეფარიძე

*გუშინდელი დღე საქართველოს პირველმა ლედიმ ქალებს დაუთმო. ქალთა პრობლემებისადმი მიძღვნილი კონფერენციის (სადაც მონაწილეობდნენ როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების, ისე სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები) შემდეგ, სანდრა რულოვსმა გუშინდელი დღესასწაული ღვაწლმოსილ ქართველ ქალბატონებს მიულოცა. შეხვედრის ინიციატორი მერიის კულტურის საქალაქო სამსახური იყო.*


*პირველი ლედი და ვარსკვლავები*

"ჩემთვის დიდი პატივია, რომ ნამდვილი ვარსკვლავების წინაშე ვარ ახლა", - ასე დაიწყო პირველმა ლედიმ მისასალმებელი სიტყვა გუშინ. თუკი გავითვალისწინებთ შეკრებილი ქალბატონების დამსახურებას ქართული კულტურის წინაშე, შეიძლება ვთქვათ, რომ სანდრა რულოვსის ეს ფრაზა სულაც არ იყო გადაჭარბებული. საქართველოს პირველ ლედის მხედველობაში ჰყავდა: დოდო ჭიჭინაძე, ვერა წიგნაძე, ლია მიქაძე, ნინო ჩხეიძე, თათია ხაინდრავა..., - სულ თექვსმეტი ქალბატონი, რომელთა შესახებაც, კომპოზიტორმა მარიკა კვალიაშვილმა უთხრა კიდეც საპატიო სტუმარს: ამ ქალბატონებმა წარსული შექმნეს და ჩვენი მომავალი არ არსებობს ამ წარსულის გარეშეო.

შეხვედრაზე სანდრა რულოვსი არც მარტო მისულა და არც ხელცარიელი. მასთან ერთად ცნობილ ქალბატონებს გუშინდელი დღე "წითელმა ჯვარმაც" მიულოცა ამანათებით. თუმცა, შეხვედრაზე მისულთათვის ამანათებზე გაცილებით სასიამოვნო საქართველოს ახალგაზრდა პრეზიდენტის მომხიბლავ მეუღლესთან გასაუბრება იყო. ამის გამოსახატავად შეკრებილებს არც არტისტიზმი დაუკლიათ და არც ემოციები.

შეხვედრის დასაწყისში პირველი ლედისთვის ნაჩუქარი ვარდი (რომელიც საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა ლიანა ასათიანმა უსახსოვრა საპატიო სტუმარს), გუშინ, ალბათ, ყველაზე სიმბოლური იყო; და, ალბათ, ყველაზე გამართლებულიც "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ტელეკამერების წინაშე ნაჩუქარ ვარდებს შორის.

"ჩვენ მადლობა უნდა ვუთხრათ "წითელ ჯვარს" საჩუქრებისთვის, თუმცა დღეს ეს არაა მთავარი. უფრო მნიშვნელოვანია, აქ გაიმართოს გულითადი შეხვედრა", - თქვა დასაწყისში შეხვედრის ერთადერთმა მონაწილე მამაკაცმა, მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა დათო ოქიტაშვილმა. სხვათა შორის, გუშინდელ შეხვედრაზე ღვაწლმოსილი ქალბატონების შემდეგ ყველაზე მეტი ქება-დიდება ოქიტაშვილს ერგო. ცნობილი არტისტები კულტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელს გაწეული მეურვეობისთვის ემადლიერებოდნენ.

შეხვედრა საკმაოდ უშუალო იყო. იმდენად, რომ პირველი ლედის სრულიად გულწრფელი შეკითხვა (როდესაც მას შეხვედრის მონაწილეები გააცნო მასპინძელმა ოქიტაშვილმა): რომელია აქ ბალერინაო, არც უხერხულად ეჩვენა ვინმეს და არც საწყენად. შეკითხვაზე ცეკვის ნამდვილმა ვარსკვლავმა – ვერა წიგნაძემ პროფესიული ჟესტით წარუდგინა სანდრა რულოვსს საკუთარი თავი.

თბილ სიტყვებთან ერთად პრეზიდენტის მეუღლემ სტუმარ ქალბატონებს ყვავილებიც აჩუქა და საჩუქრები თავადაც მიიღო. ამ საჩუქრებს შორის იყო: მართლმადიდებლური ხატები, ყვავილები და ავი თვალისგან დასახსნელი საგვარეულო ქვა, რომელიც სანდრა რულოვსს ლეილა აბაშიძემ უსახსოვრა. მათგან განსხვავებით, საქართველოს სახალხო არტისტმა თამარ სხირტლაძემ გუშინდელ შეხვედრას სხვაგვარი მნიშვნელობა შესძინა. "გოდერძი ჩოხელი განსაკუთრებული პიროვნებაა, არ შეიძლება ამ ადამიანის დაკარგვა", - სხირტლაძემ პირველ ლედის ცნობილი მწერლისა და რეჟისორის გასაჭირზე ორი სიტყვით ამცნო. კომპოზიტორმა მარიკა კვალიაშვილმა შეხვედრაზე მისივე დაწერილი "ჰიმნი-სადიდებელი" მოიტანა (მუსიკა შეხვედრაზევე მოისმინეს სტუმრებმა) და სთხოვა პირველ ლედის მეუღლისთვის გადაეცა ერთგულების გამოსახატავად დაწერილ წერილთან (ისიც იქვე წაიკითხა კომპოზიტორმა) ერთად; მსახიობმა დოდო ჭიჭინაძემ ლექსი წაიკითხა (საკმაოდ ემოციურად), ყველამ ერთად კი, საქართველოს პირველი ლედისადმი კეთილგანწყობის გამოსახატატად არ დაიშურეს სიტყვები. შეხვედრა შამპანურითა და სამახსოვრო ფოტოგადაღებებით დასრულდა.

# როგორი უნდა იყოს ახალი ქართლის დედა

თეონა ჯაფარიძე

როგორი უნდა იყოს ამ ეტაპზე ქართველი ვენერა და რა ფუნქცია ეკისრება რევოლუციაგადატანილ საქართველოში ქართლის დედას? ვიზუალურად ის ასე გამოიყურება: ცალ ხელში დიდი ცოცხი უჭირავს, მეორეში ელექტრო ნათურა. მას ჰქვია ნათელა, რომელმაც უნდა გაანათოს ქვეყანა და ცოცხით გახვეტოს კორუფცია. ეს 2004 წლის ქართლის დედაა. ის დრომ მოიტანა, ვიზუალურად ქართველმა მხატვრებმა შექმნეს, "ქალთა პოლიტიკურმა რესურს-ცენტრმა" კი მისი ფუნქციები და სამუშაო პროგრამა განსაზღვრა და აქციაც შედგა.

აქცია 8 მარტს ლესელიძის ქუჩაზე, ქარვასლის წინ მდებარე სკვერში გაიმართა. სკვერში დაიხატა და დაიკიდა პლაკატები, მოიხატა მაისურები, აქვე მიმოდიოდა ზემოთაღნიშნული ქართლის დედაც და ა. შ. "ეს ინტერაქტივია, იმიტომ რომ აქციაში უნებლიეთ შემთხვევითი გამვლელებიც ჩაერთვნენ და ცოცხალი პროცესი შედგა" – მეუბნება ცენტრის თავმჯდომარე, ქალბატონი ლიკა ნადარაია.

დღეს ზედა ეშელონებში, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაიც პატრიარქატიდან მატრიარქატზე გარდამავალი პერიოდის დადგომა იგრძნობა, შესაძლოა, მხოლოდ დასავლეთისათვის "ევროპელობის" დამტკიცების მოტივით. არადა, გუშინდელ სარვამარტო აქციაზე ამბობდნენ, რომ მატრიარქატისაკენ ნახტომი საკმაოდ პრაქტიკული და მოსახერხებელი რამააო: წარმოიდგინეთ ქალი ქალაქის მერი, ის ხომ უფრო ეკონომიურად მიუდგება ქალაქის ბიუჯეტს, ხომ უფრო მეტი ბაგა-ბაღი მეტი მოხუცებულთა თავშესაფარი გაიხსნება, ხომ უფრო სუფთა იქნება ქალაქი?


*ქართლის დედა 2004*

"ქალთა პოლიტიკურ რესურს-ცენტრში" 7 არასამთავრობო ორგანიზაცია შედის და მასში ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებული 960 ქალბატონია გაერთიანებული. ცენტრი თანასწორობის კანონის ლობირებასა და დამუშავებაზე მუშაობს. გაზეთ "24 საათის" B2 გვერდის მკითხველისათვის, ვფიქრობ, უფრო სპეციფიკური და საინტერესო ამ აქციის Art-ისტული რაკურსი უნდა იყოს: რამდენად აქტიურად ერევა ქართული თანამედროვე ხელოვნება სოციალურ სივრცეში, შეუძლია თუ არა დაანგრიოს ქართველი კაცის ცნობიერებაში "ქართლის დედის" ის დამახინჯებული სტერეოტიპი, რომელსაც სადღეგრძელოებში ჯერ კიდევ ქებას ასხამენ და რომელსაც დიდი დოზით პროპაგანდას უწევს ქართული შოუბიზნესი. რამდენად იყენებს ქართულ თანამედროვე ხელოვნებას არასამთავრობო სექტორი, იმისათვის, რომ შეაქმნევინოს ახალი ქართლის დედა?

ამ პროცესის უახლესი ისტორია 80-იანი წლების ბოლოდან იწყება. ამ პერიოდში, რასაკვირველია, ჰორიზონტზე არც კი ჩანს არასამთავრობო სექტორი და მხოლოდ მცირერიცხოვან Art-ისტულ-ავანგარდულ ვიწრო წრეებში პროტესტი მხატვართა სახელოსნოებსა და საცხოვრებელ სახლებში (ფაქტობრივად იატაკქვეშეთში) პერფორმანსებითა და საინტერესო აქციებით გამოიხატება. 1997 წელს თბილისში "ფემინისტური კლუბიც" ჩნდება, (პრეზიდენტი ლიკა ნადარაია) რომელიც ფაქტობრივად თავის საქმიანობას, ძირითადად, ახალ ქართულ ხელოვნებას უკავშირებს და სწორედ ახალი გამოსახვის საშუალებებით ცდილობს აქტუალური გახადოს უუფლებო და დეგრადირებული "ქართლის დედის" პრობლემები.

დღეს არასამთავრობო სექტორი მომძლავრებულია, "მაგრამ მხოლოდ ტრენინგები და სემინარები ეფექტური არ არის. ასეთ სემინარებს სიცოცხლე აკლია და მას მხოლოდ ხელოვნება გააცოცხლებს. ისე, როგორც ეს დღეს სკვერში მოხდა, ინტერაქტიულ აქციაზე", – ამბობს ქალბატონი ლიკა ნადარაია.

ელნათურიანი ნათელა, "ქართლის დედა 2004" დღეს გამვლელ-გამომვლელს გულითადად ესალმებოდა. ეს პროტესტი აღარ იყო, ეს ქართლის დედის პროგრამა მინიმუმია. ვნახოთ...

# სჯერა თუ არა შარლიზ თერონს მოჩვენებების?

შარლიზ თერონის მიერ შესრულებულმა როლმა ფილმში "მონსტრი", სადაც ის მკვლელ მეძავს ეილინ უორნოსს ანსახიერებს, მსახიობს დიდი წარმატება მოუტანა. მაგრამ მას ამ წარმატებით დატკბობა არ აცალეს: ბოროტი ენები ამბობენ, რომ შარლიზმა კარგად განასახიერა მკვლელი მეძავი ქალის როლი არა იმიტომ, რომ დიდი მსახიობია, არამედ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ პერსონაჟი მის პიროვნულ თავისებურებებთან ძალიან ახლოსაა.

თავად შარლიზ თერონი კი აღიარებს, რომ ფლორიდაში, "მონსტრის" გადაღებებისას, მას ყოველ ფეხის ნაბიჯზე სდევნიდნენ შემაძრწუნებელი ისტორიები მკვლელის აჩრდილის შესახებ. "სადაც წავიდოდით, ყველგან გვიყვებოდნენ საშიშ ისტორიებს აჩრდილზე, რომლის გამოჩენისთანავე უკუნეთი სიბნელე ისადგურებდა და ალესილი დანების წვიმა იწყებოდა".

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ზემოთხსენებლ ფილმში მონაწილეობის შემდეგ შარლიზ თერონის სამსახიობო ოსტატობამ მაღალი შეფასება და "ოსკარიც" კი მოიპოვა.

# იუმორისტული ტელეშოუების პოლიტიკური ფუნქციები

პოლიტიკოსები განსაკუთრებულად თბილ ურთიერთობებს კომიკოს მსახიობებთან და იუმორისტული ტელეშოუების წამყვანებთან ამყარებენ. რესპუბლიკური პარტიის კონსულტანტის მაიკ მერფის აზრით, ეს იმიტომ ხდება, რომ გაცილებით იოლია კომიკოსთან ურთიერთობა, ვიდრე პოლიტიკურ მიმომხილველთან – პირველთან რასაც არ იტყვი, ხუმრობაში ჩაგითვლიან, მეორესთან კი უბრალოდ გევალება სერიოზული და არგუმენტირებული პასუხები მოიძიო და გვარიანად ინერვიულო.

ეს და მსგავსი მოსაზრებები ამერიკაში, კომედიის ხელოვნების ფესტივალზე გამოითქვა. იქვე ზემოთ დასახელებული შეხედულებების დასადასტურებლად გაიხსენეს, რომ არნოლდ შვარცნეგერმა თავისი კანდიდატურა გუბერნატორობის პოსტზე ღამის იუმორისტულ ტელეშოუში წარადგინა, ანუ პირველად კომიკოს ჯეი ლენოს გაანდო, რომ პოლიტიკაში წასვლას მართლაც აპირებდა.

კომედიის ფესტივალზე ისაუბრეს პოლიტიკურ იუმორზეც და თავიანთი ფავორიტი ობიექტიც დაასახელეს – ჯორჯ ბუში. ის თურმე, ახალ-ახალი და სასაცილო ხუმრობების შესადგენად ყველაზე მდიდარ წყაროს წარმოადგენს. ამიტომაც იუმორისტები იმედოვნებენ, რომ ბუშს კიდევ ერთი ვადით ამერიკა აუცილებლად აირჩევს.

კარიკატურისტ გერი ტრუდოს თქმით, ბუში სახუმარო ბიზნესში "ოქროს სტანდარტად" ითვლება. "ის რომ არჩევნებში დამარცხდეს, ჩემი კარიერა კრახით დამთავრდება", - ამბობს ტრუდო.



*კომიკოსების ფავორიტი პრეზიდენტი. ვინ შეცვლის მას?*

თუმცა, კომიკოსები და იუმორისტული ტელეშოუების წამყვანები იმედს მაინც არ კარგავენ. თუ ბუში თეთრ სახლში ველარ დაბრუნდება, ისინი ფსონს ჯონ კერიზე დებენ. "კერიც მშვენიერ მასალას იძლევა. თითქოს ხედავ კიდეც, როგორ ზის შინ, ტელევიზორთან, ტორტივით პარიკში და როგორ უყურებს "ი-ეს-პი-ენის" არხს. ჯონ კერისთვის ამბოხი ნიშნავს წითელი ღვინის დალევას თევზთან ერთად", - აცხდებს ჟურნალ "თაიმის" თეთრ სახლში აკრედიტირებული კორესპონდენტი მეთიუ კუპერი. ის, თავის მხრივ, ძალზე საინტერესო დებატებში იღებდა მონაწილეობას, სათაურით "ვინ უფრო სასაცილოა – მემარცხენე თუ მემარჯვენე?".

დაბოლოს, ერთი საყურადღებო სტატისტიკა იმას დასტურად, რომ პოლიტიკა და იუმორისტული გადაცემები მშვენივრად ურთიერთობენ: პიუს კვლევითი ცენტრის მონაცემებით 18-29 წლის ამერიკელების 21 პროცენტი ახალ ცნობებს საპრეზიდენტო კამპანიების შესახებ რეგულარულად იღებს იუმორისტული შოუებიდან. ანუ, ამერიკელი ახალგაზრდები მომავალი პრეზიდენტის მიმართ განწყობას სწორედ ამ შოუებიდან იყალიბებენ და არა პოლიტიკურ-ანალიტიკური გადაცემებიდან.

მსგავსი ტენდენცია მეტნაკლებად უკვე საქართველოშიც შეინიშნება. და ამიტომ, სავარაუდოა ისიც, რომ ეს ტენდენცია უახლოეს მომავალში ჩვენთანაც საგრძნობლად გაიზრდება. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, ღამის შოუს პოპულარობას, მის ეთერში წარმოდგენილი პოლიტიკოსების სიუხვესა და იმ გარემოებასაც, რომ ჩვენ დასავლური ღირებულებები ახლახან რევოლუციური ძალით კიდევ ერთხელ "შევისუნთქეთ" – ანუ, დასავლური იდეალებისა და სიახლეების კოპირებისა და არეკვლის პროცესიც ქართულ სუბკულტურაზე განახლებული ძალით გაგრძელდა.

# ჰო და არა - 8 მარტის სასარგებლოდ

მადი სერებრიაკოვა

მეც კი მახსოვს დრო, როდესაც 8 მარტი საერთო საკავშირო დღესასწაული იყო. საბავშვო ბაღში დედებისა და ბებიებისთვის მისალოც ღია ბარათებს გვახატინებდნენ, ბიჭები ყვავილებით გვასაჩუქრებდნენ და ა.შ. მერე ისიც მახსოვს, რა მონდომებით თათხავდნენ "კომუნისტურ დღესასწაულებს" და 7 ნოემბერსა და 23 თებერვალთან ერთად, 8 მარტიც ანათემას გადასცეს. გარკვეული კომპენსაციის სახით – 3 მარტი – დედის დღე შემოგვთავაზეს, თუმცა საბოლოოდ, მარტში ორი დასვენების დღე შეგვრჩა და სათანადოდ მათ ჩემს გარშემო თითქოს არავინ აფასებს: ქალის მხოლოდ დედად ან პოტენციურ დედად განხილვა – უბრალოდ დანაშაულია. მაშ, უშვილო ქალმა რა ქნას? ანდა შვილიანიც – მხოლოდ ბავშვების საჩეკი აპარატი და საჯიშე ძროხა ხომ არ არის?!. მოკლედ 3 მარტი დიდი ვერაფერი გამოგონებაა და ქალთა საყოველთაო დღესასწაულად ის მაინც ვერ იქცა. 8 მარტი კი ამასობაში სტერეოტიპებითა და კომპლექსებით შეიმოსა, რომელიც მის ლაღად და ბედნიერად აღნიშვნას ხშირად უშლის ხელს.

**მითი I – 8 მარტის მილოცვა ბანალურია**

დიდი ფანტაზიისა და ფართო შემოქმედებითი თვალსაწიერის მამაკაცებზე შეამჩნევდით, რა ირონიით უყურებენ 8 მარტსა და მსგავს საერთო-სახალხო დღესასწაულებს. აქაოდა, აბა რა საკადრებელია, ასეთ ბანალობებზე დროისა და ფულის კარგვა, როცა დედამიწა მათი გადასარჩენია და აგერ მარსზე რომ სიცოცხლე ყოფილა – ისიც მათი სადარდებელი გახდა უკვე. არადა, მეეჭვება, მილოცვა და ყურადღება ვინმეს არ გახარებოდა. ექსპერიმენტისთვის ასეთ რამეს გთავაზობთ (მე თვითონ გამოვცადე). 23 თებერვალი მიულოცეთ თქვენს ნაცნობ მამაკაცებს (განსაკუთრებით აი ისეთებს – ფანტაზიითა და შემოქმედებითი უნარებით აღჭურვილებს). დამერწმუნეთ, წითელარმიელის დღის მილოცვა არავის ეწყინება, უარეს შემთხვევაში – შეიძლება გულწრფელად იცინონ.

ასე რომ, მილოცვის გადადება, აქაოდა, ბანალურად არ გამომივიდესო – მეტად ფუჭი საქმეა და უფრო უყურადღებობისა და სიზარმაცის სუნი უდის, ვიდრე მახვილი გონებისა და სამყაროსადმი ორიგინალური დამოკიდებულების.

**მითი II – 8 მარტს ყვავილები და სუნამო უნდა გაჩუქონ**

აი აქ გაშალონ ფრთები ზემოთხსენებულმა, დიდი ფანტაზიითა და ფართო შემოქმედებითი თვალსაწიერით დაჯილდოებულმა მამაკაცებმა. თუ ყვავილები და სუნამო ეცოტავებათ, ნება მათია – მისცენ გასაქანი საკუთარ გონებასა და ინტელექტს. ნაჩუქარ ცხენს კბილებს არ უსინჯავენ და თანაც ცხენს თუ ვერ გასწვდებიან, სიტყვიერი მილოცვაც არავის აწყენს.

**მითი III – განა ყველა დღე ქალის არ არის?**

გააჩნია, რომელი მხრიდან მივუდგებით. იმ აზრით, რომ მოვლა-პატრონობის, დაბანა-დავარცხნისა და დარეცხვა-გამოკვების მარადიული მისია 8 მარტსაც ქალების კუთვნილებაა – ამ მხრივ, ალბათ ყველა დღე ერთმანეთს ჰგავს. თუმცა, ყოველდღიურობისგან ოდნავ განსხვავებული დღე მასაც სჭირდება, ვინც ამ პრობლემებით თავს არ იწუხებს და ძალიან მხიარულ ცხოვრებასაც ეწევა. ერთმა მეგობარმა გოგონამ მითხრა – "რა კარგია, 8 მარტს სამსახურიდან გვიშვებენ, დიდი ხანია ნამცხვრის გამოცხობა მინდოდა მეცადა და ჩაიზე გეპატიჟებითო".

ასე რომ, იყოს ეს დღე განსაკუთრებული და რით გამოვხატავთ განსხვავებას – ეს უკვე ჩვენი გადასაწყვეტია.

**მითი IV – 8 მარტს შენთვის არავის სცხელა**

ქალები 8 მარტს მილოცვას განსაკუთრებით მეუღლეებისა და საყვარელი მამაკაცებისაგან ელიან. არადა, ეს ხომ 8 მარტია და არა წმინდა ვალენტინის დღესასწაული. ასე რომ, მილოცვები შეიძლება უბრალოდ მეგობრების, კოლეგებისა თუ ნაცნობებისთვისაც გაიმეტოს ადამიანმა.

**მითი V – 8 მარტი კომუნისტური დღესასწაულია**

ჰო, მართალია. თავის დროზე 8 მარტის დღესასწაულად ქცევა კომუნისტ ქალებს კლარა ცეტკინსა და ალექსანდრა კოლონტაის უკავშირდება. მაგრამ, თუ კარგად დავაკვირდებით, მიზეზი, რის გამოც თითქმის 100 წლის წინათ ეს დღე მოვლენად იქცა – დღეს, გულს ცოტას თუ დასწყვეტს. ქალთა უფლებებისთვის ბრძოლის ნაყოფს ახლა ყველა სიამოვნებით მივირთმევთ: არჩევნებზეც დავდივართ, განათლებასაც ვიღებთ (თუ სურვილი გვაქვს) და საკუთარი შემოსავლითაც ძლიერ კმაყოფილები ვართ. ასე რომ, ჩვენი კომუნისტი წინამორბედების განუკითხავი ლანძღვა-გინება მთლად მართებული არ უნდა იყოს.

მეორეს მხრივ, 8 მარტს მხოლოდ საბჭოთა კავშირში როდი აღნიშნავდნენ. ეს დღესასწაული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერაა აღიარებული და მას ბევრ ქვეყანაში ზეიმობენ. დღესასწაულის დედააზრი კი - ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, პოლიტიკური თუ სოციალური ნიშნით გაყოფილი ქალების გაერთიანებაა, რომლებიც თანასწორობის, სამართლიანობის, მშვიდობისა და განვითარებისთვის იბრძვიან.

ახლა იტყვით – მაშინ მამაკაცები და მათი მორთმეული ყვავილები და სუნამოები რაღა შუაშიაო? შუაში კი არა თავშია, თუ გავითვალისწინებთ, რომ უუფლებო და მარტო "ქალის საქმით" დაკავებული ქალი ერთი ანეგდოტის არ იყოს, "ყველაზე ძვირადღირებული უფასო სარეცხი საშუალებაა".

რამოდენიმე უსიამოვნო სტატისტიკური დეტალიც, მათთვის, ვისთვისაც ქალები და მათი საერთაშორისო დღე კვლავ ხელწამოსაკრავი საკითხია:

- ინდოეთში წელიწადში 25 ათას ქალს წვავდნენ კოცონზე ე.წ ქვრივობის წესის გამო. ეს ტრადიცია ზოგან დღემდე მოქმედებს და კანონის წინაშე მას ქვრივის თვითმკვლელობად ასაღებენ.

- იორდანიაში, პაკისტანსა და სირიაში თუ ქალს ვინმე გააუპატიურებს, მას საკუთარი ოჯახის წევრები კლავენ.

- 85-დან 115 მილიონამდე ქალი და გოგონა დაასახიჩრეს ე.წ. გენიტალური მუტაციებით, რომლებიც ძირითადად ქალთა სექსუალური ცხოვრების კონტროლისკენაა მიმართული. დღეს ამდაგვარი ტრადიციები 28 აფრიკულ ქვეყანაში არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ კანონი მათ სასტიკად კრძალავს.

# მარსალისის „ჯადოსნური საათი„

დღე იწურება; ბინდდება; სახლში სიჩუმეს და სიმშვიდეს დაუსადგურებია. ბავშვები ერთად შეყუჟულან და მუსიკას უსმენენ; თქვენ კი, ბოლოს და ბოლოს, მოგეცათ საშუალება, მეუღლესთან ერთად განმარტოვდეთ.

ვინტონ მარსალისი "ჯადოსნურ საათს" დღის სწორედ ამ მოკლე მონაკვეთს უწოდებს და ასევე "ნათლავს" თავის ახალ ალბომს, რომელიც მაღაზიის დახლებზე ამერიკაში დღეიდან გამოჩნდება.

"მაქსიმალურად ვეცადე, კომპოზიციებში სიმშვიდე ჩამექსოვა. ერთად შემეკრიბა ძველი და ახალი თაობები და ადამიანებისთვის შემეხსენებინა, თუ რამხელა სიამოვნება და ზეიმია ერთად ყოფნა", - აცხადებს ჯაზის ცნობილი კომპოზიტორი და მესაყვირე. გაზეთ "ბალტიმორ სანის" რეცენზიაში კი ცალსახადაა ნათქვამი, რომ "ჯადოსნური საათი" ლირიკული მუსიკითაა სავსე. კომპაქტ-დისკში ერთმანეთს ხვდება ბლუზი, მოდალური ჯაზი და ახალი ორლეანის სვინგი, ასევე აფრო-კუბური რიტმები და გოსპელის ინტონაცია ცნობილი ჯაზ-ვოკალისტის, დაიან რივსისგან.

ეს მარსალისის პირველი სტუდიური ალბომია 1999 წელს გამოსული Marciac Suite-ის შემდეგ. რივსის გარდა, "ჯადოსნურ საათზე" ასევე მუშაობდნენ: ერიკ ლუისი – ფორტეპიანო, კარლოს ენრიკესი – ბასი და ალი ჯექსონი – დასარტყამი ინსტრუმენტი.

აღსანიშნავია ისიც, რომ "ჯადოსნური საათი" ძალზე კამერული და მყუდრო ნამუშევარია მარსალისის ამბიციურ ალბომთან – All Rise-თან შედარებით. ამ უკანასკნელზე ხომ ლინკოლნის ცენტრის ჯაზ-ორკესტრი და ლოს ანჯელესის ფილარმონიის ორკესტრი მუშაობდნენ. თავად კომპოზიტორიც აღნიშნავს: "All Rise უზარმაზარი ნაწარმოები იყო, მის შექმნაში 200 კაცი მაინც მონაწილეობდა. ამიტომ, მინდოდა, რომ ჩემი მორიგი ალბომი მუსიკოსთა უფრო პატარა ჯგუფთან ერთად გამეკეთებინა. მსურდა ჯაზისადმი თანდაყოლილი სიყვარული ახლა კვარტეტის ფორმატით გადმომეცა".




ეს ლავირება ფორმებსა და სტილს შორის მარსალისისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ახალ ორლეანში, ანუ მართლაც ბუნებრივ მუსიკალურ გარემოში დაბადებული და გაზრდილი კომპოზიტორი მიჩვეულია ექსპერიმენტებს, ამიტომაც აცხადებს: "იყო ახალ ორლეანში გაზრდილი ნიშნავს იმას, რომ მუსიკის განუწყვეტლივ ფონზე ცხოვრობდე. ეს ყველაზე მუსიკალური ადგილია მთელ ამერიკაში. მე ჰიმნების, მარშების, პოპისა და ფანკის მელოდიებზე გავიზარდე და დღეს ეს გავლენა ჩემს ნაწარმოებებშიც იგრძნობა... ვუკრავ ყველანაირ მუსიკას, რადგან მუსიკა ცოცხალი ორგანიზმია. ვუკრავ ყველანაირი ტიპისა და ასაკის შემსრულებელთანაც, რადგანაც თითოეულ მათგანს აქვს რაღაც სათქმელი".

დაბოლოს, ალბათ, საინტერესოა, ჯაზის როგორ განსაზღვრებას გვთავაზობს მუსიკოსი, რომლის ანგარიშზეც არის 33 ჯაზური და 11 კლასიკური მუსიკის ალბომი, 9 "გრემი" და პულიცერის პრიზი (სხვათა შორის, მარსალისი პირველი ჯაზ-შემსრულებელი იყო, რომელმაც პულიცერის მუსიკის ჯილდო მოიპოვა):

"ჯაზი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის ამერიკის ისეთ უზენაეს ღირებულებებს გამოხატავს, ისეთს, როგორიც დემოკრატიაა... ჯაზი ისეთივე მოქნილი ფენომენია, როგორც ჩვენი კონსტიტუცია: ის შეიძლება მრავალნაირად გადათარგმნო და შეიმეცნო, მაგრამ თან არც პირველადი ფორმა და მნიშვნელობა დაუკარგო. ჯაზი ადამიანის ემოციურ განვითარებას უწყობს ხელს, რადგან ის სრულყოფილი, უკვე "გაზრდილი" მუსიკაა. სანამ ეს ღირებულებები კაცობრიობას აღელვებს, ჯაზიც მნიშვნელოვანი იქნება". ასე რომ, დაველოდოთ მარსალისის "ჯადოსნური საათის" დადგომას და ვუსმინოთ ჯაზს.

სვეტი

# კოტე.GE



კოტე ყუბანეიშვილი

თავისუფალი მხოლოდ აზრია
და თუ თავისით არ გეუფლება,
ანუ ის ყოფას განუსაზღვრია,
ამას არ ჰქვია თავისუფლება.

■ ■ ■

თავისუფლება წარმოშვა ომმა,
თავისუფლებას სჭირდება შრომა
და არსებობდეს ამქვეყნად რომ ის,
სიყვარულია საჭირო შრომის.

მას მხართეძოზე არ უყვარს წოლა
და არ აშინებს რომ დაიხარჯოს,
თავისუფლებას უხდება ბრძოლა,
სიზარმაცეზე რომ გაიმარჯვოს.

ის მშვენიერი უცხო ქალია,
ჯერ რომ მონობას არ შეხვედრია,
მას არ სჭირდება ოქროს გალია,
თავისუფლება გმირთა ხვედრია.

ჰალსტუხიანი ტყავისტუფლება
რას ჰგავს ასეთი თავისუფლება.

■ ■ ■

სანამ არა გაქვს შენი სწავლება,
სხვისაზე გიწევს ხელის წავლება.

■ ■ ■

ბოლო-ბოლო კაგებეს
დამარცხება აგემეს?

■ ■ ■

თუ გინდა დაიცვა პოეზიის პირველი წესი,
დაარღვიე ის.

■ ■ ■

დროა იმის გამო რთული,
დენი როა გამორთული.
არც სახლია გაზიანი,
იმიტომ ვარ ბრაზიანი.

■ ■ ■

შეიძლება კაპიტანო
გემზე რამე ავიტანო?
ნუთუ კურსი შეიცვლება,
დამიჭირონ შეიძლება?
ჩემ გვარზეა მოსაწვევი
მომაწოდეთ მოსაწევი.
ვინც სახლიდან გავა ბოლო,
ყველა უნდა დავაბოლო.
ისეთი მაქვს გულის ფეთქვა,
არ არსებობს სიტყვა ვერ ვთქვა,
კარგი ლექსი გენაცვალე,
შენ თუ ვერ თქვი -
მე მაცალე.

■ ■ ■

არ გვარგებს ვინმეს გაფეტიშება,
მაშინვე ტვინი გაგვეთიშება.

■ ■ ■

დღეს არ ფასდება პატიოსნება,
დღეს პატივშია პარტიოსნება.

■ ■ ■

ტვინში გვინდა ახლა ზეთი,
რომ დაბრუნდეს აფხაზეთი.

■ ■ ■

ჩემი ჩოისი ნახეთ ჯოისი.

■ ■ ■

სიყრმის წლებო, უდარდელნო, მშვიდობით
ვერ გაცილებთ ტირილით და გოდებით
გადაღლილი ამდენ ქალიშვილობით
გავიზარდე, ჰოდა გემშვიდობებით.
სიყვარულით უკვე გულიც მიფეთქავს,
ყვავილებით ვიწნი როცა ყვითელ თმას
ლექსებადაც სიყვარული მაყვირებს
მაგრამ მაინც რა უნდა ვქნა ვერ ვხვდები
ვუსმენ მაღლა ქერუბიმთა საყვირებს
მოლოდინში რომ საბედოს შევხვდები
და სატრფოც რომ ოდნავ გამითამამდეს
შეიძლება ქალწულობაც დამთავრდეს.

■ ■ ■

გიყვარს მაგრა აგვისტო
მიშა, აკვალანგისტო?

■ ■ ■

ადამიანს უფლებები თუ აქვს
არ უნდა დაურღვიო.

■ ■ ■

საქართველოს იალაღებს
ვიღა განაიარაღებს.

■ ■ ■

თავლადიდება.

■ ■ ■

რა შეიძლება პოეტმა რომ თქვას
ძირფესვიანად შემძრავი აზრის
ისიც ლექსია, როცა ის მოსთქმავს,
ან ტირის მაღალ ფასებზე ბაზრის
რადგან ეკუთვნის პოეტთა მოდგმას
არ უყვარს დაცვა სიტყვაში საზღვრის
და თუკი შეძლო ენაში გალღვევს
ყოველგვარ კანონს ამსხვრევს და არღვევს.

ფეხბურთი

# "მანჩესტერი"-"პორტო" - საფეხბურთო სპექტაკლის მეორე აქტი

## განახევრებული "იუვენტუსი" "დეპორტივოს" დამარცხებას შეეცდება

აკა ტონია

*დღეს საღამოს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის განმეორებითი მატჩებია. დღეს გაირკვევა პირველი მეოთხედფინალისტების ვინაობა. "ჩელსი" და "ლიონი" ცალი ფეხით მეოთხედფინალში არიან, თუმცა დანარჩენ ორ წყვილში გუნდების შანსები თანაბარია.*


*როი კინის გარეშე "მანჩესტერს" გაუჭირდება*

### ჩელსი - შტუტგარტი

ამ გუნდების პირველი მატჩი "ჩელსის" გამარჯვებით (1:0) დასრულდა. სტუმრად მოგებული მატჩის შემდეგ ლონდონელებს მეოთხედფინალში გასვლის დიდი შანსი აქვთ, თუმცა "შტუტგარტი" ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებს. ბუნდესლიგის უკანასკნელ მატჩში შტუტგარტელებმა დორტმუნდის "ბორუსია" დაამარცხეს (2:0) და უკვე იმის იმედი მიეცათ, რომ ლონდონშიც მოახერხებენ სასწაულის მოხდენას. "თუ "ჩელსის" წინააღმდეგ ისევე ვითამაშებთ, როგორც "ბორუსიას" წინააღმდეგ, მაშინ ლონდონელებს ძალიან გაუჭირდებათ", - ამბობს "შტუტგარტის" მწვრთნელი მაგატი.

წინა შეხვედრისგან განსხვავებით, ლონდონელები კიდევ უფრო ძლიერი შემადგენლობით გამოვლენ მოედანზე. ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ "ჩელსის" შემადგენლობაში ითამაშებს ირლანდიელი დემიენ დაფი. მატებაა "შტუტგარტის" შემადგენლობაშიც: "დორტმუნდის" წინააღმდეგ ითამაშა სილვიო მაისნერმა, რომელიც ასევე ტრავმირებული იყო.

გერმანელთა ოპტიმიზმის მიუხედავად, ამ მატჩის ფავორიტი მაინც "ჩელსია".

### იუვენტუსი - დეპორტივო

მიუხედავად იმისა, რომ პირველი მატჩი "იუვენტუსმა" ლა კორუნიაში წააგო (0:1), მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსს მაინც ინარჩუნებს. ტურინელები საკუთარ მოედანზე თამაშობენ და "დეპორტივოს" ერთბურთიანი უპირატესობის აღმოფხვრაც შეუძლიათ. მაგრამ ამ უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ მარჩელო ლიპის უამრავი თავსატეხი გამოუჩნდა. გასულ შაბათს "ბრეშას" წინააღმდეგ იტალიის ჩემპიონატის მატჩში ტრავმა მიიღო მარკ იულიანომ. მის გარდა, "დეპორტივოს" წინააღმდეგ, შესაძლოა, ვერ ითამაშონ ჯანლუკა ძამბროტამ და ალესანდრო ბირინდელიმ. ტურინელებს მხოლოდ დაცვის ხაზში როდი აქვთ პრობლემები. გამორიცხულია დავიდ ტრეზეგეს თამაშიც, რომელსაც მხარი აქვს ნატკენი. ყვითელი ბარათების გამო ნახევარდაცვას ანტონიო კონტე დააკლდება. ასეთი დანაკლისის შევსება თვით "იუვესთვისაც" არ იქნება ადვილი.

ტრავმირებულთა პრობლემა "დეპორტივოსაც" აქვს, თუმცა მის შემადგენლობაში მხოლოდ ერთი დაშავებულია – ენრიკო რომერო. სამაგიეროდ მომჯობინდნენ ნურედინ ნაიბეთი და ვიქტორ სანჩესი. დღევანდელ მატჩში, შესაძლოა, ბრაზილიელი ჯალმინიაც ვიხილოთ მოედანზე.

### ლიონი - რეალ სოსიედადი

ფრანგულ "ლიონს" მეოთხედფინალში გასვლის შესანიშნავი შანსი აქვს. პოლ ლეგენის გუნდმა პირველ შეხვედრაში 1:0 მოუგო "სოსიედადს" და დღევანდელ მატჩში, რომელსაც "ლიონი" საკუთარ მოედანზე გამართავს, ფრანგებს ფრეც აძლევს ხელს. ძნელი წარმოსადგენია, რომ "სოსიედადმა" სტუმრად გამარჯვება შეძლოს, მით უმეტეს, თუ მათ პრობლემებს გავითვალისწინებთ. რეინალდ დენიუს გუნდი მეკარე სანდერ ვესტერველდისა და მცველ აგუსტინ არანსაბალის გარეშე ჩავიდა საფრანგეთში. ვესტერველდს თითის ტრავმა აქვს, ხოლო არანსაბალს - ცხვირის. თუმცა, ესპანელებს ოპტიმიზმის საბაბიც გამოუჩნდათ. ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ გუნდს დაუბრუნდა მათი ლიდერი, ნახევარმცველი ხავიერ დე პედრო.

უპრობლემოდ არც "ლიონია". საფრანგეთის ჩემპიონატის უკანასკნელ მატჩში ტრავმა მიიღო ერიკ კარიემ. კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ენტონი რევილიეს და ჯერემი ბერტოს თამაშის საკითხიც. მაგრამ "სოსიედადის" საქმეებს ართულებს ის ფაქტი, რომ, წინა მატჩისგან განსხვავებით, "ლიონის" შემადგენლობაში ბრაზილიელი ელბერი ითამაშებს.

### მანჩესტერი - პორტო

"მანჩესტერი" – "პორტო", ალბათ, დღევანდელი საღამოს ყველაზე საინტერესო მატჩი იქნება. ორი კვირის წინათ ამ გუნდებმა, განსაკუთრებით კი "პორტომ, ნამდვილი საფეხბურთო სპექტაკლი შემოგვთავაზეს. ის შეხვედრა მასპინძელი "პორტოს" გამარჯვებით, 2:1 დასრულდა. გადაწყვეტილი, ცხადია, ჯერ არაფერია. ერთი ბურთის სხვაობით დამარცხება მანჩესტერელთათვის დიდი პრობლემა არ არის. ალექს ფერგიუსონის გუნდს შესწევს უნარი, საკუთარ "ოლდ ტრაფორდზე" "საჭირო" ანგარიშით მოიგოს, მაგრამ...

...არ დაგავიწყდეთ, რომ დღეს მანჩესტერელთა მეტოქეა "პორტო" – UEFA-ს თასის ახლანდელი მფლობელი, რომლის რიგებშიც ბენი მაკარტი თამაშობს, სწორედ ის მაკარტი, რომელმაც წინა მატჩში ორი გოლი გაუტანა "მანჩესტერს". თანაც, მასპინძლებს დღევანდელ მატჩში სერიოზული დანაკლისი აქვთ. წინა შეხვედრაში "პორტოს" მეკარე ბაიაზე თავდასხმისთვის წითელი ბარათი მიიღო მანჩესტერელთა კაპიტანმა როი კინმა და, ცხადია, დღეს ვერ ითამაშებს.

სამაგიეროდ, არავითარი დანაკლისი არა აქვს "პორტოს". გუნდის შემადგენლობაში არც ერთი ტრავმირებული არ არის. პირიქით – წინა მატჩისგან განსხვავებით, დღევანდელ შეხვედრაში კოშტინიაც შეძლებს თამაშს.

ასე რომ, დღეს ფერგიუსონის გუნდს უმძიმესი თამაში ელის. ორივე გუნდს მეოთხედფინალში გასვლის, ალბათ, თანაბარი შანსი აქვს.

# რონალდოს ტრავმა - „ბაიერნის„ შანსი

ნინო პირველი


*კარლ ჰაინც რუმინიგე ღირსებაზე ალაპარაკდა*

მადრიდში პანიკა სუფევს, მიუნხენში კი - სიხარული. პრიმერა დივიზიონის მორიგ ტურში "რეალი" სანტანდერს ეწვია და იქაურ "რასინგთან" ჩაატარა სრულიად ჩვეულებრივი, ერთი შეხედვით არაფრით გამორჩეული მატჩი, რომელიც მადრიდელებისთვის სამწუხარო შედეგით დასრულდა. გამარჯვება რომ ვერ მოიპოვეს, ამას უკვე აღარავინ ჩიოდა. "სამეფო კლუბის" პორტუგალიელ თავკაცს, კარლოს კეიროშს სანტანდერში დაკარგული ორი ქულა საერთოდ არაფრად მიაჩნდა რონალდოს დაშავების ფონზე. ბრაზილიელ "ფენომენს" მყესი გაუწყდა და ტკივილისგან სახედამანჭულმა გაჭირვებით დატოვა მოედანი. "სულ მცირე, ორი კვირა მაინც დასჭირდება ფორმაში ჩასადგომად!" - კატეგორიულად განაცხადა "რეალის" ექიმმა ალფონსო დელ კორალმა და ყველას აუხსნა, რომ "ფენომენი" ოთხშაბათს "ბაიერნის" წინააღმდეგ ვერ ითამაშებდა. "რა საშინელებაა. არც რობერტო კარლოსი, არ რონალდო. ამაზე უარესი მდგომარეობის წარმოდგენა, უბრალოდ, შეუძლებელია. "ბაიერნს" ძალიან გაუმართლა", - მწუხარედ შენიშნა "ელ პაისმა" "ფენომენის" დაშავების შემდეგ.

"რეალში" ყველა საქციელწამხდარია, მაგრამ არ იმჩნევენ და ცდილობენ, სულით არ დაეცნენ: "მიუხედავად იმისა, რომ რონალდო არ იქნება, ჩვენ მაინც შევძლებთ "ბაიერნის" დამარცხებას", - ჰპირდება ფანებს კარლოს კეიროში. გუნდის კაპიტანი რაული კი, რომელიც სანტანდერში ვერ გაემგზავრა კოჭის ტრავმის გამო, ოლივერ კანს შორიდან ემუქრება, თავს ნუ დაიმშვიდებ, მართალია, რონალდო არ ითამაშებს, მაგრამ მე ადგილზე ვიქნები და არ მოგასვენებო. გულშემატკივრები მოუსვენრობამ შეიპყრო. "რეალს" რონალდო ჰაერივით სჭირდება. მიმდინარე სეზონში "სამეფო კლუბმა" 54 გოლი გაიტანა, აქედან 28 "ფენომენის" ანგარიშზეა. ასეთი შედეგიანობით "რეალის" არც ერთ სხვა ფეხბურთელს არ გამოუჩენია თავი. ამას გარდა, რონალდოს მოედანზე ყოფნა კიდევ ერთი მიზეზითაა აუცილებელი - ესპანელები, ცოტა არ იყოს, ცრუმორწმუნენი არიან და დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კარგად და ცუდად დაცდილ ფაქტებს. რონალდოს ტრავმა "რეალს" ცუდად აქვს დაცდილი - შარშან, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალურ მატჩში ტურინის "იუვენტუსის" წინააღმდეგ "ფენომენმა" ტრამვირებულმა ითამაშა და "რეალი" ფინალში ვერ გავიდა. ნუთუ წლეულსაც ასე მოხდება?

ოტმარ ჰიტცფელდს ასეთი რალაცების არ სჯერა. მან მხოლოდ ის იცის, რომ "რეალი" საშინლად სახიფათოა, თუნდაც რობერტო კარლოსისა და რონალდოს გარეშე: "რეალს" თავისუფლად შეუძლია რონალდოს შეცვლა სხვა ფეხბურთელით, მათ ხომ ამდენი ვარსკვლავი ჰყავთ. ამ მატჩში "რეალი" უდავო ფავორიტია", - ამბობს "ბაიერნის" თავკაცი. პრობლემები "ბაიერნსაც" თავსაყრელად ჰქონდა - ვილი სანიოლმა ლევერკუზენის "ბაიერთან" მატჩში მკლავი იტკინა და შაბათ საღამოს საოპერაციოდ გააქანეს. ბიქსენტ ლიზარაზიუს კუნთი ჰქონდა დაჭიმული, კლაუდიო პისაროც ტრავმირებული იყო, მაგრამ ექიმები იმედს იძლევიან, რომ მადრიდში სამივე მოახერხებს წასვლას და "რეალის" წინააღმდეგ თამაშს. ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ახლად ნაოპერაციევი ვილი სანიოლია, რომელიც მოედანზე შებინდული მკლავით გავა.

ლევერკუზენის "ბაიერის" დამარცხებით ყველა კმაყოფილი დარჩა, თუმცა, ული ჰიონესმა და კარლ ჰაინც რუმენიგემ უფრო მეტი მოითხოვეს ფეხბურთელებისგან: "30 პროცენტით უფრო აქტიურად უნდა ვითამაშოთ მადრიდში. "რეალი" სულ სხვა კალიბრის გუნდია და მის წინააღმდეგ სხვა დონის თამაშია საჭირო", - განაცხადა "ბაიერნის" მენეჯერმა. კარლ ჰაინც რუმენიგემ კი ვრცელი ინტერვიუ მისცა "ველტის" კორესპონდენტს და დაწვრილებით ისაუბრა "ბაიერნის" შანსებზე:

**- ჰერ რუმენიგე, "ბაიერის" დამარცხების შემდეგ, ალბათ, უკვე თავაწეულები ჩახვალთ მადრიდში. ასე არ არის?**

- რა თქმა უნდა. ეს გამარჯვება გუნდს თავდაჯერებულობას ჰმატებს, მაგრამ ოთხშაბათის მატჩი სულ სხვანაირი იქნება. დარწმუნებული ვარ, მაყურებელს ძალიან საინტერესო სანახაობა ელის.

**- რამდენად მნიშვნელოვანია "ბაიერნისთვის" მეოთხედფინალში გასვლა?**

- ეს უდიდესი მოტივაცია იქნებოდა ჯგუფურ ეტაპზე ნაჩვენები საშინელი თამაშის შემდეგ.

**- ბუნდესლიგაში "ბაიერნი" არც ისე კარგად გამოიყურება. მხოლოდ "რეალთან" ითამაშა, მართლაც, ძალიან კარგად. რით ახსნით ამ ფაქტს?**

- "რეალის" წინააღმდეგ კარგად თამაში ღირსების საქმეა. ასეთი მატჩის წინ ფეხბურთელებს უდიდესი მოტივაცია აქვთ. გარდა ამისა, ამ შეხვედრამდე იმდენი გვაკრიტიკეს, ბოლოს და ბოლოს, უნდა დაგვემტკიცებინა, რომ წყალწაღებულები არ ვიყავით.

**- დამაფიქრებელი ხომ არ არის ის გარემოება, რომ ფეხბურთელები ბუნდესლიგის მატჩებში ისეთი შემართებით არ თამაშობენ, როგორც ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში?**

- გულახდილად გეტყვით: ზოგიერთი ფეხბურთელის საქციელმა იმედი გამიცრუა. ახლა გვარებს არ დავასახელებ. კლუბსა და მოთამაშეებს შორის კონტრაქტი იდება და ისინი ერთმანეთის პარტნიორები ხდებიან. ასეთ დროს ორივე მხარეს აქვს თავისი უფლებები და მოვალეობები. თუ კლუბის მოვალეობა ფულის დროზე გადახდაა, ფეხბურთელის მოვალეობა კარგი თამაში გახლავთ.

**- ფრანც ბეკენბაუერმა განაცხადა, ზოგიერთმა ფეხბურთელმა იმდენი ტიტული მოიგო, რომ უკვე გაძღა და თავის შეწუხება აღარ უნდაო. ოტმარ ჰიტცფელდს რამდენიმე ახალი მოთამაშის დამატება სურს, რათა ამით კონკურენცია უფრო მწვავე გახდეს.**

- ჩვენ შესანიშნავი გუნდი გვყავს. ეს "რეალთან" მატჩშიც გამოჩნდა. ბიჭები არა მარტო თანაბრად ეთამაშნენ მსოფლიოს საუკეთესო გუნდს, არამედ კედელთან მიაყენეს ის. ამის გამო არა მგონია, აუცილებელი იყოს ახალი ფეხბურთელების შეძენა.

**- როი მაკაის შეძენა რეკორდული თანხა – 18,75 მილიონი ევრო დაჯდა. გაამართლა თუ არა ამ ინვესტიციამ?**

- ეს ერთ-ერთი საუკეთესო ტრანსფერი იყო, რაც კი ბოლო წლებში განვახორციელეთ. მაკაი შესანიშნავად შეეწყო გუნდს.

**- ამის მიუხედავად, "ბაიერნი" ბუნდესლიგაში პირველ ადგილზე არ არის, თასის ტურნირს უკვე გამოეთიშა და ჩემპიონთა ლიგიდანაც გამოვარდნა ემუქრება. ამ სეზონში, შესაძლოა, ვერც ერთი ტიტული ვერ მოიგოთ...**

- ცოტა მოვიცადოთ, ჯერ არაფერია გადაწყვეტილი. რა თქმა უნდა, იმის წარმოდგენაც შეგვიძლია, რომ სეზონი უტიტულოდ დავასრულოთ, თუმცა, ასეთ შემთხვევაში მეორე ადგილზე მაინც უნდა გავიდეთ, რომ უპრობლემოდ მოვხვდეთ ჩემპიონთა ლიგაში. ისე, ჩვენი ნორმა ყოველ წელიწადს თითო ტიტულია.

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** "დეპორტივოსთან" მატჩის მსვლელობისას "ვალენსიას" გამთამაშებელმა, არგენტინელმა პაბლო აიმარმა ფეხის ტრავმა მიიღო, რის გამოც მინდორი დატოვა. გაირკვა, რომ არგენტინელი ორი-სამი კვირით გამოეთიშა ფეხბურთს. არ არის გამორიცხული, რომ აიმარმა თურქეთის "გენჩლერბირლიგის" წინააღმდეგ უეფას თასის მატჩში ითამაშოს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "რომას" სპორტულმა დირექტორმა ფრანკო ბალდინიმ განაცხადა, რომ კლუბი თავის ფინანსურ პრობლემებს გუნდის ლიდერის, ფრანჩესკო ტოტის გაყიდვით არ მოაგვარებს. თვითონ ფეხბურთელმა განაცხადა, რომ თუ "რომა" მაინც იძულებული გახდება, მას შეელიოს, მაშინ ტოტი მადრიდის "რეალში" თამაშს ისურვებდა. "თუ ტოტი გამოთქვამს სურვილს, შეიცვალოს კლუბი იმის გამო, რომ ის არაკონკურენტუნარიანია, ჩვენ მზად ვართ, ეს პრობლემა განვიხილოთ, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო მასთან დამშვიდობებას აზრი არა აქვს, რადგან მომავალ წელს აუცილებლად ვითამაშებთ ჩემპიონთა ლიგაში", - განაცხადა ბალდინიმ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისის თასის ნახევარფინალი ფეხბურთის მოყვარულთათვის ნამდვილი საჩუქარი იქნება. ერთმანეთს შეხვდებიან "მანჩესტერ იუნაიტედი" და "არსენალი". მეორე ნახევარფინალი კი საკმაოდ თავმდაბლური გამოდგა. "სანდერლენდი" "მილუოლს" შეხვდება. არც ერთი კლუბი პრემიერლიგაში არ თამაშობს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გერმანიის "ჰანოვერი" მწვრთნელ რალფ რანგნიკს დაემშვიდობა. გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც "ჰანოვერმა" ბუნდესლიგის ჩემპიონატის მორიგ ტურში მიონხენგლადბახის "ბორუსიასთან" წააგო. ბედის ირონიით, "ჰანოვერის" მწვრთნელობის უმთავრეს კანდიდატად განიხილება ევალდ ლინენი, რომელიც ადრე სწორედ "ბორუსიას" წვრთნიდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მადრიდის "რეალის" ბრაზილიელ ვარსკვლავს, რონალდოს "რასინგთან" მატჩში ბარძაყის კუნთი გაუწყდა და ორი კვირით მწყობრიდან გამოვიდა. ამრიგად, რონალდო ვერ ითამაშებს ჩემპიონთა ლიგის მატჩში მიუნხენის "ბაიერნის" წინააღმდეგ. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების პირველი მატჩი ფრედ - 1:1 დამთავრდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ბაიერნის" ფრანგმა მცველმა ვილი სანიოლმა განაცხადა, რომ "რეალის" წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის მატჩში მოტეხილი ხელითაც ითამაშებს. "თუ ნორმალურად ვარჯიშს შევძლებ, მინდორზე გამოვალ", - განაცხადა საფრანგეთის ნაკრების მცველმა, რომელმაც ტრავმა ლევერკუზენის "ბაიერთან" შეხვედრაში მიიღო.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ჩელსის" მფლობელი რომან აბრამოვიჩი აპირებს, სეზონის დასრულების შემდეგ ამსტერდამის "აიაქსს" ნახევარმცველ რაფაელ ვან დერ ვაარტის სანაცვლოდ 25 მილიონი გირვანქა სტერლინგი შესთავაზოს. ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელზე პრეტენზიას აცხადებენ აგრეთვე "მანჩესტერ იუნაიტედი", მილანი" და "რეალი".

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** აკაპულკოს ტურნირში გამარჯვების შემდეგ ესპანელი კარლოს მოია პროფესიონალ ჩოგბურთელთა მსოფლიო რეიტინგში ექვსი საფეხურით აღზევდა და მესამე ადგილზე დამკვიდრდა. პროგრესი განიცადა იარკო ნიემინენმაც, რომელმაც დუბაის ტურნირში ითამაშა წარმატებით. მან მეცამეტე ადგილზე გადაინაცვლა. ქალთა რეიტინგს კვლავ ბელგიური დუეტი - ჟიუსტინ ენინ-არდენი და კიმ კლიისტერსი ლიდერობს.

**ვაჟები:**

| | |
|---|---|
| როჟე ფედერერი (შვეიცარია) | 172 |
| მარატ საფინი (რუსეთი) | 144 |
| კარლოს მოია (ესპანეთი) | 134 |
| დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) | 129 |
| ხუან-კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 127 |
| ენდი როდიკი (აშშ) | 117 |
| ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 115 |
| ანდრე აგასი (აშშ) | 105 |
| გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) | 90 |
| იოაჰიმ იუჰანსონი (შვედეთი) | 77 |

**ქალები:**

| | |
|---|---|
| ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია) | 7262 |
| კიმ კლიისტერსი (ბელგია) | 6699 |
| ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 3353 |
| ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 3049 |
| ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 2779 |
| ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 2776 |
| სერენა უილიამსი (აშშ) | 2584 |
| ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2270 |
| ჩანდა რუბინი (აშშ) | 2269 |
| აი სუგიამა (იაპონია) | 2103 |

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგემ განაცხადა, რომ უახლოეს პერიოდში შეხვდება საბერძნეთის ახალ პრემიერ-მინისტრ კონსტანტინოს კარამანლისს და განიხილავს ოლიმპიური თამაშებისთვის ათენის მზადების საკითხს. როგემ კარამანლისს უკვე მიულოცა არჩევნებში გამარჯვება. პრეზიდენტმა ისიც თქვა, რომ საბერძნეთის ბევრი ოფიციალური პირისგან მტკიცე გარანტია მიიღო, რომ არჩევნები ხელს არ შეუშლის ოთხწლეულის უმთავრესი ტურნირსთვის მზადებას. ცნობილია, რომ საბერძნეთი ბოლომდე ჯერ კიდევ არ მომზადებულა ოლიმპიური თამაშებისთვის, რომელიც 13 აგვისტოს გაიხსნება.

■ ■ ■

**ველოსპორტი.** ამერიკელი ლენს არმსტრონგი მონაწილეობას მიიღებს Dauphine Libere-ის ტურნირში, რომელიც 5-დან 12 ივნისამდე გაიმართება. ადრე ამერიკელი აცხადებდა, რომ შეჯიბრებაში არ გამოვიდოდა. გადამწყვეტი არგუმენტი, რამაც არმსტრონგს გადაწყვეტილება შეაცვლევინა, ის არის, რომ შეჯიბრება დროის ფაქტორის გათვალისწინებით გაიმართება. ამერიკელისთვის კი, რომელიც წლეულს "ტურ დე ფრანსის" მეექვსედ მოგებას აპირებს, მონაწილეობა ტურნირში, სადაც გამარჯვებული დროის მიხედვით ვლინდება, მომზადების მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო.

კალათბურთი

# "ლეიკერსის" ეპოქა შესაძლო დასასრულს უახლოვდება

*სიზმარში მოქმედება 2004 წლის 14 ივლისს იწყება*

კობი ბრაიანტმა სულ ახლახან განაცხადა, რომ ტოვებს "ლოს-ანჯელეს ლეიკერსს" და მეორე ლოსანჯელესურ კლუბში, "კლიპერზში" გადადის.

ფილ ჯექსონმა "ლეიკერსთან" კონტრაქტის გაგრძელებით ვერ მიიღო სასურველი თანხა, ამიტომ თავის "ჰარლეი დავიდსონს" შემოახტა და ჯექსონ ჰოულისკენ (შტატი ვაიომინგი) აიღო გეზი.

გერი პეიტონი და კარლ მელოუნი ერთხელ უკვე წავიდნენ კომპრომისზე, რასაც მეორედ აღარ გაიმეორებენ. მათ უარი თქვეს მაღალ ხელფასზე და "ლეიკერსში" იმიტომ გადავიდნენ, რომ კალიფორნიული გუნდი პოტენციური ჩემპიონი იყო. ისინი უკვე ეძებენ გუნდს, რომელსაც 2005 წლის სეზონის ჩემპიონობის გაცილებით დიდი შანსი აქვს.

ერთ დროს უძლიერესი "ლეიკერსი" ახლა დაახლოებით ასე გამოიყურება: დერეკ ფიშერი - გამთამაშებელი, კარიმ რაში - მეორე ნომერი, დივეინ ჯორჯი და რიკ ფოქსი - მსუბუქი ფორვარდები, ბრაიან კუკი - მეოთხე ნომერი და შაკილ ო`ნილი, რომელმაც თვითონაც არ იცის, რას აკეთებს ასეთ ქაოსში.

რეკავს ტელეფონი... ეს, შაკილ ო`ნილია. ის უკმაყოფილოა.

სიზმარი მთავრდება, როდესაც "ლეიკერსის" მფლობელ ჯერი ბასს ცივი ოფლი გაალვიძებს.

ჯერი ბასის საყვარელი "ლეიკერსი" ერთ დროს ისე გამოიყურებოდა, თითქოს ერთი ამოსუნთქვით შეეძლო მთელი სეზონის ჩატარება და ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაც. ამის საბაბს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სასტარტო ხუთეული იძლეოდა. კობი ბრაიანტი, შაკილ ო`ნილი, გერი პეიტონი და კარლ მელოუნი - ეს გუნდი, მართლაც, უძლიერესი უნდა ყოფილიყო. "ლეიკერსს" არც ძალა აკლდა, არც სისწრაფე, არც ათლეტურობა და არც გამოცდილება, მაგრამ ტრავმების, ერთმანეთში ჩხუბისა და მოუნდომებელი თამაშების სეზონის გამო მათი პოტენციური ჩემპიონის სახელი სადღაც გაქრა, აორთქლდა, თითქოს არც არასოდეს ყოფილა.

"კობის სახეზე უკმაყოფილება ეტყობა; მან არ იცის, შეძლებს თუ არა ოდესმე თავი დააღწიოს კოლორადოს შტატის კანონთან უსიამოვნებას. პეიტონი ლოს-ანჯელესს ცირკს ეძახის და აცხადებს, რომ ამ ქალაქში კალათბურთის თამაში შეუძლებელია. ფოსტალიონი (კარლ მელოუნის მეტსახელი-რედ.) კი სულ აგვიანებს და აგვიანებს, მან ვერც ერთი წერილი ვერ მიიტანა ადრესატამდე. "შაკი" ველარ უძლებს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დატვირთვას და ყველას აფიქრებინებს, რომ ერთ დროს აკიაფებული ვარსკვლავი ნელ-ნელა, მაგრამ მაინც ქრება.

როგორ სწრაფად იქცა საუკეთესო პერიოდი ყველაზე ცუდად?!



*სხვების მსგავსად "ლეიკერსს" გარი პეიტონიც დატოვებს*

## "ლეიკერსს" ზურგი აქციეს?

"ლეიკერსის" პრობლემები კარგად არის დოკუმენტირებული და ამიტომაცაა, რომ მოთამაშეები დღითი-დღე იცვლიან აზრებს და აღარ სურთ სამუდამოდ კალიფორნიულ კლუბში დარჩენა. კობი ბრაიანტმა "დენვერ ნაგეთსთან" მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს აუცილებლად განიხილავს ყველა წინადადებას. მათ შორისაა დენვერული გუნდის წინადადებაც. ამ განცხადებამდე ერთი კვირით ადრე კი მან განაცხადა, რომ სამუდამოდ რჩება "ლეიკერსში". შაკილ ო`ნილიც უჩვეულო ამპლუაში მოგვევლინა - მან გააკრიტიკა "ლეიკერსის" გენერალური მენეჯერი მიჩ კუპჩაკი. "შაკი" უკმაყოფილოა ახალი კონტრაქტის პირობებით. კინაღამ დამავიწყდა, ფილ ჯექსონი სეზონის ბოლოს, სავარაუდოდ, დატოვებს "ლეიკერსს". "თუ გუნდს უნდა, ის მიიღოს ჩემგან, რასაც მთხოვს, ამისთვის მხოლოდ ერთი რამ არის საჭირო - მოთამაშეებმა დამიჯერონ და აკეთონ ის, რასაც მე ვეტყვი. თუ ასე იქნება, მაშინ ჩემგან პრობლემა არ არის. თუ წინააღმდეგობას გამიწევენ, მაშინ მე არ ვაპირებ მათთან ჭიდაობას", - განაცხადა ფილ ჯექსონმა.

ვინმემ უთხრა "ლეიკერსს", რომ რეგულარულ ჩემპიონატში კიდევ 23 მატჩი აქვს ჩასატარებელი?!

## "შაკის" გაცვლა?

მოდით, მომავალში ჩავიხედოთ. შანსი დიდია - თუ კობი ბრაიანტის გარშემო მოარულ ხმებს დავუჯერებთ (კობი სეზონის ბოლოს "ლეიკერსს" დატოვებს), ეცდება, დაამტკიცოს, რომ შაკილ ო`ნილის გარეშეც შეუძლია ჩემპიონის ბეჭდის მოგება. ასევე დიდია შანსი (თუ ფილ ჯექსონს დავუჯერებთ), რომ მისი მოთმინების ფიალა აივსო. თუ ფილ ჯექსონს სამწვრთნელო კარიერის გაგრძელება სურს, მაშინ რატომ სხვაგან არ გააკეთებს ამას, სადმე უფრო წყნარ ადგილას? არა, აქ რაღაც ვერ არის საქმე კარგად. ლოს-ანჯელესი ქაოსშია გახვეული. რაც შეეხება პეიტონსა და მელოუნს, მიუხედავად იმისა, მოიგებენ თუ არა ჩემპიონატს, ისინი მაინც აპირებენ "ლეიკერსის" დატოვებას. თუ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ზევით ვთქვით, მაშინ გუნდში რჩება ერთადერთი კალათბურთელი, რომელსაც ლიდერობა შეუძლია და, მართლაც, უმაღლესი კლასის კალათბურთელია. ეს შაკილ ო`ნილია.

მაგრამ, მარტო შაკილ ო`ნილი ვერაფერს გახდება, ეს ფაქტია! ამიტომაც ჩნდება იდეა - "შაკის" 28-მილიონიანი ხელფასი რამდენიმე მაღალი კლასის კალათბურთელზე განაწილდეს, ანუ "შაკი" გაცვალონ ორ, სამ ან ოთხ მაღალი დონის კალათბურთელზე. რამდენად შესაძლებელი და რეალურია ეს გაცვლა? ჩემი აზრით, ამ იდეას განხორციელება არ უწერია. ამისთვის რამდენიმე მიზეზი არსებობს. პირველი: თუ გუნდს დატოვებს ოთხივე ლიდერი და მათ ნაცვლად ახალი კალათბურთელები მოვლენ, მაშინ "ლეიკერსს" რამდენიმე წელი დასჭირდება იმისთვის, რომ გუნდი შეთამაშდეს. ეს კი ჩემპიონობას რამდენიმე წლით გადადებს. მეორე: მოთამაშეებთან ერთად ფილ ჯექსონიც წასვლას აპირებს, მაგრამ ეს ნაკლებად მოსალოდნელია. ამის მიზეზია მისი მაღალი ხელფასი, რომელსაც, "ლეიკერსის" გარდა, არც ერთი გუნდი არ გადაუხდის. თუ ფილ ჯექსონი გუნდში დარჩება, "კობი", პეიტონი და მელოუნი კი წავლენ, მაშინ ჯექსონს რჩება ერთადერთი შეგირდი, რომელიც მას არ უჯერებს. ერთთან ბრძოლა კი უფრო იოლია, ვიდრე ოთხთან. მესამე: ბრაიანტის, მელოუნისა და პეიტონის ტრანსფერებიდან აღებული ფულით ნამდვილად შესაძლებელია ოთხი-ხუთი მაღალი დონის კალათბურთელის შეძენა, რომლებიც შაკილ ო`ნილს დაეხმარებიან. მეოთხე: "ლეიკერსის" მეპატრონე ჯერი ბასი ვერაფრით ვერ შეელევა შაკილ ო`ნილს. "შაკი" ხომ სწორედ მისი სურვილით და ძალისხმევით მოხვდა კალიფორნიულ გუნდში. მოკლედ რომ ვთქვათ, შაკილ ო`ნილის სხვა გუნდში გადასვლა არარეალურად მიმაჩნია.

ყველაფრის მიუხედავად, სხვა გუნდის მენეჯერები კარგა ხანია "სტეპლეს ცენტრის" კულისებში ტრიალებენ და "ლეიკერსის" ლიდერებს გულს უწყალებენ - ჩვენს გუნდში გადმოდი, ყველაფერი გექნებაო. ამაოდ ირჯებიან-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ არც ნაყოფი გამოუღია მათ ამდენ შრომას. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, ასეა.

რეგულარული ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება. მალე ბევრი რამ გაირკვევა, მაგრამ ერთი რამ ახლავე ცნობილია - სანამ სეზონი არ დამთავრდება, "ლეიკერსიც" არ დაიშლება. მიზეზი მარტივია: იქნებ ჩემპიონატი მოიგონ, თუმცა, ეს ნაკლებად შესაძლებელია.

## საქართველოს ჩემპიონი



**გიორგი ტრაპაიძე**

ცურვა

რუბრიკას უძღვება
*ზვიად გიორგაძე*

| | |
|---|---|
| **დაბადების თარიღი:** | 1987 წლის 2 დეკემბერი |
| **სიმაღლე:** | 182 სმ. |
| **წონა:** | 67 კგ. |
| **ოჯახური მდგომარეობა:** | დედა, მამა, და |
| **ტიტულები:** | საქართველოს ჩემპიონი 2002 წ. ზამთრის ჩემპიონი 2003 წ. ზაფხულის ჩემპიონი 2003 წ. |
| **პირველი მწვრთნელი:** | მარინა ლომიძე |
| **პირველი გამარჯვება:** | 2002 წელი, ზამთრის ჩემპიონატი |
| **ყველაზე დიდი მიღწევა:** | 2003 წელი, ზაფხულის ჩემპიონობა |
| **ბავშვობის ოცნება:** | მოცურავეობა |
| **ყველაზე დიდი იმედგაცრუება:** | 2003 წელს, ზაფხულის ჩემპიონატზე მეგონა, რომ პირველზე გავიდოდი და მოულოდნელად დავმარცხდი |
| **უხერხული მოწინააღმდეგე:** | გივი ჩეჩელაშვილი |
| **საყვარელი ილეთი:** | გულაღმა ცურვა |
| **თქვენი აზრი ქართული სპორტის შესახებ:** | დაბალი დონე, პირობები არ არის |
| **რა გაღიზიანებთ, რა გახარებთ:** | მაღიზიანებს, როცა წაგებას მახსენებენ, მახარებს გამარჯვება |
| **კურიოზი:** | ვარჯიშის შემდეგ საშხაპეში შევდიოდი. ლაპარაკში გართულს, ფეხი ამისრიალდა და კედელს თავი მივარტყი |
| **ჰობი:** | ცურვა |
| **საყვარელი მსახიობი:** | ბრიუს უილისი |
| **საყვარელი ფილმი:** | "გლადიატორი" |
| **საყვარელი მწერალი:** | აგატა კრისტი |
| **საყვარელი წიგნი:** | აგატა კრისტის დეტექტივები |
| **საყვარელი მუსიკოსი:** | შონ პოლი, ბეიონსი და ბასტა რაიმსი |
| **რომელ სამზარეულოს ანიჭებთ უპირატესობას:** | ქართულს |
| **საყვარელი კერძი:** | მწვადი |
| **საყვარელი სასმელი:** | ნატურალური წვენები |
| **ვისთან ერთად იქეიფებდი:** | მეგობრებთან |
| **სად იცხოვრებდით საქართველოს გარდა:** | ბარსელონაში |
| **რომელ კურორტზე დაისვენებდით:** | მალიორკაზე |
| **რას მოისმენდით საკუთარ თავზე:** | გახდა ჩემპიონი |
| **მიზანი:** | მსოფლიო რეკორდსმენობა |
| **დევიზი:** | მობურთალსა მოედანი |

ფორმულა 1

# ფერარელები მეტოქეებს ერთმანეთში ხედავენ

ფორმულა 1-ის განახლებულ მსოფლიო ჩემპიონატზე, რომლის პირველ ეტაპს მელბურნმა უმასპინძლა, ზოგს იმედი გაუცრუვდა, ზოგსაც გაუმართლდა. ვგულისხმობთ "ფერარის", გუნდს, რომლის წევრებმა, მიხაელ შუმახერმა და რუბენს ბარიკელომ, პირველივე დიდ პრიზზე კვარცხლბეკის პირველი-მეორე საფეხური დაიკავეს. რბოლის შემდეგ გერმანელმა პილოტმა განაცხადა: შეუპოვარი მუშაობა მმართებს იმისთვის, რომ მეტოქეებს გასაქანი არ მივცეო. თანაგუნდელთან დაკავშირებით კი აღიარა, რომ, თუ ვინმესი ეშინია, ეს მისი ბრაზილიელი მეწყვილეა. "შუმისთან" პაექრობაზე არც ბარიკელო ამბობს უარს.



*ბარიკელო და შუმახერი ერთმანეთს პირველობისთვის შეეცილებიან*

**- გვერდიდან ყველაფერი ისე ჩანდა, თითქოს ავსტრალიურმა გრან-პრიმ თქვენთვის იდეალურად ჩაიარა. თავად როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

- როგორ გითხრათ, ალბათ, ასეც იყო. რბოლის პირველ ნაწილში რუბენსი ისე მიტევდა, რომ პირველი ადგილის შენარჩუნება ძალზე ჭირდა. საკუთარ თავს მინიმალური შეცდომის უფლებასაც ვერ მივცემ. ბოლიდი თითქმის იდეალურად მუშაობს, რაც მთელი უიკენდისას, მათ შორის, რბოლის დროსაც გამოჩნდა.

**- რბოლის მიწურულს ბრუნს მოუკელით. ეს სარბოლო გეგმის ნაწილი იყო?**

- რა თქმა უნდა. მას შემდეგ, რაც შევამჩნიე, რომ ფერნანდო ალონსომ (ესპანელმა პილოტმა მესამე ადგილზე დაასრულა რბოლა) დევნაზე უარი თქვა, გადავწყვიტე, ბრუნი შემემცირებინა და რესურსები დამეზოგა.

ყოველთვის შეძლებისდაგვარად უნდა ეცადო საკუთარი თავის, ბოლიდისა და, საერთოდ, ყველაფრის დაზოგვას. თავდაჯერებულობა კარგია, მაგრამ ეს პირველი რბოლა გახლდათ და არა ბოლო.

**- თქვენი აზრით, რამდენად სუსტად გამოიყურება "მაკლარენი" "ფერარისთან" შედარებით?**

- ჯერ ერთი, ბოლიდში ვიჯექი და მეტწილად წინ ვიყურებოდი. ასე რომ, ბევრს ვერაფერს ვხედავდი. მეორეც, ჯერ სულ ერთი რბოლა ჩატარდა და დასკვნების გამოტანა არასწორი იქნება.

**- მათი ნაწილი, ვინც რბოლას უყურა, შესაძლოა, ფიქრობს: "ო, არა, კიდევ ერთი სეზონი "ფერარისთვის". თქვენ როგორ ფიქრობთ?**

- შარშანაც იყო შემთხვევები, როცა იგივე აზრი ჩნდებოდა. მერე კი ყველაფერი თავდაყირა დგებოდა. ასე რომ, ჯერ დასკვნებისგან თავი შევიკავოთ.

**- ხომ არ გეჩვენებათ, რომ "რენოს" ნაცვლად თქვენი უახლოესი მდევარი "უილიამსი", ვთქვათ, ხუან-პაბლო მონტოია (კოლუმბიელმა პილოტმა მეხუთე ადგილზე დაასრულა რბოლა), რომ ყოფილიყო, საქმე ბევრად რთულად იქნებოდა?**

- არა მგონია, მონტოიას უფრო შემოეტია, ვიდრე ეს ალონსომ გააკეთა. საერთოდ, შემიძლია ვთქვა, რომ ამ რბოლაში "რენო" უფრო კარგად გამოიყურებოდა, ვიდრე "უილიამსი".

**- "უილიამსის" დაბალ შედეგებს რას დაუკავშირებდით?**

- რბოლაში ლიდერობა შედარებით იოლია. "უილიამსს" კი მორევში მოუხდა ყოფნა. შედეგად, მათ სრულად ვერ წარმოაჩინეს საკუთარი პოტენციალი.

**- როგორ გგონიათ, ფერნანდო პირველი ადგილისთვის ბრძოლას შეძლებს?**

- ვფიქრობ, ალონსოს ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ ჩემი ძირითადი კონკურენტი გახდეს.

"რენოს" მშვენიერი ბოლიდები ჰყავს – ძალიან სწრაფი და მტკიცე. არც ალონსოა ურიგო პილოტი. სავსებით შესაძლებელია, სეზონის განმავლობაში ვითარება "რენოს" სასარგებლოდ შეიცვალოს. მერე კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

**- და მაინც, ყველაზე მეტად თქვენს პარტნიორს უფრთხით. ასე არაა?**

- დიახ, და არც ვმალავ. თუ შეამჩნიეთ, როგორი პროგრესი განიცადა ბარიკელომ, მაშინ მიხვდებით, რომ მან მიაღწია იმ დონეს, რომელიც მასთან ბრძოლას ძალიან გამირთულებს. ფაქტობრივად, კვალიფიკაციაზე ჩვენს შორის სხვაობა არც ყოფილა. რბოლაში კი მანამდე ვმოძრაობდით გვერდიგვერდ, სანამ მას პრობლემები არ შეექმნა (მუხრუჭებმა უმტყუნა.-რედ). ასე რომ, ახლა საქმე ის არის, კონკრეტულ რბოლაში რომელი ჩვენგანი უფრო მეტს გამოწურავს მანქანიდან.

ახლა თავად ბარიკელოსგან შევიტყოთ ის შთაბეჭდილებები, რომელიც მას რბოლის შემდეგ გაუმძაფრდა. ფაქტია: მეორე ადგილის დაკავებით ბრაზილიელი პილოტი კმაყოფილი ჩანდა. მით უფრო, რომ ეს მუხრუჭთან დაკავშირებული პრობლემების მიუხედავად შეძლო. ამასთან, ბარიკელომ მთელი რბოლა სტაბილურად ჩაატარა, რამაც მას რვა ქულა მოუტანა.

**- საკუთარი სტარტით თუ ხართ კმაყოფილი?**

- დიახ, რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე. ვცდილობდი, პოზიცია შემენარჩუნებინა. მესამე მოსახვევში მინდოდა, "შუმისთვის" გამესწრო, მაგრამ შესაძლებლობა არ მომეცა.

**- როგორ გგონია, გაიზარდა თუ არა წლეულს შენი შანსი ტიტულისთვის სარბოლო ოსტატობის წყალობით? მანქანით თუ ხარ კმაყოფილი?**

- ვნახოთ. თუმცა, დარწმუნებული ვარ, შანსი მაქვს. ყოველწლიურად უკეთ გამოვდივარ – საკუთარ შეცდომებზე ვსწავლობ. მე და "შუმი" კარგად მივდიოდით, ვიდრე ტექნიკურმა ხარვეზებმა არ წამოყო თავი. თუ ჩვენ, ორივეს, თანაბარი შანსი გვაქვს, მისი გასწრება ძნელი იქნება. ახლაც იმას ველოდი, თუ როდის დაუშვებდა შეცდომას. ერთი სიტყვით, მგონია, რომ ერთმანეთში კიდევ მოგვიწევს ბრძოლა.

**- "რენოსა" და "უილიამსზე" ვლაპარაკობთ და ირკვევა, რომ მიხაელის მთავარი კონკურენტი შენ ყოფილხარ...**

- ეს მომდევნო რბოლებზეა დამოკიდებული. დაველოდოთ მეორე რბოლას, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენ ბრძოლას გავაგრძელებთ. მერე კი ვნახოთ, ვინ მოიგებს.

TV-სპორტი

**სამშაბათი. 9 მარტი**

**НТВ+ ФУТБОЛ**

008:30 NBA TV - NBA შიგნიდან
09:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ჯონ ლუკასი
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 საფეხბურთო უიკ-ენდი
14:00 რუსეთის თასი. 1/8 ფინალი. "ალანია" – "შინიკი". პირველი მატჩი
15:45 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
16:15 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:10 თავისუფალი დარტყმა
17:25 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:25 "FUTBOL MUNDIAL"
18:55 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი
20:40 "გამჟღავნება"
21:10 "დარტყმა გოლისთვის"
21:25 სახვალიო ტელეპროგრამა
21:40 თავისუფალი დარტყმა
21:55 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
22:25 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:20 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "ჩელსი" – "რეალ სოსიედადი". საპასუხო მატჩი
03:30 03:30-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. ოვერტაიმი: სლემ-დანკი "ყველა ვარსკვლავთა" მატჩში
04:30 NBA TV. დღიური
05:00 NBA TV. "MEMPHIS GRIZZLIES" -"SAN ANTONIO SPURS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ-ПЛЮС СПОРТ**

11:00, 14:00, 20:15, 22:15 პრესცენტრი
11:15, 22:00 "ოლიმპის შვილები"
11:20 "ჰარმონიის ფორმულა"
11:35 "ორშაბათამდე მივატანთ"
12:05 წყალში ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში
14:15 "ჰარმონიის ფორმულა"
14:30 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
15:00 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში. შესვენებისას (17:00) – პრესცენტრი
18:15 პოლოს საერთაშორისო თასი. მე-2 ნაწილი
19:45 სპორტული გლობუსი. "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
20:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი იაპონიაში
21:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 ფიგურული სრიალი. შოუ "Holiday Ice Dreams"
23:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "იუვენტუსი" – "დეპორტივო". საპასუხო მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:35 ახალი ამბები
01:50 01:50-დან 04:30-მდე შესვენება
04:30 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "NEW JERSEY DEVILS" - "PHILADELPHIA FLYERS". პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

11:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
12:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა
12:30 მულტისპორტი
13:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
15:00 ბალახის ჰოკეი. ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ასპარეზობა ესპანეთში
16:30 ფეხბურთი. ახალი თაობა. ევრო-2004
17:00 ბალახის ჰოკეი. ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ასპარეზობა ესპანეთში
18:30 ველორბოლა. ტური პარიზი-ნიცა
19:45 ბალახის ჰოკეი. ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ასპარეზობა ესპანეთში
20:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი ფინეთში
21:45 ფეხბურთი. გ-ო-ო-ო-ლ!
22:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
23:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
00:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
02:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
02:30 ახალი ამბები
02:45 ნასკარის ავტორბოლები. უინსტონის თასის ეტაპი აშშ-ში
03:45 მულტისპორტი
04:15 ახალი ამბები






სერიიდან ˝ქართველები˝

# პირველი ქართველი ფოტოგრაფი

ნესტან ნიჟარაძე

*თბილისის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმში, ქარვასლაში, ალექსანდრე რონინაშვილის გამოფენა გაიხსნა. ორასი ფოტოსგან შემდგარი ექსპოზიცია 100 ორიგინალს და ამავე რაოდენობის რეპროდუქციას მოიცავს. სპეციალურად გამოფენისთვის ალექსანდრე რონინაშვილის ფოტოების ალბომიც დაიბეჭდა, რომლის პრეზენტაციაც გამოფენის გახსნაზე შედგა.*

საფრანგეთის აკადემიის მიერ ფოტოგრაფიის გამოგონების შესახებ გაკეთებული პირველი ოფიციალური განცხადების შემდეგ გადის სულ რაღაც შვიდი წელი და რუსეთის გავლით ევროპული სიახლე - ფოტოგრაფია – 1846 წელს საქართველომდეც აღწევს. გაზეთი «კავკაზის» 1846 წლის 9 ნოემბრის ნომერი ოფიციალურად იუწყება, რომ თბილისში ჩამოსულა ვინმე ვერნერი, რომელიც ადამიანისა და ნივთების გამოსახულებას ახალი გამოგონების, დაგეროტიპის, მეშვეობით აფიქსირებს. ამ დროისათვის ევროპის დედაქალაქები –პარიზი, ლონდონი და ბერლინი, ისევე როგორც ოკეანის გადაღმა ნიუ-იორკი, დაგეროტიპის ციებ-ცხელებამ უკვე მოიცვა. ლონდონში მხოლოდ Regent Street-ზე 42 ფოტოატელიე გაიხსნა, ნიუ-იორკში კი 40-იანი წლების დასაწყისში 77 ფოტოგალერეა ამოქმედდა. და ეს მაშინ, როდესაც მწვავე დებატები ფოტოგრაფიის შესახებ ევროპის ცნობილ მოაზროვნეთა შორის ჯერ კიდევ გრძელდება. ემილ ზოლა აცხადებს, რომ სამყარო არ არის რეალურად დანახული და აღქმული მანამდე, ვიდრე არ შეიქმნება მისი ფოტოგამოსახულება; მისგან განსხვავებით კი შარლ ბოდლერი ცინიკურად ფოტოგრაფიას შუქთაყვანისმცემლობას უწოდებს და ფოტოგრაფიის განვითარებას დიდ მომავალს არ უწინასწარეტყველებს და არც ხელოვნებად აღიარებს. იმავე პერიოდის გერმანული პერიოდული გამოცემა « Leipziger Anzeiger » კიდევ უფრო შორს მიდის და გერმანიაში საფრანგეთიდან შემოსულ ფოტოგრაფიას, ეშმაკისეულ გამოგონებას უწოდებს: «ადამიანი ღმერთის ხატია, - წერდა გაზეთი, - მისი გამოსახულების დაფიქსირება რაღაც აპრატის მეშვეობით ხომ ღვთის გმობაა და სხვა არაფერი.» მიუხედავად ამისა, საბედნიეროდ, მეცხრამეტე საუკუნის ევროპელები, მაღალი საზოგადოების თუ დაბალი ფენების წარმომადგენლები, ერთნაირი სულისკვეთებით ისწრაფვიან, თავიანთი გამოსახულება პატარა ვერცხლის ფირფიტაზე, დაგეროტიპზე, აღბეჭდონ და ამგვარად იგი მარადისობის კუთვნილებად აქციონ -ასე ფიქრობდნენ ისინი და, როგორც აღმოჩნდა, არ ცდებოდნენ.

სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, საქართველოს სპეციფიკურმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ ის გარემოებაც განაპირობა, რომ საქართველოში ახალმა ევროპულმა გამოგონებამ, მართალია რამდენიმე წლის დაგვიანებით, მაგრამ წინააღმდეგობრივი დებატების და მკაცრი შეფასებების გარეშე მოიკიდა ფეხი – ქართულ საზოგადოებას დრო არ დაუკარგავს იმაზე ფიქრით, ექნებოდა თუ არა ფოტოგრაფიას მომავალი, აღიარებდნენ თუ არა მას ხელოვნებად და იყო თუ არა იგი ეშმაკისეული გამოგონება. 1846 წელი საქართველოში ფოტოგრაფის განვითარების ისტორიის დასაწყისია, რომელიც პირველ ეტაპზე მხოლოდ არაქართველი პროფესიონალი ფოტოგრაფების სახელებს უკავშირდება.

როდესაც იმავე წელს, დუშეთში, უნაგირების ღარიბი ოსტატის სოლომონის და მისი მემაქმანე მეუღლის მარინეს ოჯახში კიდევ ერთი შვილი ალექსანდრე დაიბადა, არავინ იცოდა, რომ სწორედ იგი გახდებოდა პირველი ქართველი ფოტოგრაფი და ქართული ფოტოგრაფიის ფუძემდებელი.

თუმცა, მანამდე - ვიდრე ფოტოგრაფიას შეისწავლის და შემდგომ უკვე თბილისის ცენტრში საკუთარ სახელოსნოებს გახსნის, შექმნის «მოძრავ კავკასიურ მუზეუმს» და ეროვნული მუზეუმის დაარსებაზე დაიწყებს ფიქრს, ქართული ეთნოგრაფიული სიძველეების მოსაძიებლად მთელ კავკასიას შემოივლის, დააარსებს პირველ საერთო საცხოვრებელს ქართველი სტუდენტებისთვის და საკუთარი სახსრებით გაუწევს მათ პატრონაჟს, გაწეული სამსახურისთვის რუსეთის იმპერატორისგან მიიღებს მრავალრიცხოვან ჯილდოებს, თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადამიანი და არა მხოლოდ ფოტოგრაფი, არამედ მნიშვნელოვანი საზოგადო მოღვაწეც გახდება - უსახსრობის გამო ალექსანდრე რონინაშვილს მამის გარდაცვალების შემდეგ ჯერ დუშეთის, შემდეგ კი ანანურის «კაზარმების სკოლაში» მიაბარებენ. გაუსაძლისი პირობების გამო იგი მალევე ტოვებს სასწავლებელს და ვლადიკავკაზელ ღვინით მოვაჭრესთან იწყებს მუშაობას. მალე იქიდანაც იპარება და 14 წლის ასაკში მარტო ჩამოდის თბილისში, სადაც სრულიად შემთხვევით ფოტოგრაფი და ხატმწერი, ვინმე ხლამოვი მას შეგირდად აიყვანს. რამდენიმე წლის მანძილზე იგი მონდომებით სწავლობს მხატვრობას და ფოტოგრაფიას და მალე დამოუკიდებლად ხსნის ფოტოსახელოსნოს: ჯერ ერთს - «სასურათხატო», შემდეგ მეორეს - «რემბრანტი» და მესამეს - «ამხანაგობა». სამივე ქალაქის ცენტრში, სასახლის ქუჩაზე და გოლოვინის პროსპექტზეა განთავსებული. რონინაშვილი იმდროინდელ საზოგადოებაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და პატივცემული პიროვნებაა. მის მოღვაწეობას ქართული პრესა ინტენსიურად აშუქებს. სახელოსნოებში კი პორტრეტების გადასაღებად საზოგადო მოღვაწეებთან ერთად თავს იყრიან ქართული არისტოკრატიის წარმომადგენლები და გლეხებიც, რომლებიც საგანგებოდ რონინაშვილის სახელოსნოებში ფოტოების გადასაღებად, მოკრძალებული დანაზოგებით საქართველოს პროვინციიდან დედაქალაქში ჩამოდიან.

იმდროინდელი ევროპული ტრადიცია, რომელმაც პირველი ევროპელი ფოტოგრაფების სალონები მოწინავე მოაზროვნეების თავშეყრის ადგილად და კულტურულ ცენტრებად აქცია, პირველად საქართველოში სწორედ რონინაშვილის სახელოსნოში მკვიდრდება. მის ფოტოატელიეს ისეთივე დატვირთვა აქვს ქართულ საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში, როგორიც ცნობილი ფრანგი ფოტოგრაფის ნადარის პარიზულ სახელოსნოს ფრანგულ კულტურულ ცხოვრებაში. ნადარი იღებს ბოდლერს და ჟორჟ სანდს, ფერენც ლისტს და სარა ბერნარს, ალექსანდრე დიუმას და ჟიულ ვერნს. რონინაშვილი კი ილია ჭავჭავაძეს და იაკობ გოგებაშვილს, ალექსანდრე ყაზბეგს და ვაჟა-ფშაველას, დიმიტრი ყიფიანს და ივანე მაჩაბელს, ეკატერინე გაბაშვილს და ბარბალე ჯორჯაძეს. 1874 წელს ნადარი გამოფენის გასამართად თავის სახელოსნოს მხატვარების იმ ჯგუფს უთმობს, რომელთაც მოგვიანებით იმპრესიონისტები ეწოდებათ და რომელთა ნამუშევრების გამოფენაზე პარიზის სხვა საგამოფენო გალერეების პატრონები უარს ამბობენ. თბილისში კი, საკუთარ ჭერს მოკლებული ქართული თეატრალური დასი ავქსენტი ცაგარელის ხელმძღვანელობით სწორედ ალექსანდრე რონინაშვილის ფოტოატელიეში მართავს რეპეტიციებს, რის შესახებ ცაგარელი წერდა: «მომწიფდა ნიადაგი მუდმივი დასის დაარსებისა, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც დიდად შეუწყვეს ხელი ამ საქმეს. მათ შორის იყო ალ.რონინაშვილი.» 1879 წელს, ერთ-ერთი შეკრების დროს სწორედ რონინაშვილის ფოტოატელიეში იბადება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების იდეა; 1888 წლიდან კი სახელოსნოში «რემბრანტი» რონინაშვილი აწყობს «მოძრავი კავკასიური მუზეუმის» ექსპოზიციას, რომლისთვისაც ისტორიული, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური ღირებულების მქონე ექსპონატების შესაგროვებლად ფოტოგრაფი ხანგრძლივ ექსპედიციებს აწყობს საქართველოს და კავკასიის სხვადასხვა რეგიონებში. აქვე იფინება მისი ფოტოებიც; მუზეუმის ექსპოზიციით და ფოტოების კოლექციით ქართული კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის დემონსტრაციის მიზნით რონინაშვილი რუსეთის ქალაქებში - სამარაში, ასტრახანში, სარატოვში, მოსკოვში და პეტერბურგში მოგზაურობს.

ასევე ერთ-ერთ სახელოსნოსთან რონინაშვილი ხსნის პირველ საერთო საცხოვრებელს სტუდენტებისთვის, რომლებსაც თავად აფინანსებს და თავადვე ასწავლის ფოტოგრაფიას. ამავე დროს დიდი მონდომებით მუშაობს ქართული ეროვნული მუზეუმის დაარსების იდეაზეც და 1895 წელს გაზეთ «ივერია» -ში აქვეყნებს სტატიას, სადაც წერს: «რუსეთის იმპერიაში თითქმის არც ერთი ერი არ მოიპოვება, რომ საკუთარი ეროვნული სახლი ანუ მუზეუმი არ ჰქონდეს... ჩვენ კი, რომელთაც უპირატესობა გვაქვს წარსულის დიდებითა, ხელოვნებითა, მწიგნობრობითა, აზრადაც არ მოგვდის, რომ დავაარსოთ ამგვარი ეროვნული სახლი, რათა დაინახოს ჩვენმა მომავალმა თაობამ თავისი წარსული, თავისი დიდება.» რონინაშვილი მუზეუმის ასაშენებლად საჭირო მიწის ფართის შეძენას საზღვარგარეთ მცხოვრებ იაკობ ზუბალაშვილს სთხოვს; თავად კი ცნობილ არქიტექტორს შტერნს შენობის პროექტს უკვეთავს, რომელსაც შემდგომ ღია ბარათის სახით ავრცელებს. ამ იდეის რეალიზაციას რონინაშვილი, სამწუხაროდ, ვერ ახერხებს. მისივე უშუალო დახმარებით და ხელშეწყობით იხსნება ბიბლიოთეკები სურამში, ცხინვალში, დუშეთში და მცხეთაში. 1886 წელს კი, 40 წლის ასაკში, ალექსანდრე ყაზბეგის დაჟინებით რონინაშვილი ადგენს ანდერძს, რომლის თანახმადაც მთელი მისი უძრავ-მოძრავი ქონება «...ფოტოგრაფიული დაწესებულება, ყველა ნეგატივი, აპარატები, ფოტოგრაფიული სურათები, აგრეთვე არქეოლოგიური და ანტიკვარული ნივთები...» გარდაცვალების შემდეგ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადაეცემა.

ალ. რონინაშვილი მოულოდნელად, 52 წლის ასაკში გარდაიცვალა. «მან არარაისგან შეჰქმნა საქმე, - წერდა ილია ჭავჭავაძე გაზეთ «ივერიაში», - არარისგან შეიძინა ქონება და ჩვენ ქართველებს მაგალითი გვიჩვენა იმისა, თუ რის შემძლებელია ცალკე კაცი, თუ იმხნევებს და გაირჯება, და არ შეუშინდება გარემოებას... თითოეული ამისთანა ადამიანი ძალ-ღონე და ციხე-სიმაგრეა ერისა, ქვეყნისა და მის მიერ განვლილი, ღვაწლით დაქნილი გზა მთელი სკოლაა და მწურთვნელია ყველასი, ვისაც-კი კაცობისათვის გული ერჩის.»

თუმცა, მოხდა ისე, რომ სიცოცხლეშივე მოპოვებული ესოდენ დიდი დაფასების, პატივისცემის და პოპულარობის მიუხედავად, მომავალი თაობებისთვის ალ. რონინაშვილის სახელი, გარკვეულწილად, ჩრდილში მოექცა.

მისი გარდაცვალების შემდეგ, მუზეუმის ექსპონატები და ფოტოარქივი ანდერძის თანახმად წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადაეცა. 1905 წელს კი რონინაშვილის ფოტოსალონები დაიხურა. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, მისი ნეგატივების ნაწილი გაიყიდა, სამუზეუმო ექსპონატები კი სხვადასხვა მუზეუმებს შეუერთდა. იმის გამო, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება რონინაშვილის არქივების დაცვას ველარ ახერხებდა, ფოტოგრაფის გარდაცვალებიდან 7 წლის შემდეგ, დარჩენილი მასალების ნაწილი იმავე პერიოდში მოღვაწე მეორე ცნობილ ფოტოგრაფს დიმიტრი ერმაკოვს გადაეცა, რომელიც იმითაც იყო ცნობილი, რომ სხვადასხვა ფოტოგრაფებისგან რეგულარულად იძენდა მისთვის საინტერესო ნეგატივებს და ფოტოებს და თავის საკუთარ კოლექციას უერთებდა. დაუზუსტებელი მიზეზების გამო, რონინაშვილის ფოტოების დიდი ნაწილი ერმაკოვის ფოტოკოლექციებში ისე გაერთიანდა, რომ რონინაშვილის ფოტოებიდან ხელმოწერები გაქრა, თავად ერმაკოვს კი იმაზე არ უზრუნია, რომ საერთო ალბომებში გაერთიანებული ფოტოების ავტორის ვინაობა დაეზუსტებინა. ამ დაუდევრობის, გაუგებრობის თუ საგანგებო ჩანაფიქრის შედეგად, წლების და მეტიც, ათწლეულების მანძილზე რონინაშვილის ფოტოების დიდი ნაწილი ერმაკოვის ფოტოებად იყო ცნობილი. პირველი ქართველი ფოტოგრაფის სახელი კი, შესაბამისად, ერმაკოვის ჩრდილში მოექცა, რომელიც თავისთავად არანაკლებ საინტერესო ფოტოხელოვანი გახლდათ.

ამჟამად ალ. რონინაშვილის არქივი ისტორიის მუზეუმის ფონდში ინახება, სადაც შუშის ნეგატივებზე სარესტავრაციო სამუშაოები ხორციელდება. ფოტოების გარკვეული რაოდენობა პეტერბუგის არქივებშია დაცული (რონინაშვილი ხშირად მუშაობდა პეტერბურგის არქეოლოგიური საზოგადოების დაკვეთით). ნაწილი საქართველოს სახელმწიფო არქივშია დაცული. ხელოვნების მუზეუმი კი თავად რონინაშვილის მიერ შედგენილ ორ დიდ ფოტოალბომს ფლობს. ორიგინალების კოლექცია თბილისის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმშიც ინახება.

4 მარტს ქარვასლში გახსნილი გამოფენა სწორედ ამ და კერძო კოლექციებში დაცულ სხვა ორიგინალებსაც აერთიანებს, რომელთა შორისაც არის თბილისის და საქართველოს ხედები, აბანოები, დაღესტანი (სადაც რონინაშვილმა რვა წელი დაჰყო), კავკასიელები, ბაქო, სომხეთი, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა და ქართველ არისტოკრატთა პორტრეტების სერია და მრავალი სხვა. გამოფენის მოწყობის და რონინაშვილის ფოტოების ალბომის გამოცემის იდეის ავტორია ლიკა მამაცაშვილი, თბილისის ისტორიის მუზეუმის თანამედროვე ხელოვნების საგამოფენო სექტორის გამგე. «როდესაც გამოფენის გაკეთება გადავწყვიტეთ და კვლევა დავიწყეთ, - ამბობს ლიკა მამაცაშვილი, - ძალიან ბევრი საინტერესო დეტალი აღმოვაჩინეთ. გარდა იმისა, რომ რონინაშვილი პირველი ქართველი ფოტოგრაფი ანუ მესურათხატეა, როგორც მას თანამედროვეები უწოდებდნენ, იგი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედიც იყო. რატომღაც მისი მოღვაწეობის ეს უმნიშვნელოვანესი მხარე დავიწყებული იყო გარკვეული დროის განმავლობაში. რაც, ვფიქრობ, დაუშვებელია. მისი ფოტოები იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ გარდა მხატვრული ღირებულებისა, ისინი უდიდეს ეთნოგრაფიულ და კულტურულ ინფორმაციას მოიცავენ. ჩვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ამ გამოფენით იმ გაუგებრობის აღმოფხვრაც, რომელმაც რონინაშვილის და ერმაკოვის ფოტოარქივების ერთმანეთში აღრევა და რონინაშვილის სახელის ჩრდილში მოქცევა გამოიწვია.»

და ბოლოს, თუ გსურთ, იხილოთ, როგორი იყო საქართველო და როგორი იყო თბილისი, რომელსაც მეოცე საუკუნემ და ოცდამეერთეს დასაწყისმა საბოლოოდ დააკარგინა თავისი პირვანდელი სახე (და რომელსაც იგი, ალბათ, ვეღარასდროს დაიბრუნებს); თუ გსურთ, იხილოთ, როგორები იყვნენ ქართველები, რომლებიც დღეს აღარ არსებობენ; თუკი ჯერ კიდევ გაქვთ სურვილი, იხილოთ ყოველივე ეს, აუცილებლად ეწვიეთ ალექსანდრე რონინაშვილის გამოფენას და დარწმუნდებით, რომ ფოტოზე აღიბეჭდება არა მხოლოდ ის, რაც წარმავალია, არამედ ისიც, რაც განუმეორებელია. მით უმეტეს, როდესაც ამას ისეთი მეტრი აკეთებს, როგორიც ალექსანდრე რონინაშვილი იყო - პირველი ქართველი ფოტოგრაფი.


ერევნის მოედანი


ალ. რონინაშვილი. ავტოპორტრეტი (ფოტომონტაჟი)


ძველი ციხესიმაგრე



კავკასიელები



თბილისის აბანოები

# ვირტუალური ორეული


ანგლიკანური ეკლესია

საკუთარი მრევლის გაზრდის მიზნით, ანგლიკანურმა ეკლესიამ გადაწყვიტა დაიწყოს მასშტაბური კამპანია ინტერნეტში: დაგეგმილია სრულყოფილი ინტერნეტ-ეკლესიის შექმნა, სადაც ჩვეულებრივად ღვთისმსახურებას საეკლესიო პირები აღავლენენ.

იდეის განხორციელების ინიციატორია ოქსფორდის ეპარქიის მეთაური რიჩარდ ტომასი. "უკანასკნელმა მონაცემებმა საინტერესო ფაქტი აჩვენა. ბრიტანელების ნახევარზე მეტი საკუთარ თავს ანგლიკანურ ეკლესიას მიაკუთვნებს, ღვთისმსახურებას კი მათი, სულ რაღაც, რვა პროცენტი ესწრება, - ამბობს წინამძღვარი, - ამის მიზეზი ალბათ ისაა, რომ თანამედროვე ქრისტიანებს არ აწყობთ საეკლესიო ცხოვრების ტრადიციული მოდელი. ინტერნეტი კარგა ხანია ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. ჩვენი მხრიდან სერიოზული შეცდომა იქნებოდა, მხედველობიდან გამოგვრჩეს ის ადამიანები, ვინც ვირტუალურ ურთიერთობებსაა მიჩვეული".

იმის მიუხედავად, რომ პროექტი ჯერ განხორციელების საწყის ეტაპზეა, მისთვის უკვე სერიოზული ფინანსური დახმარებაა გამოყოფილი. ბრიტანეთში არ გამორიცხავენ, რომ მალე ინგლისში ყველა ეკლესიას თავისი "ვირტუალური ორეული" ეყოლება.

# ჯენიფერ ანისტონის პორტრეტისთვის


ჯენიფერ ანისტონი

ის გულხელდაკრეფილი ზის. თმა სახეზე აქვს ჩამოყრილი. ჟურნალისტების მიერ დასმული კითხვები ერთიმეორეზე უარესია, სულ უფრო ინტიმური: "რა გაჩუქეს ვალენტინის დღეს?" "მამაკაცს ორგაზმის დროს ყველაზე უჩვეულო რა ჩაუდენია?" ჯენიფერი პასუხად მხოლოდ ფართოდ ახელს თვალებს და ხმამაღლა იცინის. მას გამჭვირვალე პულოვერის ქვეშ შავი აზღუდი აცვია, ფეხი ფეხზე აქვს გადადებული და მთელი თავის არსით ხაზს უსვამს იმას, რომ ყველასთვის ხელმისაწვდომი ქალი არაა.

ის ევროპაში თავის ახალ ფილმს უწევს რეკლამას. "მერე პოლი მოვიდა" რომანტიკული კომედიაა. მასში ჯენიფერი ტატუირებულ და, რასაკვირველია, შეყვარებულ მანჰეტენელ გოგონას თამაშობს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ სურათს დიდი წარმატება ჰქონდა.

ყველა კრიტიკოსი ერთ დასკვნამდეა მისული: ანისტონი ნამდვილად კარგი მსახიობია. კომედიურ ჟანრში მას დღეს ბადალი არ ჰყავს. "მას მოსმენის უნარი აქვს, ძალიან სწრაფად რეაგირებს, რეალობის გამძაფრებული შეგრძნებითაა დაჯილდოებული," აქებს ჯენიფერს მისი პარტნიორი სტილერი. "ის ქალებისა და მამაკაცებისთვის თანაბრად მიმზიდველია. მისი ყურება დამღლელი არასოდესაა, და ქალებსაც არ შურთ, რომ მამაკაცებს მოსწონთ - ასეთი რამ კინოსამყაროში დიდი იშვიათობაა".

ჯენიფერის ყოველწლიური შემოსავალი 35 მილიონ დოლარს შეადგენს. ილუსტრირებული გამოცემების გარეკანებზე მისი სახე რეკორდულად ხშირად ჩნდება. ამჟამად ბევრს ლაპარაკობენ იმის თაობაზე, რომ მას და ბრედ პიტს ნამდვილი ოჯახის შექმნა აქვთ გადაწყვეტილი. "მეც და ბრედსაც შვილების ყოლა გვინდა," მოახსენა 34 წლის ანისტონმა ჟურნალ "გალას" კორესპონდენტს. "მაგრამ მე მიჭირს იმის წარმოდგენა, რომ ბავშვების გამო ნაკლებს ვიმუშავებ. მსახიობობისთვის თავის დანებება ჩემთვის წარმოუდგენელია".

მიუხედავად იმისა, რომ მის მშვენიერ კაცს სხვა ქალებიც ეტანებიან, ჯენიფერი არ ეჭვიანობს: "ეჭვიანობა არ მეკადრება. ბრედი იმ მამაკაცებს არ განეკუთვნება, რომლებიც სულ ახალ-ახალ გოგოებს დასდევენ. მას მშვენიერი მოდელები არ იზიდავენ, თორემ ერთად არც ვიქნებოდით. მე ხომ ტოპ-მოდელი არა ვარ".

როდესაც მათი დაცილების შესახებ ჭორები გავრცელდა, ბრედ პიტმა ის ასე დაამშვიდა: "ხელი გადამხვია და მითხრა, რომ სამი წლის შემდეგ ჩემნაირ ქალს არცერთი ჭკუათმყოფელი არ თმობს".

# დილის რეცეპტი გადაცემიდან "დილა მშვიდობისა საქართველო"



## ბურდო

ეკა აბულაძე მხატვარი

### ინგრედიენტები:

ყვავილოვანი კომბოსტო 1კგ
კარტოფილი 1კგ
სტაფილო 5-6ც
ბულგარული წიწაკა წითელი 3-4ც მწვანე 3-4ც
პომიდორი 4-5ც
დაკონსერვებული ქაშა სოკო 250გ
ხახვი 4 თავი
ნიორი 5-6 კბილი
სუნელები: ხმელი ქინძი, უცხო სუნელი, ყვითელი ყვავილი
ქინძი 20გ
მარილი
ზეთი

### მომზადების წესი:

დავჭრათ ბოსტნეული დიდ ნაჭრებად და მოვათავსოთ ცხელ, ზეთიან ტაფაზე ფენა-ფენად.
პირველი ფენა - კარტოფილი და ყვავილოვანი კომბოსტო,
მეორე ფენა - ქაშა სოკო, სტაფილო, ხახვი და ნიორი.
მესამე ფენა - პომიდორი და ბულგარული წიწაკა.
მოვაყაროთ სუნელები და დავდგათ ნელ ცეცხლზე.

# კლაუდია შიფერი თავს იცავს

კლაუდია შიფერის შესახებ ჭორი გავრცელდა, საჭმლის მონელებასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს და ასე არაადამიანურად იმიტომ გახდაო. კლაუდია აღშფოთებულია. "მეილ ონ სანდი" მისი სიტყვების ციტირებას ახდენს: "ეს გენეტიკური ამბავია. ბავშვს ძუძუს ვაჭმევდი და ამიტომ ბევრი დავიკელი. იგივე დაემართა დედაჩემსაც, როცა მე მზრდიდა".

მაგრამ, ეს ბრიტანული ბულვარული გაზეთი იმასაც წერს, რომ კლაუდიას მეგობრები მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შეშფოთებულნი არიან. მეგობრებიც ასეთი უნდა! მათ ჟურნალისტებს უამბეს, რომ მომღერალ სტინგის მიერ გამართულ წვეულებაზე კლაუდია "კეისრის სალათას" არ მიეკარა, რადგან ეს კერძი პურის ნაჭრებსაც შეიცავს.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

9 მარტი

### რუსთავი - 2

**09.03 07.00** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "ჯაშუში" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** "ტელელიპუცები" **18.20** არჩევნები-2004 **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **22.50** ღამის კურიერი **23.45** ჩემპიონთა ლიგა. "მანჩესტერი"-"პორტო" **02.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" **10.10** მხ. ფილმი "დიდი მანევრები" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.15** მხ. ფილმი "მოხსენიების დღე" **16.50** დოკ. ფილმი "ცხოველთა ბედი" **17.15** დოკ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.30** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** და არს მუსიკა **19.25** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.05** ბასტი-ბუბუ **21.20** სერიალი "სოლედადი" **22.15** ჩვენი ფეხბურთი **23.30** მხ. ფილმი "თორმეტი სკამი" მე-4ს.

### პირველი სტერეო

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **15.20** ფილმი "როგორ მოვიქცეთ". მთ.რ-ში მენდი მური, ელისონ ჯინეიტი. **17.00, 19.15, 22.35** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "ადამიანი, რომელიც ხდება" მთ. რ-ში რობერტ ჯონბერგი. **01.40** "ღამურა" **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

09 **09.00** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "ცეროდენა მოჩვენებები" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **21.00** მხ. ფილმი "აპაჩი" (ბერტ ლანკასტერი) **23.00** მხ. ფილმი "მოცეკვავე ზედა სართულიდან" (ლაურა მორანტე)

### მეორე არხი

09 **19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.35** კინოსეანსი "ჭია-მაიები" **21.00** პალიტრა **21.30** ისტორიანი **22.10** მხ. ფილმი "ლედი კაროლინა ლემი"

### კავკასია

09 **12.00** მხ. ფილმი "რეალობა იკბინება" **13.30** "საქმე და ეკონომიკა" **14.30** მხ. ფილმი "მგლის საძმო" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "პიკის საათი 2" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "მარვინის ოთახი" **00.30** მუსიკა

### მეცხრე არხი

**09.03 08.00** პროგრამა "დილა" **09.30** დღის ამბები **09.45** პროგრამა "დილა" **10.15, 11.50, 13.45, 17.50** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.45** დღის ამბები **12.00** მხ. ფილმი "როგორ ჩამოვიშოროთ ბიჭი ათ დღეში" **14.00** მულტფილმი "კონკია" **14.50** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" **15.10** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "ინდიგოს მიწა" **16.35** დოკ. ფილმი "კუდიანი ამბები" 1-ლი ს. **17.00** მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" **18.00** მულტფილმი "კონკია" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "ლუდის ბატონები" 1-ლი ს. **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **22.00** სერიალი "მოჯადოება" **23.00** "ცხელი ცხრიანი" **23.50** სერიალი "ჰენრი ჯეიმსი - ახალგაზრდა მეამბოხე" მე-3ს. **01.00** მხ. ფილმი "ქეითი და ლეო".

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **07.15, 13.15, 15.15, 16.05, 17.20, 01.05** იმედის მელოდიები **08.00** "იმედის" დილა **10.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **11.05** სპ. პროგრამა "გოლი სერია "ა" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** "მულამები" **14.05** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **15.00, 16.00, 17.00** ქრონიკა **15.10** მხ. ფილმი "ცეზარი და როზალი" **17.25** ანიმაციური ფილმი: "სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" მე-2ს. **18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.50** ქრონიკა **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** ლარის მახე **22.50** მხ. ფილმი "ჩეხოვის მოტივებზე"

### არხი

**08.00** მუსიკა **09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** კომედია "მოჩვენებაზე მონადირენი 2" **11.15** დოკუმენტური ფილმი **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00** საინფ.გამ. "დღეს" **12.10, 16.10, 18.15, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **12.20** კომედია "ერთხელ მიდლენდში" **14.10** მხ. ფილმი "ქუხილის დღეები" **16.20** მულტფილმი "ნოტერდამელი კუზიანი" **17.20** დოკუმენტური ფილმი **18.30** ბოევიკი "ბალისტიკა" **20.10** კომედია "გურუ" **21.40** მუსიკა **22.40** "პოზიცია" **00.40** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **01.00** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე **01.20** თრილერი "დაღი" **03.00, 05.25** მუსიკა **03.20** მელოდრამა "ესენია" 10 მარტი

### ОРТ

**09-03-2004 ОРТ 07.00** "Доброе утро!" **09.45** Выборы-2004 **10.00, 13.00. 16.00, 19.00** Новости **10.20 Комедия "Сбежавшая невеста" 12.40** Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" **13.20** "Юрий Гагарин: Секретный отчет" **13.50 Худ.фильм "Так начиналась легенда" 15.00** Шоу "Город женщин" **16.20 Сериал "Берег мечты" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.20** "Шутка за шуткой" **19.50** "Выборы - 2004" **20.00 Сериал "Клон" 20.50** Иронический детектив **"Любительница частного сыска Даша Васильева" 22.00, 00.30** "Время" **22.35 Сериал "Улицы разбитых фонарей 5" 23.40** Док.фильм "Юрий Гагарин" **01.00** "На футболе" **01.30** "Сканер" **02.00** "Русский экстрим" **02.30 Комедия "Папаша и другие" 04.30 Худ.фильм "Нарушитель спокойствия". США, 1998**

### РТР

**06.00** "Доброе утро, Россия!" **09.45 Фильм "Сердца четырех" 11.40** В "Городке" **11.50, 14.50, 17.30, 00.20** Вести. Дежурная часть **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.20, 15.10, 17.40, 21.30** Местное время. Вести-Москва **12.50** "Что хочет женщина" **13.50** Аншлаг **15.35** Ток-шоу "Частная жизнь" **16.30 Сериал "Возвращение Мухтара" 18.10 Сериал "Люди и тени" 19.05 Сериал "Главные роли" 20.00 Сериал "Вкус убийства" 21.50** Спокойной ночи, малыши! **21.55 Сериал "Тайны следствия-3" 23.00 Сериал "Пан или пропал" 00.00** Вести+ **00.35 Худ.фильм "Утомленные солнцем", 1 с. 02.00 Худ.фильм "Афинские вечера" 03.55** Синемания **04.25** Дорожный патруль **04.40** Агентство одиноких сердец

### НТВ

**07.00** "Утро на НТВ" **09.45 Сериал "Свободная женщина 2" 11.00** "Сегодня утром" **11.25** Экспедиция Т. Баженова "Дикий мир: Хищное небо" **12.20** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.50** "Сегодня" **13.30 Комедия "Мошенники" 15.20** "Время есть" **15.35** "Протокол" **16.35** Ток-шоу "Принцип домино" **18.30 Сериал "Она написала убийство" 19.35** "Протокол" **20.40 Сериал "Таксист", 6 с. 21.50** "Свободная женщина 2", 6 с. **23.00** "Страна и мир" **23.35 Футбол.** Лига чемпионов. "Манчестер Юнайтед" (Англия) - "Порту" (Португалия) **01.40 Сериал "Таксист"**

# „ეს ჩემი ცხოვრებაა„

## რას ჰყვება "ბერლინალეს" და პორნო-კინოს ვარსკვლავი სიბელ კეკილი

ერთ მშვენიერ დღეს პატარა თურქი გოგონა, სიბელ კეკილი "ბერლინალეს" გამარჯვებული გახდა. ორი დღის შემდეგ გაზეთ "ბილდის" პირველ გვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ ის პორნოვარსკვლავი იყო. მას შემდეგ დღეს არ გაუვლია, რომ რომელიმე გაზეთს მაინც არ მოეხსენებინა საზოგადოებისთვის მის შესახებ ახალი და "ამაღელვებელი" ფაქტები: "მშობლებმა ცოდვილი ვარსკვლავი სახლიდან გააგდეს", "უში გლასი მამაცურად უჭერს მხარს ცოდვილ კინოვარსკვლავს" - ასეთი სათაურების კითხვა ბევრი ვერაფერი სიამოვნებაა, როცა სულ ახალგაზრდა ქალი ხარ და მთელი ცხოვრება წინაა. ბოლო ინფორმაციის თანახმად, სიბელ კეკილი საიდუმლოდ ჯვარდაწერილიც კი ყოფილა!

სიბელს თავადაც უკვირს, მაგრამ თავს ურიგოდ არ გრძნობს. "ბერლინალეს" ხელმძღვანელის, დიტერ კოსლიკის წყალობით, მას გერმანიის ყველაზე ცნობილი მედიაადვოკატი მფარველობს, და მისი საცხოვრებელი ადგილიც მხოლოდ ძალიან ვიწრო წრისთვისაა ცნობილი. "არ მინდა, რომ ვინმემ მაშინ გადამიღოს სურათი, როცა სახლიდან ნაგავი გამაქვს. არც ის მინდა, რომ მეზობლებიც საქმეში ჩაერთონ და მითვალთვალონ".

მიუხედავად იმისა, რომ "ბერლინალეზე" გამარჯვებული "კედლის პირისპირ" მისი პირველი სერიოზული კინოფილმია, სიბელისთვის კამერის წინ დგომა უცხო ხილი არ ყოფილა – საზოგადოება სწორედ ამის გამო ამხედრდა მის წინააღმდეგ. მანამდე ის რამდენიმე პორნოფილმში თამაშობდა. "ცხადია, ვიცოდი, რომ ეს ამბავი არ დაიმალებოდა," ამბობს სიბელი, "მაგრამ ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ გაზეთი "ბილდი" ამის გამო ამხელა ამბავს ატეხდა – პირველ გვერდზე, უზარმაზარი ასოებით, ისეთი ბინძური ტექსტი..."

პორნოგრაფიულ ფილმებში მონაწილეობა სიბელმა ძალიან მარტივად ახსნა: ფული სჭირდებოდა. "ყოველთვის ბევრი სამუშაო მქონდა - მაგალითად, ხილს და ბოსტნეულს ვყიდდი, ოფიციანტად ვმუშაობდი, კარისკაცადაც, ერთი თვე ღამის კლუბის მენეჯერიც კი ვიყავი. მოკლედ, ახალგაზრდა გახლდით და ფული მჭირდებოდა. ხოლო ის, რომ ამ ფილმებში ვითამაშე, ერთგვარი ამბოხიც იყო – საკუთარ თავს დავუმტკიცე, რომ საკუთარი ცხოვრებით ვცხოვრობ, სწორედ ისე, როგორც მინდა".

მშობლებისთვის ეს მძიმე შოკი იყო, მით უმეტეს, თურქი მშობლებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ, სიბელის თქმით, ისინი თანამედროვე და გახსნილი ადამიანები არიან. მაგრამ, ცხადია, მათ ის უფრო გაუხარდებოდათ, თუ სიბელი კარგ, მტკიცე თურქულ ოჯახს შექმნიდა. ამიტომ სიბელს მათთვის არაფერი უთქვამს - ისევე, როგორც დანარჩენმა მსოფლიომ, მათ შვილის პორნომსახიობობის ამბავი "ბერლინალეს" შემდეგ გაიგეს, და სახლიდანაც გააგდეს. დღეს მას დედ-მამასთან ურთიერთობა აღარ აქვს.

"მე მესმის ჩემი მშობლებისა. ძალიან გული მწყდება, რომ ყველაფერი ამ სახით შეიტყვეს. მაგრამ ჩემი ცხოვრების, ჩემი წარსულის გამო არავისთან არ ვაპირებ ბოდიშის მოხდას. არავისთვის არაფერი მიწყენინებია, კანონსაწინააღმდეგო არაფერი ჩამიდენია, არავისთვის არაფერი დამიშავებია - თუ ვინმეს ვავნე, ისევ საკუთარ თავს! ჩემს მშობლებს, ალბათ, რცხვენიათ, რომ ასეთი ვარ. ალბათ, ჰგონიათ, რომ თითით საჩვენებელი გავხდი და თვალს ველარავის გავუსწორებ. რა გაეწყობა: ყოველ ადამიანს თავის წარსული აქვს. მე 23 წლისა ვარ და შესაძლოა, ცოტა "მძიმე" წარსული მქონდა, მაგრამ ახლა ამას აღარაფერი ეშველება, ასეთი ვარ, და რა გაეწყობა".

"კედლის პირისპირ" სებილისთვის სამსახიობო დებიუტია. "რა აქვს საერთო პორნოგრაფიას და მსახიობობას?" ამბობს კეკილი. "რა ესაქმება, უკაცრავად და, ჟიმაობას სახასიათო როლთან?"


"ოქროს დათვთან" ერთად


რას წერს "ბილდი"?


კადრი ფილმიდან "კედლის პირისპირ"


სიბელ კეკილი

ფილმის რეჟისორმა ფატიჰ აკინმა და პროდიუსერებმა კეკილის შესახებ ყველაფერი იცოდნენ. "მე მაშინათვე ვუამბე, როგორი იყო მანამდე ჩემი ცხოვრება. ეს ჩემი წარსულია. ხომ გასაგებად ვამბობ: წარსული!" შემოქმედებითმა ჯგუფმაც გადაწყვიტა, რომ სიბელის წარსული არავის საქმე არაა.

მიუხედავად ამისა, პრესამ ყველაფერი ამოქექა, მათ შორის, ისიც, რომ ხუთი წლის წინათ სიბელი გათხოვებას აპირებდა. პრესა ყოველდღე ახალ-ახალ ჭორებს ავრცელებს, ამიტომ "ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგისთვის" მიცემულ ინტერვიუში სიბელ კეკილი თავისი ცხოვრების ამბავს თავად მოჰყვა, რომ სხვებს ნაკლები დარჩენოდათ გასარჩევად:

ის დაიბადა 1980 წელს, გერმანიაში, ჰაილბრონში. მამამისი მუშაა, დედა - დამლაგებელი. სიბელმა საშუალო სკოლა დაამთავრა და მერე ქალაქის მერიაში მუშაობდა – შენობიდან ნაგვის გატანაზე იყო პასუხისმგებელი. ორი წლის შემდეგ მას ჰაილბრონში ყოფნა და ნაგვის გატანა მობეზრდა და ესენისკენ გასწია. მერე, უკვე, კიოლნში, საყიდლებზე გასულს, ფატიჰ აკინის ფილმში მონაწილეობის მიღება შესთავაზეს.

ეს იყო და ეს. "პორნოწარსული" მერიაში მუშაობის წლებში დარჩა, მაშინ, როცა "კედლის პირისპირ" გადაიღეს, ეს უკვე შორეული წარსული იყო.

ფილმში "კედლის პირისპირ" მთავარი გმირი ასეთ სიტყვებს ამბობს: "თუ თქვენი ცხოვრების დასრულება გნებავთ, დაასრულეთ ეს თქვენი ცხოვრება, მაგრამ ამისთვის სიკვდილი სულ არაა საჭირო". ეს სიტყვები სიბელ კეკილის თავადაც შეეძლო, ეთქვა: "მე ჩემი წარსული დავასრულე და თავი არ მომიკლავს. მე ახალი ცხოვრება დავიწყე. იცით, 17 წლისა როცა ვიყავი, ჩემი ცხვირის გამო კომპლექსები მქონდა, მეტისმეტად გრძლად მეჩვენებოდა, და გადავწყვიტე, რომ როგორც კი საშუალება მექნებოდა, ოპერაციას გავიკეთებდი და ახალ ცხოვრებას დავიწყებდი. ჩემი ოცნება ეს იყო, მაგრამ ცხვირი არ მომიჭრია. ისევ ძველი ცხვირით დავდივარ, მაგრამ ახალი ცხოვრება კი დავიწყე".

■ ■ ■

"კედლის პირისპირ" გერმანიაში მყოფი თურქების მეორე და მესამე თაობებს, მშობლებსა და ქალიშვილებს შორის კონფლიქტის შესახებ მოგვითხრობს. გმირი გოგონას ოჯახი რადიკალურად მუსულმანური არაა – მას კოსმეტიკის ხმარების უფლებაც აქვს, არც თავსაფარს ატარებს და სწავლის ნებასაც კი რთავენ. მაგრამ გოგონასთვის ეს არ კმარა. ის ხედავს, რომ გერმანელი გოგოები სხვანაირად ცხოვრობენ, და მასაც ასე უნდა ცხოვრება. ეს არის ფილმი თავისუფლების შესახებ და იმის შესახებ, რომ ამ თავისუფლების მოპოვება ბედნიერებისთვის საკმარისი არაა, მერე მას რამე უნდა მოუხერხო...

"პასპორტით გერმანელი ვარ," ჰყვება კეკილი, "ხოლო სინამდვილეში ვინ ვარ – ვერ ვიტყვი. საკუთარ თავს გერმანელად ვგრძნობ, ოღონდ, თურქული ფესვებით". როდესაც გაზეთმა "ბილდმა" ახალგაზრდა თურქ ქალთა შორის "კეკილის შემთხვევის" თაობაზე გამოკითხვა ჩაატარა, მათ ღიად განაცხადეს, რომ მის მხარეზე არიან. "ის იმას აკეთებდა, რაც უნდოდა. ეს მისი საქმეა. ამიტომ, რა, ცუდი ადამიანია?" – წერდნენ ქალები.

ახალ ფილმში, რომელიც ჰამბურგში იქნება გადაღებული, კეკილი იტალიელ ქალს ითამაშებს, და ეს ძალიან უხარია: "გერმანიაში თურქები სულ თურქებს თამაშობენ, ერთი კლიშეა, სულ ერთი და იგივე თემა. მე მინდა, რომ თურქ ქალად კი არა, მსახიობად მიცნობდნენ. არც პორნომსახიობად. მსახიობად. ეს ჩემი აწმყოა".

სწავლა დიდ ბრიტანეთში

ბრიტანეთის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული საგანმანათლებლო სააგენტო "ი ელ ელი" (ELL Ltd) გთავაზობთ სწავლას დიდი ბრიტანეთის (ლონდონი, ოქსფორდი, კემბრიჯი, ბრაიტონი და ა.შ.) უნივერსიტეტების მოსამზადებელ პროგრამებზე და ინგლისური ენის სკოლებში.

- ინგლისური ენა ზოგადი, ინტენსიური და საგამოცდო (IELTS, TOEFEL, FCE, CAE) 2-12 თვიანი კურსები.
- ინგლისური ენის მასწავლებელთა 2-4 კვირიანი სკვალიფიკაციო კურსები.
- საზაფხულო სკოლა ინდივიდუალური ან ჯგუფური სწავლა და დასვენება მოსწავლეებისთვის და მოზრდილთათვის 2 კვირიდან 3 თვემდე (ჯგუფების დაკომპლექტება 1 მაისამდე).
- Work Experience/Internship ინგლისური ენის კურსი და სამუშაო გამოცდილების მიღება კომპანიებში, სათანადო სერტიფიკატის მიღებით, 2 თვიდან 1 წლამდე.

- A-Level 10-11 კლასელთათვის და სკოლადამთავრებულთათვის 1-დან 2 წლამდე.
- Foundation სკოლადამთავრებულთათვის 1 წლით.
MBA 1 წლიდან 2 წლამდე.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 74, 12-ე სართული. ტელ: 22 59 57; 29 91 78; მობ.: 899 50 40 12
ელ-ფოსტა: Nargiza_makatsaria@hotmail.com

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური" გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის № 72 ტელ:29-48-61

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

პროსპეროს წიგნები
Prosperos' Books
ინგლისური წიგნებისა და ყავის სახლი
English Bookstore and Coffeehouse

„პროსპეროს წიგნები" - ინგლისური წიგნების მაღაზია და ყავის სახლი გთავაზობთ:
ახალი წიგნების ფართო არჩევანს, ისტორიულ, ბიოგრაფიულ და საბავშვო ლიტერატურას;
წიგნებს ხელოვნებასა და არქიტექტურაზე, მოგზაურობასა და კავკასიის ქვეყნების რეგიონალურ საკითხებზე. ასევე TOEFL-ის, GMAT-ისა და ინგლისური ენის სახელმძღვანელოებს ნებისმიერი დონისათვის;
მეორადი წიგნების ფართო არჩევანს, რომლებიც შეგიძლიათ გაცვალოთ მაღაზიის კრედიტზე;
ინგლისურენოვანი ვიდეოკასეტებისა და DVD -ების გაქირავებას.
„პროსპეროს წიგნები" ასევე გთავაზობთ: საფოსტო ბარათებს , კომპაქტ დისკებს "World Music"-ისა და ქართული ფოლკლორული მუსიკის კოლექციებიდან.
კალიბანის ყავისა და ჩაის ფართო არჩევანს
რუსთაველის გამზირი №34 (შიდა ეზო), 0108, თბილისი
ტელ./ფაქსი: (995 32) 923592. ელ-ფოსტა: prospero@access.sanet.ge